C M Y K

WWW.SAERTOGAZETI.ORG

საერთო გაზეთი

№21 (255) ● 17-23.VII.2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

რამდენად შავია კატა, რომელიც ხანდახან პრემიერსა და მის მრჩეველს შორის გაირბენს?

„ნაციონალები“ ბედუკაძის თავს ითხოვენ! „რესპუბლიკელები“ — მთავარი პროკურორის პოსტს!

ევროპამ საქართველო ევროპულ ოჯახში უნდა მიიღოს როგორც მისი ღირსეული წევრი და არა როგორც „ენჯეოების“ მიერ ძალად გაკეთილშობილებული „ველურების“ ქვეყანა

ჩემი შინაგანი ფერი არის თეთრი, რადგან სითეთრეშია სიმართლე და სისუფთავე

ვინ იყო დენ სიაო პინი და რატომ გაახსენდათ იგი მაინცდამაინც ახლა, ბიძინა ივანიშვილის განცხადების შემდეგ

ანგელოზების გამბახებლები

ბავშვი ანგელოზიაო, — ვამბობთ საქართველოში... 20 ივლისს „დედა ენის“ ძეგლთან ანგელოზების გამბახებელი ჩუთლაშვილები აქციის მოწყობას აპირებენ

ინგილო მორჯულებულს ნიშნავს!..

საქართველოში სულ მალე ახალი პროდასავლური კოალიცია შეიქმნება, რომლის წევრები (ბაქრაძე, ალასანია, უსუფაშვილი) პირველ რიგში ხელისუფლებიდან ბიძინა ივანიშვილის და ირაკლი ღარიბაშვილის მოშორებას შეეცდებიან

დაურეკეს მიშას — რა ვქნათო? — ეგ ადრე უნდა დაგეჭირათო, — უთქვამს სააკოვს

„იცით, რა შემომითვალა ალასანიამ? ეგ სახლი დამითმოს და არაფერს გადაახდევინებენ, ისე გამოუშვებენო...“

საქართველოს დაუბინდავი თვალით შეხედეთ

არა, სამეგრელო არ გასხვისდება!

„იკანკალეთ ჰეტერო ღორებო, როდესაც ჩვენ გამოვჩნდებით ნიღბების გარეშე“

საკაშვილო, ფანდარასტ!

ვლადიმერ სანაკოევი, 2006-2008 წლებში ტელეკომპანია "ალანიას" საინფორმაციო - ანალიტიკური გადაცემის „˜ " წამყვანი, დიმიტრი სანაკოევის ადმინისტრაციის ყოფილი წევრი.

საქართველოში რუსეთიდან 2005 წლის ნოემბერში ჩამოვიდა, საქართველოს მოქალაქეობა პირადად მიხეილ სააკაშვილმა მიანიჭა.

თბილისი 2010 წლის სექტემბერში დატოვა. თბილისიდან ისევ რუსეთში დაბრუნდა.



— ბატონო ვლადიმერ, რატომ წახვედით 2010 წელს თბილისიდან?

— 2010 წლის სექტემბერში იძულებული გავხდი საცხოვრებლად რუსეთში წავსულიყავი. პირველ რიგში ამის მიზეზი იყო, რომ 2008 წლის ომის შემდეგ ოჯახი დამეფანტა. ჩემს გამო ჩემ დაზე, რომელიც ცხინვალში ცხოვრობდა, კოკოითის ხელისუფლება ზეწოლას ახორციელებდა. ჩემი და იძულებული გახდა 2008 წლის 11 აგვისტოს ცხინვალი დაეტოვებინა, მის სახლს კრიმინალები დაეპატრონენ. აგვისტოს ომის შემდეგ გართულდა ერგნეთის საზღვარზე გადასვლა, ჩემი მეუღლე ცხინვალში დარჩა, მე აქ. ჩემი რუსეთში წასვლის კიდევ ერთი მიზეზი იყო პენსიის გაფორმება. გარდა ამისა, შვილები და შვილიშვილებიც რუსეთში მყავს.

— თქვენ ორმაგი მოქალაქეობა გქონდათ და გაქვთ?

— კი, საქართველოს მოქალაქეობა 2005 წლის 24 ნოემბერს სააკაშვილის ხელიდან მივიღე და განვაცხადე, რომ საქართველო არის ჩემი სამშობლო. ეს რა თქმა უნდა ცხინვალში არ მოეწონათ, იქ მოღალატედ გამომაცხადეს. როცა 2010 წელს გადავწვიტე რუსეთში მოკლე ხნით წასვლა პირადი საქმეების მოსაწესრიგებლად, მივდიოდი თამამად, იმიტომ რომ კანონი არც საქართველოში, არც რუსეთში არ დამირღვევია. მაგრამ აქ რუსეთში ჩემი გამგზავრების წინააღმდეგი გახდნენ, იძულებული გავხდი ყველაფერი მიმეტოვებინა და ისე წავსულიყავი.

— ვინ გაგზადათ იძულებული?

— ვთვლი, რომ ეს გაკეთდა მიხეილ სააკაშვილის დავალებით, ამაზე ახლა საჩივარი შევიტანე პროკურატურაში და იმედი მაქვს, ყველფარი გაირკვევა.

— ვინმე დაგემუქრათ არ გაბედო რუსეთში წასვლაო?

— წასვლამდე უკანონოდ ჩამომართვეს ბინა, ვარ ამიტომ დღეს უსახლკარო. თბილისს რომ ვტოვებდი დამემუქრნენ, თუ მიდიხარ წადიო, მაგრამ თუ დაბრუნდები, დიდი პრობლემები შეგექმნებაო. რას გულისხმობდნენ, ცემას, ცოცხებს, ციხეში ჩასმას თუ მოკვლას, არ ვიცი. რა თქმა უნდა ამ მუქარის შემდეგ დაბრუნებაზე თავს ვიკავებდი. მაგრამ საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ უკვე მეორედ ჩამოვედი, პირველად ჩამოვედი მარტში. ჩამოსვლის მთავარი მიზეზი წართმეული ბინის დაბრუნებაა, მაგრამ ამავე დროს რა თქმა უნდა, გამაჩნია მოსაზრებები ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებისა, რომ ე.წ. კონფლიქტის ზონაში აღდგეს კანონიერი ცხოვრება. ახლახან ჩემი მოსაზრებები ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების ერთ-ერთ წარმატებულ წარმომადგენელს გავუგზავნე. მისი

გვარის დასახელებისგან თავს შევიკავებ.

— თბილისში თქვენ დაარსეთ მოძრაობა „ფანდარასტი".

— მრცხვენია ვახსენო მოძრაობა "ფანდარასტი". ამ სპექტაკლის ავტორი იყო ვანო მერაბიშვილის მოადგილე ამირან მესხელი. იყო ერთი ასეთი შემთხვევა, ვსადილობდით ერთად რესტორანში, ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, ჩვენ ხალხს უყვარს სპექტაკლებიო და მოვაწყოთოო სპექტაკლი. მე მოძრაობა „ფანდარასტის" წინააღმდეგი ვიყავი, ეს არასერიოზულად მიმაჩნდა. თუმცა ამ ე.წ. სპექტაკლზე უამრავი ფული დაიხარჯა, მათ შორის მაისურებზე, გადაადგილებაზე, სასტვენებზე და ა.შ. რომ მცოდნოდა მაშინ სად მიდის ეს გზა, მოვუწოდებდი „სააკაშვილი ფანდარასტ" და არა „კოკოითი ფანდარასტ".

— მიუხედავად ამისა თქვენ მათთან 2010 წლამდე თანამშრომლობდით.

— არაერთხელ დამიწერია განცხადება წასვლის შესახებ, ვხედავდი, რომ არასწორი გზით მიდიოდნენ. აცხადებდნენ, რომ მშვიდობიანი გზით აპირებდნენ დიალოგს, სინამდვილეში კი სხვას აკეთებდნენ. ასეთ ვითარებაში ოსებსა და ქართველებს შორის შერიგება გამორიცხული იყო. ადმინისტრაციის შექმნის იდეა მე მეკუთვნის. ეს ინიციატივა დიდი თანამდებობის პირებს 2005 წლის სექტემბერში მივაწოდე.იდეა იყო ასეთი - ჩავატაროთ 2006 წლის 12 ნოემბერს პარალელური არჩევნები და ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შექმნილიყო ოსური ხელისუფლება, შემდეგ კი ორივე ხელისუფლება ყოფილ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში გაგვეერთიანებინა.

— ამას როგორ შეძლებდით? კოკოითის რას უშვებოდით?

— რომ მოქცეულიყვნენ ჭკვიანურად, ყველაფერი რეალური იყო. მაგრამ რეალურად მე, დიმიტრი სანაკოევი და სხვები მარიონეტებად გამოგვიყენეს. შექმნეს ილუზია, ვითომ რაღაც კეთდებოდა, იხარჯებოდა უზარმაზარი თანხები. ერთ მაგალითს მოვიყვან. გზა რომ გადაკეტა კოკოითიმ, ამან რა გამოიწვია? ძალოვანი სტრუქტურები იდგნენ კეხვში, აჩერებდნენ ყველა მიმავალ ავტობუსს, მგზავრებს საათობით ალოდინებდნენ, სანამ პასპორტების ქსეროასლებს გადაიღებდნენ. მაშინ ძალიან მიკვირდა, რაში სჭირდებოდათ ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობის ქსეროასლები, ადამიანების გვარები, მისამართები?! გამოძიება უნდა ჩატარდეს, თუ რა თანხები დაიხარჯა ოსი ეროვნების მოსახლეობის დასახმარებლად თბილისისადმი ნდობის აღდგენის მოტივით. ჩემი აზრით მშვიდობიანი მოსახლეობის მონაცემები ბარათების დასამზადებლად სჭირდებოდათ, შემდეგ ჩარიცხეს თანხები ეთნიკური ოსების ანგარიშებზე, სინამდვილეში კი ეს ფული თვითონ მოხსნეს. ეს საკითხი გამოსაძიებელია.

— თქვენ დაგბრალდათ კავშირი რუსეთის ფსბ-სთან.

— განცხადება, რომ ვარ ფსბ - ს თანამშრომელი არასდროს არსად გამიკეთებია, არსად დამიწერია და მითქვამს, რომ ვთანამშრომლობდი ფსბ-სთან. პირველად მარტის თვეში რომ ჩამოვედი, დამიბარეს მოდულის შენობაში, სადაც 2 დღის განმავლობაში დილიდან გვიანობამდე ვპასუხობდი სხვადასხვა შეკითხვებს. რომ არ დავებარებინე მოდულში, ძალიან გამიკვირდებოდა. მოდულში მექცეოდნენ კორექტულად, მკითხეს, თუ დავთანხმდებოდი სიცრუის დეტექტორზე. მე კი სიამოვნებით დავთანხმდი, იმიტომ რომ თავად ვარ დაინტერესებული ყველაფერს ნათელი მოეფინოს. დეტექტორის გავლის შემდეგ ყველა კითხვა ჩემი პერსონის მიმართ ამოწურულია.

— რატომ გადაწყვიტეთ 2005 წელს თბილისში ჩამოსვლა?

— დავიჯერე, რომ საქართველოს პრეზიდენტს სურდა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება, მსურდა პირადად მიმეღო მონაწილეობა მშვიდობიან პროცესებში, მაგრამ ამ ნაბიჯით მხოლოდ საფრთხის ქვეშ ჩავაყენე ჩემი ოჯახის წევრები. სააკაშვილის გუნდმა არა მხოლოდ თავგანწირვა არ დამიფასა, პირიქით დიდი ზიანი მომაყენეს. მიმაჩნია, რომ თუ იქნება გამძიება სააკაშვილის გუნდის მიერ ჩადენილ ქმედებებზე, მხედველობაში მაქვს სამხრეთ-ოსეთის ადმინისტრაციის შექმნა, ტელეკომპანია „ალანიას" მოღვაწეობა და რა თქმა უნდა 2008 წლის აგვისტოს ომი.

დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილის გუნდი ომისთვის 2008 წლის მარტის დასაწყისიდან ემზადებოდა. აბა როგორ შეიძლება აიხსნას, რომ 25 ათასზე მეტი დევნილი ცხინვალის რეგიონიდან 3 თვეში დააკმაყოფილეს საცხოვრებელი ფართით წეროვანში და ა.შ.?!

თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი საკითხები საქართველოში ასე სწრაფად არ წყდება, ეს ნიშნავს, რომ მინიმუმ ნახევარი წლით ადრე აგვარებდენენ სამშენებლო მასალების, მუშა ხელის რესურსების და მომავალი დევნილებისთვის სამოსახლო ფართების ადგოლმდებარეობის საკითხებს...

— თქვენი აზრით ვის ინტერესებში იყო ამ ხალხის აყრა?

— ომი ორივე მხარის ინტერესებში შედიოდა. აგვისტოს ომმა ჩამოწერა სამხრეთ-ოსეთში მილიონობით ვითომ ათვისებული თანხები, სინამდვილეში კი ეს თანხები მოიპარეს. ომმა ყველაფერი ჩამოწერა. მაგრამ ომი მხოლოდ კოკითის ინტერესებში არ შედიოდა, მიმაჩნია ომში არანაკლებად იყო დაინტერესებული სააკაშვილის გუნდი. მე, როგორც ყველა ადამიანს, ცხოვრებაში შეცდომები მქონდა და შეიძლება კიდევ დაუშვა, მაგრამ ვხედავ და ვიცი, რომ დევნილების დაბრუნება ცხინვალის რეგიონში შესაძლებელია უკვე მომავალ, 2014 წელს. მიმაჩნია, რომ ამის რესურსი ბიძინა ივანიშვილს გააჩნია.

— რა რესურსებს გულისხმობთ?

— იმ პოლიტიკას, რომელსაც იგი ატარებს. ბიძინა ივანიშვილი ხალხის და არა ტერირიტორიის დაბრუნებაზე ლაპარაკობს, რაც მიმაჩნია კონფლიქტის დარეგულირების მარტივ, მაგრამ გენიალურ ფორმულად. ამას მეც ვიძახდი სულ, ვამბობდი რომ პირველ რიგში დევნილები უნდა დავაბრუნოთ.

თავის დროზე წარმატებული ბიზნესმენი ვიყავი, მეცენატი. ყოველ წელს დამყავდა ცხინვალელი ექიმები, მასწავლებლები, ცეკვის ანსამბლები დასავენებლად სოჭში. საქართველოში მე იდეის გამო ჩამოვედი, მსურდა მშვიდობიან პროცესებში მიმეღო მონაწილეობა. მშვიდობის გარეშე ცხოვრება ტანჯვაა. მაგრამ საბოლოო ჯამში შემიძლია ვთქვა, რომ მიხეილ სააკაშვილმა გამანადგურა. დღეს 63 წლის კაცი ვარ უსახლკარო, ცხინვალის სახლი წამართვეს, სოჭში მქონდა სახლი, რომელიც სანდო ადამიანს დროებით ჩავაბარე, მან კი გადაწყიტა რომ მე უკან აღარ დავბრუნდებოდი და ჩემი სახლი თაღლითური გზით თავის სახელზე გადაიფორმა. სახლი დგას სოჭის ცენტრში, რომელიც ღირს არანაკლებ ერთი მილიონი დოლარი.

— ახლა სად ცხოვრობთ?

— სიდედრ-სიმამრის ბინაში ვლადიკავკაზში. მაგრამ იმედი მაქვს, რომ თბილისში წართმეულ ბინას დავიბრუნებ. იმედი მაქვს, რომ დევნილები სამხრეთ-ოსეთში თავის მიწა-წყალზე, თავიანთ სახლებში დაბრუნდებიან, აღდგება ჩემ მშობლიურ სამხრეთ-ოსეთში, საქართველოში მშვიდობა. დღეს სამწუხაროდ შემიძლია ვთქვა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებას საერთოდ არ აპირებდა.

ელენე ბარათაშვილი

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

„ნაციონალები“ ბედუკაძის თავს ითხოვენ! „რესპუბლიკელები“ — მთავარი პროკურორის პოსტს!

„ნაციონალებისა“ და „რესპუბლიკელების“ ინტერესებმა კიდევ ერთხელ გადაკვეთეს ერთმანეთი — „ნაციონალები“ ბედუკაძის თავს ითხოვენ, „რესპუბლიკელებს“ კი მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის პოსტზე უჭირავთ თვალი.

— მარტო ივანიშვილმა კი არა ბედუკაძემაც დაგვამხო ჩვენ და კოაბიტაციას რომ გვეფიცებით, ჩვენი დამამხობელის თავი ჩვენს ფეხებთან დაგვიგორეთ, ზედ კი მისი მხსნელის და გადამრჩენლის არჩილ კბილაშვილის თავიც დაგვიმატეთ ხურდად — კბილების ღრჭიალით და თვალების ბრიალით განაცხადეს „ნაციონალებმა“ და მათ „განცხადებას მყის ააყოლეს ხმა „რესპუბლიკელებმაც“, თავის არასამთავროებებთან ერთად.

როგორც კარგად ინფორმირებულმა წყარომ გვაცნობა, „რესპუბლიკელები“ დიდი ხანია გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ სამთავრობო პორტფელები არასწორად განაწილდა და ისინი უსამართლოდ დაიჩაგრნენ.

მეტანი არ არის, რატომ არის ნამეტანი ქმრის თავმჯდომარეობა და ცოლის მინისტრობა? — დაუსვამთ ვიღაც-ვიღაცებს კითხვა, მაგრამ პასუხი რომ ვერ მიუღიათ, ისინიც „ბუტკაში“ შელალულან.

ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, თეა წულუკიანის „უდიპლომობის“ ამბავი სწორედ „რესპუბლიკელებმა“ შეუგდეს „ნაციონალებს“ და ამით მოიფხანეს ნაწყენი და ნატკენი გულიო, თუმცა ამ საქმემ უკვე ჩაიარა და ახლა არჩილ კბილაშვილის „ჩამოლაბორანტების“ საკითხი დგას დღის წესრიგში.

კბილაშვილის გათავისუფლებით ერთდროულად ორ კურდღელს დაიჭერენ „ნაცები“ და „რესპუბლიკელები“, თუმცა კბილაშვილი სულაც არ ჩანს ის „კურდღელი“, რომელიც ამათ თავს დააჭერინებს.

ბატონი არჩილი, მართალია, გარეგნულად კი ჩანს ასეთი რბილი და ზედმეტად ინტელიგენტური, მაგრამ მან

არაერთხელ დაამტკიცა, რომ არც საკუთარი თავის დაცვა გაუჭირდება და არც საკუთარი უწყების.

არც ის დაავიწყდეს ვინმეს, რომ პროკურატურა, რომელიც თავისი შეფის წყალობით, გარედან ერთი წყნარი და უხმაურო დაწესებულება ჩანს, სინამდვილეში „ბომბსაცავია“, სადაც უამრავი „ბომბი“ ინახება და ასაფეთქებლად თავის დროს და რიგს ელოდება.

„ნაციონალებს“, ეტყობა, ეშინიათ, ამ საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში კბილაშვილმა რამდენიმე „ბომბი“ არ ამოიღოს თავისი „საწყობიდან“ და მთელი „ნაცმოძრაობა“, თავის პრეზიდენტიანად, ჰაერში არ აწიოს.

ამიტომაც მიადგნენ ისინი კბილაშვილს დასაშანტაჟებლად და, როგორც ირკვევა, ფარული თანამოაზრეები და თანამებრძოლები ახალი ხელისუფლების რიგებშიც იპოვეს.

— ალასანიას პარტიას — თავდაცვის მინისტრის პორტფელი, იუსტიციის მინისტრის პორტფელი, ევროინტეგრაციის მინისტრის (პეტრიაშვილის) პორტფელი, ამას დაუმატეთ ისიც, რომ საგარეო საქმეთა მინისტრიც ალასანიას „პარტიიდანაა“ — ალასანიას ცოლისდაა. ჩვენ კი ერთი კინკილა რეინტეგრაციის სამინისტრო მოგვიგდეს... ესაა სამართალი? — ბობოქრობენ თურმე „რესპუბლიკელები“ და სამართლიანობის აღდგენას მოითხოვენ.

თავდაპირველად ასე ყოფილა ჩაფიქრებული: იუსტიციის მინისტრი თინა ხიდაშელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქმრის, დავით უსუფაშვილის, პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევამ ეს გეგმა ჩაშალა — ქმარი პარლამენტის თავმჯდომარე, ცოლი — იუსტიციის მინისტრი – ნამეტანიაო, — უთქვამთ ვიღაცებს და შესულა თინაც „ბუტკაში“, ანუ პარლამენტში და მორჩილად შეგუებია თავის ხვედრს.

— თუ სიძის და ცოლისდის მინისტრობა ერთსა და იმავე მთავრობაში ნა-

დროგამოშვებით ქართულ საინფორმაციო სივრცეში ვიღაც-ვიღაცებისთვის ფრიად სასიხარულო ინფორმაცია შემოიჭრება ხოლმე: — გიხაროდენ! ბიძინა ივანიშვილსა და გია ხუხაშვილს შორის შავმა კატამ გაირბინა და ხუხაშვილი „მეფის კარიდან“ დაითხოვესო.

თუმცა გადის დრო და ირკვევა, რომ ხუხაშვილი ისევ თავის ადგილზეა და თავის მოვალეობას ძველებურად ასრულებს.

მერე ისევ გადის ცოტა ხანი და ისევ დაჰკრავენ დაფ-ნაღარას მავანნი: ახლა ისეთმა შავმა კატამ გაირბინა ივანიშვილსა და ხუხაშვილს შორის, **უნდა იყოს იგი, რომ ის მასზე რაღაცით მაღლა დგას.**

ის, როგორც ტოლი ტოლს, როგორც სწორი სწორს, ისე ელაპარაკება ყველას.

ერთმა მითხრა, მგონი, მას ხანდახან არც ახსოვს, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია. ყოველ შემთხვევაში, მასთან ურთიერთობისას ამას ვერ იგრძნობ.

საქართველოში, სადაც ვიღაცას ათი ლარით მეტი რომ ჰქონდეს შენზე, ან იერარქიულ კიბეზე ნახევარი საფეხურით რომ გასწრებდეს, აუცილებლად ზემოდან დაგხედავს ქედმაღლურად და შეიძლება შენთან დალაპა-

რამდენად შავია კატა, რომელიც ხანდახან პრემიერსა და მის მრჩეველს შორის გაირბენს?

ამ უკანასკნელს ვერაფერი უშველისო.

მოკლედ რომ ვთქვათ, გავრცელებულ ხმებს თუ დავუჯერებთ, გარბიგამორბის ეს შავი კატა პრემიერსა და მის მრჩეველს შორის, გარბის და გამორბის, მაგრამ უშედეგოდ.

როგორც ჩანს, არც ისე შავია ეს კატა, როგორც ამას ჭორების გამავრცელებლები აზვიადებენ.

არც ისე შავი კი არა, შეიძლება საერთოდ არ არის შავი ის კატა.

არც ის არის გამორიცხული, ივანიშვილისა და ხუხაშვილის ურთიერთობაში საერთოდ არანაირი კატა არ ფიგურირებდეს — არც შავი, არც თეთრი, არც ყვითელი და არც რუხი.

როგორც ივანიშვილის გარემოცვის კულუარებში კარგად ჩახედული პირები ამბობენ, პრემიერი და ხუხაშვილი მართლაც ხშირად დაობენ და კამათობენ, მაგრამ ეს არის საქმიანი დისკუსია, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და არა ჩხუბი და დაპირისპირება.

ბიძინა ივანიშვილს ერთი ძალიან კარგი თვისება აქვს — მას უყვარს და მოსწონს, როცა თანამოსაუბრე ეკამათება, ეპაექრება, ბოლომდე იცავს თავის მოსაზრებას და უკან არ იხევს, მიუხედავად იმისა, რომ იცის, მისი ოპონენტი პრემიერია და თანაც მილიარდერი.

ივანიშვილი კიდევ ერთი შესაშური და ბევრისთვის მისაბაძი თვისებით ხასიათდება: ის არასოდეს არ აგრძნობინებს ოპონენტს, ვინც რაკებაც კი არ იკადროს, ბიძინა ივანიშვილი უდაოდ გამორჩეული და სხვანაირი ყაიდის პიროვნებაა.

როგორც ამბობენ, გია ხუხაშვილსაც აქვს ერთი კარგი თვისება — ის პირდაპირია არასოდეს მალავს და არ ფუთავს თავის მოსაზრებას რბილ, დიპლომატიურ ტონებში.

ხასიათის ამ თვისებას ხუხაშვილი პრემიერ ივანიშვილთან ურთიერთობის დროსაც ინარჩუნებს და მას ღიად და გახსნილად ეუბნება სათქმელს და პრემიერის. ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, რომელსაც ხუხაშვილი შეცდომად მიიჩნევს, კრიტიკულ შეფასებას აძლევს, რასაც ბუნებით ფიცხი და იმპულსური ივანიშვილი ზოგჯერ მტკივნეულად აღიქვამს და... იწყება კიდევაც „ხელჩართული“ დისკუსია, რომელიც ზოგჯერ საათობით გრძელდება თურმე, თუმცა ბოლოს ყველაფერი მაინც დაზავებით მთავრდება.

სხვათა შორის, როგორც ამბობენ, გია ხუხაშვილი ერთადერთი კაცია ივანიშვილის გარემოცვაში, რომელიც პრემიერთან კამათს და დებატებს არ ერიდება.

ასე რომ, სხვა დროს თუ გაიგონებთ, რომ ივანიშვილს და ხუხაშვილს შორის შავმა კატამ გაირბინა, მაინცდამაინც ნუ შეშფოთდებით — ეს ის კატა არ არის, რომელსაც ადამიანებს შორის დაპირისპირება მოაქვს.

გვერდი მოამზადა
გიორგი გამეზარდაშვილმა

ევროპამ საქართველო ევროპულ ოჯახში უნდა მიიღოს როგორც მისი ღირსეული წევრი და არა როგორც „ენჯეოების“ მიერ ძალად გაკეთილშობილებული „ველურების“ ქვეყანა

ხშირად გაიგონებთ: საქართველო ევროპისკენ, ევროინტეგრაციისკენ მიდის. ანუ, რა გამოდის, საქართველო ჯერ არ არის ევროპა, გზაშია და დანიშნულების ადგილს რომ მიაღწევს, თანდათანობით ევროპა მას სრულუფლებიან წევრად აღიარებს?! არადა, ისტორიას თუ გადავხედავთ, საქართველო ყოველთვის ევროპის ნაწილი იყო – მტრულ გარემოცვაში მოხვედრილნი სწორედ იმ ღირებულებებს ვიცავდით, რაც ევროპულის იდენტური იყო. ასე გავლიეთ 20 საუკუნე. არაერთი მეცნიერული კვლევით დასტურდება, რომ ევროპული ცივილიზაცია სწორედ რომ პროტოქართული ცივილიზაციის გაგრძელებაა. მაშინ რა ხდება დღეს, რატომ მივისწრაფვით იმისკენ, რაშიც უკვე საუკუნეებია, ვართ?! საქართველო თავის მენტალიტეტით, კულტურით არ არის ევროპა და აწი უნდა გავხდეთ ევროპელები? – რამდენად სწორია ეს მოსაზრება, როდის „ამოვვარდით“ ევროპიდან, ამ საკითხებზე „საერთო გაზეთის“ სტუმრები ფილოსოფოსები ზაზა შათირიშვილი და ლევან გიგინეიშვილი გვესაუბრნენ:

ზაზა შათირიშვილი: – ძალიან სერიოზული კითხვები დასვით. მოდი, მარტივით დავიწყოთ – როგორ გვიყურებენ სხვები გარედან? რამდენიმე წლის წინ იტალიის პრეზიდენტისა და ვატიკანის ეგიდით წარმომადგენლობითი კონფერენცია ჩატარდა. მაშინ ერთმა ესპანელმა იეზუიტმა ბერმა რომ გაიგო საქართველოდან ვიყავი, მითხრა – მე ერთი იბერიიდან ვარ, თქვენ – მეორედანო. ჯამში, ის ესპანელი და ჩვენც საერთო საქრისტიანოს ნაწილი ვართ. მაგრამ თუ თანამედროვე ევროპაზე ვისაუბრებთ, რომლის კონსტიტუციაშიც ქრისტიანობა საერთოდ არაა მოხსენიებული და მხოლოდ ანტიკურობაზეა ლაპარაკი, ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება. მოდით, განვიხილოთ მთავარი ევროპული ღირებულებები, რომლებიც ე.წ. ევროპულ სამეზობლო პროგრამაშია გამოტანილი, რაშიც საქართველოც შედის, სადაც წერია – მთავარი ევროპული ღირებულებებია უსაფრთხოება, კეთილდღეობა და სტაბილურობა. ბევრი ამბობს – ევროპაში იმიტომ, გვინდა რომ უსაფრთხოდ ვიყოთო. ამ შემთხვევაში, ეს როგორც რუსეთისაგან უსაფრთხოება, ისეა გაგებული. მაგრამ თავად ევროპული უსაფრთხოების იდეას ძალიან საინტერესო გენიალოგია აქვს. კერძოდ, რა არის უსაფრთხოება? – როცა დაშვებულია ყველაფერი ის, რაც სოციალურ-პოლიტიკურად შეშფოთებას არ იწვევს. ანუ, რაც ძალადობასთან კავშირში არაა. ყველაფერი ის, რაც ძალადობა არაა, კანონის ფარგლებშია. ეს იდეა, თავის დროზე, ლოკმა ჩამოაყალიბა, როცა თქვა, რომ ყველაზე დიდი ღირებულება ადამიანის სიცოცხლეა. ეს ქრისტიანული, არის კიდევ ერთი – ადამიანის თავისუფლების იდეა, რაც ევროპული ცივილიზაციის სუნთქვაა. ევროპული ცივილიზაცია მხოლოდ კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ცხოვრების დონის გამო კი არა, არამედ თავისუფლების გამო გვიყვარს. შუა საუკუნეებში ქრისტიანობას ძალიან დოგმატური ფორმა ჰქონდა, ანუ სიღრმისეულად ქრისტიანობა ძალიან ცოტა ადამიანს ესმოდა. ძველი აღთქმის, სახარების განმარტება ძალიან რთულია. შეიძლება ისეთი უაზრო განმარტება მოგვწოდოს, რომ ამან ბოროტებაში, ფანატიზმში გადაგაგდოს. ამიტომ წმინდა ტექსტის განმარტება, დიდ ფილოსოფიურ, კრიტიკულ, თავისუფალ აზროვნებას მოითხოვდა. ამის საშუალება ძალიან ცოტას – თეოლოგებს, ეპისკოპოსებს ჰქონდათ, რა შეთანხმებასაც მიაღწევდნენ, შემდგომ ხალხს უზიარებდნენ. მაგრამ თავად ხალხში ეს კრიტიკული აზროვნება არ იყო.

ზაზა შათირიშვილი

ზაზა შათირიშვილი: აქვე შევნიშნავ, რადგანაც საყოველთაო განათლება არ იყო, მოსახლეობის 90% ტექსტებს ვერ კითხულობდა და ზეპირი ქადაგებები ხდებოდა.

ლევან გიგინეიშვილი: რა თქმა უნდა, ამიტომ ადამიანებს ნამდვილი რეალობა სხვისგან მიეწოდებოდათ. ეს არ იყო მთლად ჯანსაღი ქრისტიანობა, რაც უნდა შეცვლილიყო. მოდერნიზმის შემოსვლასთან ერთად ადამიანებმა თქვეს – თავად განვსაზღვრავთ რა არის ჭეშმარიტი, თავად წავიკითხავთ ბიბლიას, აღარ ვიტყვი, რომ ჩემს გონებას წმინდა ინერცია განსაზღვრავს, არამედ გონებას ამისგან გამოვყოფ, რაც წმინდაა თავად აღმოვაჩენ და რაზეც ჩავთვლი, რომ რელატიური არააბსოლუტურია, ამას ჩამოვაჭრი. მგონია, რომ ევროპის ერთ-ერთი მდგენი ის ლიბერალიზმია, რაც ილია ჭავჭავაძეს მოსწონდა – ლიბერალობა სალანძღავ სიტყვად არ გაგვიხდიაო – ამბობდა იგი. საქართველოში, რევოლუციური, კრიტიკული აზრის განვითარება, წმინდა ინერციასთან დაპირისპირება, როგორც ევროპაში, ისე მძაფრად არ მოხდა. იმ დროს, როცა საქართველოს ეკლესიაზე რუსეთი ბატონობდა, როგორც რუსული ნაციონალიზმის მსახურის მიმართ, ხალხი კრიტიკული გახდა. გაჩნდა კითხვა – რამდენად აუცილებელია ქრისტიანობასთან ერთად, მონარქიის სამსახური? – იქნებ გავმიჯნოთ და უფრო ჯანსაღ მოდელზე ვიფიქროთ. თუნდაც, მონარქი საერთოდ არ გვყავდეს და დემოკრატიულ მოდელებზე ვიფიქროთ. ეს მომენტი, ევროპული აზროვნება საქართველოშიც გაჩნდა. ილია ამბობდა – იმ პატარა ღმერთით, შენი სინდისით განსაზღვრე, რა სწორია და რა – არასწორი. ილიას, ვაჟას, აკაკის ტრადიცია სწორედ ესაა – ევროპული ლიბერალიზმი, კრიტიკული აზროვნება შემოვიტანოთ, ინდივიდუალური ადამიანი განვითარდეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, საქართველოში ამ ტრადიციის ფირი იმდენად თხელი იყო, რომ იგი ძალიან მალე კომუნისტების დროს, აორთქლდა. როცა პარტია განგისაზღვრავს, რა არის სწორი და ამ ოქროს მოდელში უნდა ჩაეწერო, ამ დროს უკრიტიკო ეკლესიის ადგილი, შეიძლება პარტიამ და ფსევდოწმინდამ დაიკავოს. არსებობს უღმერთოც, რომელიც ამბობს, რომ წმინდაა, თან განსაზღვრავს, რომ იგი აბსოლუტია. აი, ამდაგვარი იდეოლოგიზაცია გვქონდა. ახლა ამ არტახებიდან გამოსვლა გვიჭირს. ევროპასთან დაბრუნება, ჩემი აზრით, არის ჩვენს, მე-19 საუკუნის ლიბერალურ ტრადიციასთან დაბრუნება. ძირითადი მიდრეკილება მართლაც აქეთკენაა.

ზაზა შათირიშვილი: ამ აზრს გავაგრძელებ. კანტი ამბობს – განმანათლებლობა ადამიანის მოწიფული მდგომარეობაა, როდესაც იგი, ეთიკურ საკითხებს თავისი გონებით გარეგანი ავტორიტეტების გარეშე წყვეტს. გარეგანი ავტორიტეტი არის მეფე, ეკლესია, როგორც ინსტიტუცია, ანუ ის, რასაც ლევანი ამბობდა – იღებენ გადაწყვეტილებებს, რაც ჩვეულებრივ ადამიანებამდე ვერ აღწევს. აქედან გამომდინარე, გარკვეული აზრით, განმანათლებლობას თითქოს ეს ქრისტიანული უწყება თითოეულ ადამიანამდე მიაქვს. ამ დროს ჩნდება რისკი იმიტომ, რომ შეიძლება ყველამ სხვადასხვაგვარად გაიგოს და გაჩნდეს ისეთი ფენომენი, როგორიცაა თომას მიუცერი, რომელიც იმდენად ფანატიკოსი რადიკალი იყო, ფაქტობრივად, ტერორი გამოაცხადა, თქვა, რომ მიწაზე ღვთის სასუფეველი განხორციელდა და მიუსტერის ცნობილ კომუნაში რელიგიური ტერორი მოაწყო. ეს არასდროს მოხდებოდა კლასიკურ შუა საუკუნეებში. მაგრამ არის მეორე მომენტიც, ქრისტიანობა თითოეულ ადამიანამდე მივიდა და გახდა არა როგორც საოჯახო ტრადიცია, არამედ მართლაც ის, რაც ქრისტიანობა უნდა იყოს. ქრისტიანებად არ იბადებიან, არამედ ხდებიან. ანუ პიროვნული რისკისა და რწმენის საფუძველზე ეკლესიის წიაღში სხვანაირად შედიხარ, ანუ უკვე სხვა პასუხისმგებლობა გაქვს. ნათლობის ლიტურგიაში წერია – თითოეული ჩვენგანი არის მღვდელიც, წინასწარმეტყველიც და მეფეც. სალავიოვს აქვს ტექსტი, სადაც ამბობს, ძალიან ბევრი რამ შუა საუკუნეებში ქრისტიანული კი არა, არამედ წარმართული იყო. წარმართულობა ისეთი რამაა, რომელიც ყოველთვის თანაა. საკმარისია ქრისტიანული რწმენა ვერ ატარო, რომ ეგრევე ფსევდო-საკრალურში გადადიხარ. რა იყო სტალინური რეჟიმი თუ არა წარმართული ფსევდო-საკრალური. თავად ტერმინოლოგია – პიროვნების კულტი გავიხსენოთ. პიროვნების კულტი ესაა, როცა სტალინიზმის რევიზია მოხდა. რელიგიის ტერმინი გამოიყენეს, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია.

ლევან გიგინეიშვილი

ლევან გიგინეიშვილი: ლენინის სხეული წმინდა რელიგიად გახადეს.

ზაზა შათირიშვილი: როგორც წმინდა ნაწილი და დღემდე იქაა. ამ ყველაფერში ვართ. ევროპამ გაიარა ეს, ყოველდღე ამას გადის. ევროპაში ყოველთვის არის რისკი, ოღონდ დღეს უკვე სხვანაირი – მთლიანად მოსწყდე ქრისტიანობის საფუძველს. დღეს ამას კარგად ვხედავთ, მაგრამ სწორედ ეს არის თავისუფლება, რომელიც ყოველთვის ძალიან დიდი რისკი და განსაცდელია. მაგრამ როგორც ჰოლდერლინი ამბობდა – სადაც განსაცდელია, იქაა ხსნა. რადგანაც ჩვენ, ეს რისკი და განსაცდელი ვერ გავიარეთ, მუდმივად განმანათლებლობის „თხელი ფენის“ აორთქლებაში ვართ და ორი ტიპის წარმართობაში ვვარდებით: ერთია ნეოწარმართობა – ულტრალიბერალიზმი, და მეორეა – უკრიტიკო, ტრადიციული ქრისტიანობის პაგანიზაცია – წარმართობად ქცევა, ანუ ნაციონალურ ტრადიციად ქცევა. ამ დროს ვიცით, რომ ქრისტეში არაა არც ელინი, არც ბარბაროსი, არც ქალი, არც კაცი, არც მონა და არც თავისუფალი. არამედ ყველანი ქრისტეს მიერ ვართ გამოსყიდულნი. ბოლო 25 წელია, თითქოს ამ ორ რამეში ვტრიალებთ.

ლევან გიგინეიშვილი: სალავიოვი ამბობს, რომ სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტორები წარმართულია. ქრისტიანობა არამარტო პირადი სულის ხსნის, არამედ ისტორიის ფერმენტი უნდა გახდეს, რაც არ მოხდა. სალავიოვი ამბობს, რომ ამით ქრისტიანობამ თავის დანიშნულებას უღალატა. რადგან ეს ქრიატიანებმა არ გააკეთეს, ისტორიის ჯვარი საკუთარ თავზე სხვებმა იტვირთეს. სტრუქტურა გვავალდებულებს საკუთარ თავში ნიჭი მოვკლათ და მსახურნი ვიყოთ – ეს ქრისტიანობა არაა.

ზაზა შათირიშვილი: ამ დროს ქრისტიანობაში ლაპარაკია ახალ სულიერ დაბადებაზე. მაგრამ რეალობა შემდეგი აღმოჩნდა – ის ფორმები, რასაც ევროპა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ბაძავდა, რომაული წარმართული ფორმები იყო. შემთხვევითი არც ისაა, რომ იმპერია, რომელიც შუა საუკუნეებში შექმნეს, რომის იმპერია იყო. ოღონდ, წმინდა იმიტომ, რომ ქრისტიანულია. მაგრამ წმინდა, ამ შემთხვევაში, მხოლოდ გარეგნული ტერმინია, შინაგანად – რომის იმპერიის წარმართული არსის გაგრძელება იყო.

ლევან გიგინეიშვილი: მარქსი ამბობდა – თუ ხედავ, რომ რაღაც სიტუაციაში ჩაკეტილი ხარ და იმედიც არ გაქვს, რომ რაღაცას შეძლებ, გამოდის, რომ ერთადერთ იმედს მიღმიერში იტოვებ, სიკვდილის შემდეგ. ამ ადამიანებისთვის ეკლესიაც ასე გამოდის – მთელი კვირა ჭაობშია, მუშაობს და მარტო კვირა დღეს შედის იმ გარემოში, რაც აბსოლუტურად სხვა გავლენას ახდენს, ხედავს, რომ სამოთხეში მოხვდა. ეს ცხოვრების მოდელს ქმნის. პირველი ექვსი დღე ცხოვრებაა – ვიტანჯებით და მერე მარადისობაში, მარადიული ლიტურგიის ბედნიერებაში გადავდივართ. ამიტომ ეკლესიის კულტურაც ძალიან გაფაქიზებული და ამაღლებული იყო.

ზაზა შათირიშვილი: ძალიან ბევრი ქრისტიანი მაშინაც და ახლაც კარგად ხედავდა ამას. მაგალითად, ისეთი წმინდანი, როგორიც ფრანჩესკო ასიზიელი იყო. შემდეგ, მე-19 ს-ის ბოლოს და მე-20-ს დასაწყისში შარლ პეგი, რომელიც ამბობდა – ჩვენი ქრისტიანობა სხვანაირი ქრისტიანობააო. ანუ, დღეს ჩვენ უკვე თითოეული ჩვენგანი ჯარისკაცი ვართ. ეს მომენტი მართლაც არ იყო და აქედან გამომდინარე, ჩვეულებრივ ცხოვრებაში, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, ადამიანის ტვინები წარმართული ცრურწმენებით იყო სავსე. სხვათა შორის, ეს ცრურწმენები

ყოველ წუთს იბადება. მაგალითად, ჩემს ახალგაზრდობაში არ მახსოვს ტრადიცია, რომელიც დღეს ხალხში არსებობს — ერთი და ორმოცი წლის ადამიანს დაბადების დღეს არ უხდიან. ამას ქრისტიანობასთან კავშირი არ აქვს. ეს ტიპიური წარმართული ცრურწმენაა. უფრო სერიოზული მაგალითებიც არსებობს. მაგალითად, არ დამავიწყდება მერაბ სეფაშვილის სიმღერა, სადაც პატრიარქს უმღერის — ყოვლადწმინდა სამების პატრიარქოო. სწორედ ესაა იუდაური წარმოდგენა. თითქოს სამების ტაძარი მთავარია, ყველა იქ უნდა მივიდეს და სხვაგან ლოცვას და ლიტურგიას აზრი არ აქვს. ეს იუდაურ-წარმართული რეფლექსია.

ლევან გიგინეიშვილი: ადამიანი თვითონ განსაზღვრავს და ირჩევს თავის ბედს,. ეს ძალიან ქრისტიანული ია. შევადაროთ ილიას მყინვარი და თერგი. მყინვარი, რასაც მხოლოდ ლიტურგიაზე ვისმენთ, რატომ არ უნდა ჩამოვღვაროთ აქაც?!. სხვა მომენტია ის, რომ შეიძლება მეორე უკიდურესობაში გადავარდე, დაივიწყო მყინვარი, მარადისობა, დროში აიფუფხო და მარქსივით გამოაცხადო, რომ მარადისობა და მეტაფიზიკა არ არსებობს, ეს მეორე უკიდურესობაა. აქვეა, სოციალური აქტივობა, სამოქალაქო სივრცის გაჩენა, სადაც კრიტიკული აზროვნებით შეგიძლია რაღაც შეცვალო, გაუმჯობესო, ესეც ევროპული ტრადიციაა. ამიტომ კრიტიკული აზროვნების განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, ხანდახან ეკლესიასაც შუა საუკუნეობრივად ვუდგებით. მეტწილად, ეკლესიაში ძველქართულად წაკითხული სახარება ადამიანს არ ესმის, თუმცა ისმენს. ანუ ადამიანი გონებით არ მონაწილეობს, სახარება მისთვის ცოცხალი ტექსტი არაა, არამედ ანტიკვარული. ასე რომ არ მოხდეს, საჭიროა, სახარება ქმედითი ტექსტი გახდეს. როგორც ილია ამბობს — სიტყვა ფერ-უმარილი არაა, არამედ ჩანგალია, რომ გული მიაბრუნმოაბრუნოსო. ასე უნდა გაცოცხლდეს ეკლესიაში სახარებაც. ხდება რეალური ცხოვრებისგან, ისტორიის მაჯისცემისგან, ეკლესიის გამოჯვნა რაც ძალიან დიდი ხიფათია. როცა ასეა, ეკლესია ქრიატიანობის დანიშნულებას სწყდება.

— ზაზა, თქვენ ჰეგის სიტყვები ახსენეთ, ჩვენი ქრისტიანობა სხვანაირი ქრისტიანობააო. ჩვენი ევროპელობაც ხომ არაა განსხვავებული?! ევროპისკენ სულ მივისწრაფვოდით, მაგრამ იგი ჩვენ, როგორც ევროპელებს, ნათესავებს ისე ვერ გვხედავდა. პირიქით ხომ არაა — ჩვენ ვართ ევროპა და თვითონ ევროპა დაიკარგა, როგორც ევროპა. ჩვენი ხელისუფლება ყველაფერზე თავს აქიცინებს, უპრინციპონი აღმოვჩნდით. ამიტომ ყველა თავის ჭკუაზე გვატარებს. თუნდაც ნატო. დღეს ნატო გვეუბნება — ჩვენთან თუ გინდათ, 1500 კაცის ავღანეთში გაგზავნა არაფერს ნიშნავს...

ზაზა შათირიშვილი: როცა ნატოზეა საუბარი, იგი მთლად ევროპა არაა. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსია, რომელშიც შედის ერთი მხრივ, აშშ და მეორე მხრივ — თურქეთი. მისი ამოცანა საბჭოთა კავშირთან და ტოტალიტარულ სოციალიზმთან დაპირისპირება იყო. ამის საპასუხოდ ვარშავის ფაქტი გამოდგება. ნატო მაინც სხვა ტიპის ალიანსია, ევროკავშირი — სხვა ტიპის. სხვათა შორის, თანამედროვე ევროკავშირის გეოგრაფიაში საინტერესო მომენტია — პრაქტიკულად, აქ ყველა ის ქვეყანა მოხვდა, რომელიც ასე თუ ისე, ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში შედიოდა. ეს შემთხვევითი არაა. მიუხედავად მართლმადიდებლობისა და კათოლიკობისა, ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია, სლოვენია — ესაა ის ნაწილი, სადაც ბუნებრივად მიმდინარეობს ბრძოლა სამ იმპერიას — ოტომანების, ავსტრია-უნგრეთის და რუსეთს შორის. რაღაცნაირი ლოგიკა არსებობს. თითქოს რაღაც მომენტში ევროკავშირი მეტ-ნაკლებად იმ საზღვარში ჩაიკეტა, საითკენაც ავსტრია-უნგრეთის იმპერია მიდიოდა, რომელიც რომის საღვთო იმპერიის ლეგიტიმური მემკვიდრე იყო. სულ მიჩნდება კითხვები: კი, შეიძლება ევროპული ღირებულებები მართლაც უნივერსალურია, მაგრამ ხომ არ შეიძლება ევროპა უსასრულოდ გაფართოვდეს? შეიძლება ევროპაში შევიდეს ირანი, ინდოეთი?! — მგონი, ამაზე ლაპარაკი უაზრობაა. იქნებ არის რაღაც მომენტი, როცა ევროპა ვეღარ გაფართოვდება. კი, იგი, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური, კულტურუ-სამართლებრივი სივრცეა, მაგრამ ამავდროულად გეოგრაფიაც ხომ არსებობს. მოდი, ეს შეკითხვა დავსვათ — სად შეიძლება გაჩერდეს ევროპა? ხომ არ არის მართლაც კავკასია ბუნებრივი ზღვარი, რომელიც ყველა მხრიდან ტრადიციულად გაიგებოდა, როგორც გზაჯვარედინი — შეხვედრის წერტილი აღმოსავლეთსა და დასავლეთსა და ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. არსებობს სამეზობლო პოლიტიკაც. ვიცით, რომ სოციალისტური ქვეყნები, რომლებიც ვარშავის ხელშეკრულებაში შედიოდნენ, შემდეგ ევროპაში დაბრუნდნენ. მაგრამ რაღაც მომენტში ისინი ევროპის ნაწილად ყოველთვის მოიაზრებოდნენ. უფრო მეტიც, რუსეთიც პრობლემური ქვეყანაა. კი, პოლონეთი ევროპაა, მაგრამ რუსეთი — არა. რამ განაპირობა მათ შორის ასეთი განსხვავება? პოლონური, რუსული იდენტობა ერთმანეთს დაუპირისპირდა, მოხდა წყვეტა. ჩემთვის, ყველაზე საინტერესო მომენტი და ბევრი ქართველისთვის, სწორედ საზღვრის საკითხია — რა ვართ, რა მიმართება გვაქვს და რას ნიშნავს ევროპა, როგორც გეო-კულტურული წარმონაქმნი? ევროპას თავისი სხეული აქვს, იგი ფართოვდება, მაგრამ არ შეიძლება უსასრულოდ გაფართოვდეს. ჩვენ ის ბოლო ნაწილი ვართ, რომელიც ევროპაში უნდა შევიდეს? — რა ხდება ამის მერე? საინტერესო მომენტია. ავიღოთ, თურქეთისა და ევროკავშირის ურთიერთობა. თურქეთს უნდა გაწევრიანება, მაგრამ ამ კუთხით სერიოზული პრობლემებია. როგორ წარმოიდგენიათ თურქეთი ევროპაში, საერთოდწარმოსადგენია ეს თუ არა? მაგალითად, ყოფილ პაპს მიაჩნდა, რომ თურქეთი ევროპის ნაწილი უნდა გახდესო. ამ თემებზე ცალსახა პასუხები არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, როცა ვამბობთ, ევროპა ვართო, ვგულისხმობთ, რომ უნდა გავხდეთ ევროპა, მაგრამ თუ უკვე ვართ, მაშინ რაღა გახდომა გვინდა?

ლევან გიგინეიშვილი: ძალიან საინტერესოა ევროპა და უნივერსალიზმი. ვფიქრობ, რაც დასავლურ ცივილიზაციაში მოხდა — სულიერ ინსტიტუტებზე დამოკიდებულება, ეს შეუქცევადია. სხვა მომენტია, რა ვქნათ იმ კულტურებთან, სადაც ეს ცდომილებები არ მომხდარა. შეიძლება ევროპამ და დასავლეთმა ამაზე იძალადოს, მაგრამ ასეც არაა. თავისუფლება ის სივრცე, აუცილებლობაა, რაც უნდა ზიდო. დოსტოევსკი ამბობდა — უნდა ვაღიაროთ, რომ თავისუფლები ვართ. ბევრი ვერ იტვირთავს თავისუფლების ზიდვას. მაგრამ ამ თავისუფლებაშიც ხომ შეიძლება საშინელება-დრაკონი დაბადო? მაგალითად, აღმოსავლეთში წმინდას აღქმა ძალიან ღრმაა. როცა ძალიან ტრადიციულ საზოგადოებებთან მიდიხარ, ძალიან დიდი დელიკატურობა გმართებს, რათა იმ საზოგადოების ენა გაიგო, ნახო მასში რა არის სილამაზე, სიკეთე და ეს უნივერსალური ევროპული ისე მიაწოდო, რომ მას ამ საზოგადოებისთვის დამთრგუნველი, კულტურული ტერორის სახე არ ჰქონდეს, რაც ხშირად ხდება. ილიას საქართველოში ევროპა დელიკატურად შემოჰქონდა. სამწუხაროდ, ახლა ტრადიციულ კულტურებს ევროპა და დასავლეთი მოძალადე კულტურად აჩვენებს თავს და ისინი ევროპის დემონიზაციას ახდენდნენ. მაგალითად, ჩემი ახლობელი ინდოეთში რომ ჩავიდა, თავიდან ზედაც არ უყურებდნენ, მდაბიო ტიპად თვლიდნენ. საჰიბს — დამცინავ ტერმინს ეძახდნენ. მერე ოჯახიც ჩაიყვანა იქ — ინდოელები გაგიჟდნენ — თეთრებს ოჯახებიც გყოლიათო და მერე მაისაჰიბს ეძახდნენ, ეს უკვე პატივისცემა იყო. რატომ მოაჩვენა მათ ევროპამ ასე თავი? — იმიტომ, რომ ჯიქურ მოვიდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თვითონ ევროპამაც ბევრი რაღაცები დაივიწყა თავის თავში, რაც კარგი ჰქონდა. მაგალითად, კანტის ტრადიცია — მიწვდი იმ ობიექტურობას, რომელიც შენზე არაა დამოკიდებული, არამედ იგი ნამდვილადაა. ევროპაში არის მიმდინარეობა, რომელიც ყოველგვარ ობიექტურ რეალობას გამორიცხავს, რაც არ მიმაჩნია სწორად. რა თქმა უნდა, თავისუფლება აბსოლუტური კატეგორიაა, მაგრამ არანაკლებ აბსოლუტურია ის, რისთვისაც ეს თავისუფლებაა.

— ზაზა, წელან დასვით კითხვა, რითაც დასაწყისში დავიწყე საუბარი — თუ ევროპა ვართ, მაშინ ის გზა რა არის, რისკენაც მივყევართ, რატომ ვართ თვითგვემას მიცემული, თავზე ნაცარს რატომ ვიყრით, რატომ ვიძახით, რომ ევროპელებად რომ შევდგეთ, გრძელი გზა გვაქვს გასავლელი? პრობლემა ისიც ხომ არაა, რომ დღეს ჩვენს დაახლოებას ევროპასთან სწორედ ევროპა უშლის ხელს. ფაქტია, რომ ევროკავშირი, ევროსაბჭო თავის უფროს კოლეგასთან აშშ-ს ადმინისტრაციასთან ერთად საქართველოში ყოველთვის აფერხებდა დემოკრატიის განვითარებას. სწორედ ისინი გვაიძულებდნენ გაყალბებული არჩევნები, ძალადობით მოსული ხელისუფლება გვეღიარებინა. რომ არა ევროკავშირი, აშშ-ს ადმინისტრაცია, ქართველ ხალხს საკაშვილი 9-ჯერ ეყოლებოდა გადაყენებული. იგი ევროპამ გადაარჩინა. ანუ გვაშორებს ევროპა ევროპასთან, თუ რა პრობლემებია ამ კუთხით? თუნდაც რატომ გვაიძულებენ გასაევროპელებლად გეი-პარადების ჩატარებას?

ზაზა შათირიშვილი: ჯიქური მომენტი მართლაც არსებობს, მაგრამ ამავე დროს საინტერესოა მეორე მომენტი — ქართული ნიჰილიზმი ყოველივე ქართულის მიმართ. ივანე გომართელს მიაჩნდა — ქართული ენა უნდა დავივიწყოთო და ა.შ. ილია მას დაუპირისპირდა. ნიჰილიზმის ეს ფორმა დღესაც გვაქვს, რომელიც პოსტკოლონიური სინდრომია, რაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში გაჩნდა იგივე ამერიკელის, ევროპელის, დასავლელი ადამიანის მიმართ. ჩემმა ახლობელმა ასეთი სტატია დაწერა — კანტი და თეიმურაზ II, სადაც კანტის ფილოსოფიას თეიმურაზ II-ის „ხილთა ქებას“ ადარებდა. ამით იმის თქმა უნდოდა, რომ, როცა კანტი იწერებოდა, აქ არაფერი ხდებოდა. ერთმა ახლობელმა მითხრა — ზღვა გვაქვს, მაგრამ ვერ ვხედავთ, ამიტომ ჰორიზონტი არ გვაქვს, ჩაკეტილები ვართო.

ლევან გიგინეიშვილი: მამარდაშვილიც ამბობდა — რა ცუდია, ქართველებმა ფლოტი რომ არ შევქმენითო.

ზაზა შათირიშვილი: მაგრამ მამარდაშვილი სხვა რამეს ამბობდა — რაღაცას, რასაც არ გააკეთებ, ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც იმას, რაც გაკეთებულია. გვაქვს ზღვა, მაგრამ ფლოტი არაა. ესეც კოლექტივისტური ხედვაა. თუ ქართველი ამ კულტურის მიღმა გადის და სხვა ზღვაში იხრჩობა? წარმართული თვითგანდიდების უკანა, მეორე მხარეა ის, რომ ჩვენ ასეთები ვართ, ამის მეორე მხარე სწორედ ნიჰილიზმია. არ გვყოლია ბეთჰოვენი, მაგრამ გვაქვს ჩაკრულო. ამავე დროს, ბეთჰოვენის ათვისებაც საჭიროა. კრიტიკული დამოკიდებულება სწორედ იმას ნიშნავს, რომ ტრადიცია მარად განახლებადი უნდა იყოს. კრიტიკული აზროვნება ნიშნავს არა ნიჰილიზმს და აპოლოგიას, არამედ დინჯ, მოაზროვნე დამოკიდებულებას. ამ შემთხვევაში ნიჰილიზმის, აპოლოგიის დემონები ამ აზროვნების შუქზე ქრებიან. და მაშინ კანტის და თეიმურაზ II დაპირისპირება საჭირო აღარაა. თეიმურაზ II ასათვისებელია იმიტომ, რომ ძეგლია და კანტიც, არა მარტო ტექსტუალურ, არამედ შინაგანი გამოცდილების დონეზე. მამარდაშვილი ამბობდა — ევროპელი ადამიანისთვის შეუქცევადი არაფერი არსებობსო.

ლევან გიგინეიშვილი: მნიშვნელოვანია, კიდევ ერთი მომენტი. ენჯეოები ხშირად ამბობენ — ვებრძვით, ვთქვათ, ჰომოფობიას ან ცხვრების დაკვლას სვანეთში და ხევსურეთში. კონტექსტს არ ამბობენ. გამოდის, რომ თითქოს საქართველოში ველურები არიან, რომლებიც ცხოველებს ხოცავენ. შედეგად, მათ გრანტს აძლევენ, რათა ამ „ველურებს“ გვებრძოლონ, გამართონ მიტინგები. აქ უფრო ფაქიზი საკითხია — მარტო ცხვრის დაკვლაზე არაა საქმე, არამედ მთის ტრადიციაზე, წესრიგზე, წინაპრებთან კავშირზე. ველური ხარო კი არ უნდა უთხრა, არამედ ნელ-ნელა გაანათლო ეს ხალხი. მაგრამ თუ დაპირისპირებას დაიწყებ და ხალხს ეტყვი — შენ ველური ხარ, მე ევროპელი და თუ ცხვარს დაკლავ, მიტინგებს გავმართავ და „ფაცებოოკ“-ზე გამოგაჭენებ სისხლიანი დანით და ვაჩვენებ, რა ველური ხარ, ასე უფრო გააბოროტებ ადამიანს. მაშინ ეს ადამიანი იტყვის — ვიღაც ათეისტი, უფესვო ინტელექტუალები მეუბნებიან, მამა-პაპის ტრადიცია დავივიწყოო. ილიას ჰქონდა ჰეგელიანური ხედვა — ტრადიციაში ყოველთვისაა რაციონალური, გონიერი მარცვლები. ნიჰილისტურად არ უნდა თქვა, ეს ტრადიცია არაფერია და მოდი, ახალ რაღაცას ავიღებ მაგალითად, მორმონებს სხვისი წარ-

სად შეიძლება გაჩერდეს ევროპა? ხომ არ არის მართლაც კავკასია მუნიციპალური ზღვარი, რომელიც ყველა მხრიდან ტრადიციულად გაიგებოდა, როგორც გზაჯვარედინი — შეხვედრის წერტილი აღმოსავლეთსა და დასავლეთსა და ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის.

ჩემთვის, ყველაზე საინტერესო მომენტი და ბევრი ქართველისთვის, სწორედ საზღვრის საკითხია — რა ვართ, რა მიმართება გვაქვს და რას ნიშნავს ევროპა, როგორც გეო-კულტურული წარმონაქმნი? ევროპას თავისი სხეული აქვს, იგი ფართოვდება, მაგრამ არ შეიძლება უსასრულოდ გაფართოვდეს. ჩვენ ის ბოლო ნაწილი ვართ, რომელიც ევროპაში უნდა შევიდეს? — რა ხდება ამის მერე?

7 gv.

ირმა ინაშვილი:

ჩემი შინაგანი ფერი არის თეთრი, რადგან სითეთრეშია სიმართლე და სისუფთავე

თითქმის წელიწადი იწურება და არ ცხრება საუბარი სატელევიზიო სიუჟეტებში ციხეში წამების კადრებთან დაკავშირებით. უამრავი ჭორი თუ მართალი იწერება... ამ პროცესების ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა ჟურნალისტი ირმა ინაშვილია. ჩემს მიერ მასთან აღებული ამ ინტერვიუს საშუალებით საზოგადოება მკაფიოდ და ნათლად გაერკვევა წამების ამსახველი ფარული ჩანაწერების და მისი რეალიზაციის ისტორიაში... თუმცა, დღევანდელი არსებული სიტუაციიდან ვიწყებთ საუბარს:

— დღეს საქართველოში თითქოსდა შეიცვალა პოლიტიკური არეალი, შერყეულია სააკაშვილის სადამსჯელო მანქანა და მისი რეჟიმი, ციხის შემზარავი კადრები, რამდენად შეძლებდა „ქართული ოცნება“ არჩევნებში გამარჯვებას?

— ნუ დავაყენებთ ასე საკითხს. მე ვფიქრობ, რომ კადრების გავრცელება, ზოგადად, დაეხმარა პოლიტიკურ პროცესს... ჩვენ არ ვფიქრობდით, ეს კადრები შეგნებულად დაგვემთხვია მაინცდამაინც ოქტომბრის არჩევნებისთვის. ვმოქმედებდით ჩვენი გეგმის შესაბამისად. 20 სექტემბერს გვქონდა დაგეგმილი ბრიფინგი ევროპარლამენტში, სადაც ციხის კადრები უნდა გაგვესაჯაროებინა ევროსტრუქტურების წარმომადგენლებისათვის, მაგრამ მოხდა ის, რომ სააკაშვილის რეჟიმმა 18 სექტემბერს იმიტირებული კადრები გაუშვა ეთერში, ჩვენ იძულებული გავხდით, დაგვეჩქარებინა პროცესი. ამ კადრებმა ხელი შეუწყო იმას, რომ სააკაშვილის რეჟიმმა ვერ გაბედა არჩევნების მასობრივი გაყალბება, რაც ჰქონდათ დაგეგმილი. და, შესაბამისად, ეს ხმები დაეხმარა „ქართულ ოცნებას“. „ქართულ ოცნებას“ ბევრი ადამიანი უჭერდა მხარს, ეს უნდა ვაღიაროთ. კადრები იქნებოდა თუ არ იქნებოდა, „ქართული ოცნება“ იყო ერთადერთი სერიოზული პოლიტიკური სუბიექტი ქვეყანაში. თუმცა უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყოდი, რომ „ოცნებას“ კი არ უჭერდა ხალხი მხარს, არამედ ბიძინა ივანიშვილს.

მაგრამ ვინც ამაში დიდი წვლილი შეიტანა, ისევ განზე დარჩნენ და უფრო მეტიც, კვლავ წნეხის ქვეშ აღმოჩნდნენ...

— არასამართლიანობა ისაა, რომ რეჟიმთან მებრძოლი და დაპირისპირებული ადამიანები, ჩემი აზრით, არ არიან რეალიზებულნი, გნებავთ, ქართული პოლიტიკის, გნებავთ, საზოგადოების ცხოვრებაში. მაგალითად, იგივე ჯაბა ჯიშკარიანი ან ლევან გოგიჩაიშვილი. დღეს ეს ადამიანები დამოუკიდებლად არიან ჩაბმულნი ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში, არავის არსად არ მიუწვევია... მთლად გარიყულსაც ვერ ვუწოდებ, მაგრამ არც ადაპტირებულნი და ჩართულნი არიან ქვეყნის საქმეში. მე ვგულისხმობ ძალიან ბევრ ადამიანს, რომლებმაც რეჟიმთან ბრძოლას შესწირეს თავისი ოჯახები, მათ მიმართ არ არის აღდგენილი სამართლიანობა!.. ძალიან დიდი დრო დასჭირდა პროკურატურას, რომ შეესწავლა საქმეები და გამოეტანა სათანადო გადაწყვეტილება. კბილაშვილმა ბრძანა, რომ მე დამხვდა მძიმე რესურსი და ყველა პროკურორს ვერ გავათავისუფლებ მთავარი პროკურატურიდანო. აი, ეს მიზეზი აღმოჩნდა, რომ დაეტოვებინათ სააკაშვილის რეჟიმის პროკურორები. ჩვენ მივედით პარადოქსამდე. ადამიანები, რომლებიც პროკურორმა უკანონოდ გაასამართლა და წაართვა ქონება, იძულებული არიან, ისევ იგივე პროკურორთან მივიდნენ, რადგან საქმე ისევ იგივე პროკურორს ჩააბარეს თურმე. არავის ჭკუას არ ვასწავლი, მაგრამ ოდიოზური პროკურორები უნდა გაეთავისუფლებინათ, ზოგიერთი დასაჭერიც არის და მათი საქმიანობა გამოსაძიებელია. უამრავი უნიჭიერესი იურისტი გვყავს, არიან უცხოეთში მოღვაწე ქართველი იურისტები, რომლებიც არ არიან კორუმპირებულები და არც რეჟიმთან თანამშრომლობდნენ. ასეთი ადამიანები უკეთესად გაართმევდნენ თავს და ათასობით საქმის შესწავლის პროცესი არ გართულდებოდა.

— ირმა, რომ არა საზოგადოების წინაშე თქვენს მიერ გამოტანილი მაგრამ ვინც ამაში დიდი წვლილი შეიტანა, ისევ განზე დარჩნენ და უფრო მეტიც, კვლავ წნეხის ქვეშ აღმოჩნდნენ...

— ნუ დავაყენებთ ასე საკითხს. მე ვფიქრობ, რომ კადრების გავრცელება, ზოგადად, დაეხმარა პოლიტიკურ პროცესს... ჩვენ არ ვფიქრობდით, ეს კადრები შეგნებულად დაგვემთხვია მაინცდამაინც ოქტომბრის არჩევნებისთვის. ვმოქმედებდით ჩვენი გეგმის შესაბამისად. 20 სექტემბერს გვქონდა დაგეგმილი ბრიფინგი ევროპარლამენტში, სადაც ციხის კადრები უნდა გაგვესაჯაროებინა ევროსტრუქტურების წარმომადგენლებისათვის, მაგრამ მოხდა ის, რომ სააკაშვილის რეჟიმმა 18 სექტემბერს იმიტირებული კადრები გაუშვა ეთერში, ჩვენ იძულებული გავხდით, დაგვეჩქარებინა პროცესი. ამ კადრებმა ხელი შეუწყო იმას, რომ სააკაშვილის რეჟიმმა ვერ გაბედა არჩევნების მასობრივი გაყალბება, რაც ჰქონდათ დაგეგმილი. და, შესაბამისად, ეს ხმები დაეხმარა „ქართულ ოცნებას“. „ქართულ ოცნებას“ ბევრი ადამიანი უჭერდა მხარს, ეს უნდა ვაღიაროთ. კადრები იქნებოდა თუ არ იქნებოდა, „ქართული ოცნება“ იყო ერთადერთი სერიოზული პოლიტიკური სუბიექტი ქვეყანაში. თუმცა უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყოდი, რომ „ოცნებას“ კი არ უჭერდა ხალხი მხარს, არამედ ბიძინა ივანიშვილს.

— რეაქცია როგორი იყო ევროპარლამენტში, როდესაც ციხეში გადაღებული კადრები იხილეს?

— უმძიმესი! როდესაც ჩვენ პირველად ვაჩვენეთ ეს კადრები წამების კომიტეტში, ნერვიულობისგან და განცდებისგან ერთ-ერთმა ექსპერტმა ფანქარი შეჭამა.

— დღემდე არიან ადამიანები, რომლებიც საუბრობენ, რომ ეს კადრები იყო იმიტირებული და საზოგადოების რეაქციაზე გათვლილი...

— იცით, რა, ეს საუბარი მიმდინარეობს ბედუკაძის გადაღებულ კადრებზე... მე პირდაპირ გეტყვით, „ცოცხების“ კადრებს საზღვარგარეთ არ მოუხდენია ისეთი რეაქცია და რეზონანსი, როგორც კარანტინის დაშლის კადრებმა. „ცოცხების“ კადრებში ჩანდა ერთი პირის მიერ განხორციელებული ძალადობა პატიმრებზე და ბევრი რამ შეიძლება საკამათო ყოფილიყო. აი, კარანტინის დაშლის კადრებმა სრული შოკი გამოიწვია. გადამღები ტექნიკა შეიტანა ფარულავამ და გადაიღო დათა აკობიამ, რომელსაც შარვლის ღილზე ჰქონდა მიმაგრებული კამერა. სწორედ ამ კადრებმა დაანგრია სააკაშვილის რეჟიმი. დასავლეთმა როდესაც ნახა ამდენი მაღალჩინოსანი, რომლებიც სცემდნენ პატიმრებს, მაშინ თუ გახსოვთ, სააკაშვილმაც აღიარა, რომ ეს არის სისტემური დანაშაული და ჩვენი კრახი, რაც დაგვემართაო.

— როდიდან იცოდით, რომ საპყრობილეებში ხდებოდა ასეთი გაუგონარი წამებები?

—წამების შესახებ სულ მომდიოდა ინფორმაციები, მაგრამ განსაკუთრებით გამწვავდა 2009-2011 წლებში. გლდანის ციხიდან ხუთიდან რვა გარდაცვლილი გამოჰყავდათ. ჩვენ მივდიოდით ამ ოჯახში, ვიდეო-კამერით ვიღებდით გარდაცვლილებს. ყველა ცხედარი სასტიკად იყო ნაწამები. დიაგნოზში კი ეწერა, მაგალითად, ციროზი, მაგრამ გვამებს ეტყობოდა წამების კვალი. ჩვენ ეს მასალები შენახული გვაქვს... მაგრამ შენ გახსოვს, ვიცოდით, მაგრამ ვერ ვამტკიცებდით, რომ ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ გავრცელდა პატიმარ არქანიას ჩვენება, რომელიც „ობიექტივმა“ გაავრცელა და კონკრეტულად ჟურნალისტმა ნინო მიქიაშვილმა. არქანია პირდაპირ ამბობდა, რომ მას ჩახადეს შარვალი, მიადეს სასქესო ორგანო და უღებდნენ ფოტოებს... მაგრამ რეზონანსი არ გამოიწვია ამან, რადგან საჭირო იყო მტკიცებულება და აი, ბატონო, მტკიცებულებაც მივეცით!..

— ირმა, თქვენს მიმართ არის ბრალდება, რომ ამ კადრებს ინახავდით და ელოდებოდით საარჩევნო დროს, ეს „ბრალდება“ პირველად ჩემგან არ გესმით...

— მე ბევრი რამ გამიგია, მაგალითად, რომ ორი მილიონი ავიღე... არაერთგზის მითქვამს, რომ დღეს მომცენ ნაღდად ეს ორი მილიონი! ჩვენი გუნდი იმსახურებს ამას, გვაჩუქონ ეს ორი მილიონი, გპირდებით, რომ საჯაროდ ავიღებ და ჩვენი ტელევიზიის განვითარებას მოვახმარ ამ თანხას. რაც შეეხება სხვადასხვა მოარულ ხმებს და ჭორებს, რომელსაც ავრცელებდა „ნაციონალური მოძრაობა“, სწორედ ამ ძალამ შეიყვანა შეცდომაში ბედუკაძე. მიაწოდა არა ერთხელ ცრუ ინფორმაცია და მოხდა ჩვენს შორის დაპირისპირება, რომელიც დღეს ამოწურულია. ბედუკაძემ თავად განაცხადა, რომ „ობიექტივი“ არაფერ შუაშია და ამ კონფლიქტში ჩართული იყო მესამე ძალა. ბედუკაძე არ მიჯერებდა, როცა ვეუბნებოდი, რომ შენ ხარ სპეცსამსახურების გარემოცვაში მოქცეული. ეს დაიწყო ბრიუსელიდან. მაგრამ დღეს, საბედნიეროდ, მისთვის სიმართლე ცნობილია.

— ირმა, პირადად თქვენ არ უნდა სცემდეთ ამ კითხვას პასუხს, მაგრამ მაინტერესებს თქვენი აზრი, ბედუკაძემ და სხვა ციხის თანამშრომლებმა რატომ გააკეთეს ეს ყველაფერი, სუფთა ადამიანური თვალსაზრისით?

— ბედუკაძე, აკობია და ფარულავა არიან ის ადამიანები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს რეჟიმის მხილებაში. რომ არ ყოფილიყო ეს სამი ადამიანი, ციხის კადრები ჩემამდე არ მოვიდოდა. მე ნამდვილად არ გამეხარდებოდა, ამ სამიდან რომელიმე რომ დაეპატიმრებინათ, თუმცა კონკრეტული შენიშვნები მაქვს მთავარი პროკურორის გამოსვლაზე, მთელი რიგი დეტალები ჩვენთან მიმართებაში იყო დამახინჯებული. კბილაშვილს უნდა მოეხსენებოდეს, რომ მე და გიორგი ლომიას ჩვენება მივეცით სასამართლოს, მოწმეებად გავედით. კიდევ ერთხელ ვაცხადებ: კარანტინის დაშლის კადრები გადაიღო აკობიამ, ამ დროს ბედუკაძე უკვე ბრიუსელში იყო. თუმცა ლომიას ბედუკაძემ გააცნო ფარულავაც და აკობიაც.

— ირმა, თქვენი აზრით, რატომ დაემთხვა ერთმანეთს „ნაციონალების“ და კოალიციის ზოგიერთი წარმომადგენლის პოზიცია ბედუკაძის მიმართ?

— არ მინდა ამაზე კონკრეტული კომენტარი გავაკეთო. ყველა ადამიანს აქვს თავისი პოზიცია და მე არ გამოვდგები ამ პოზიციების რევიზორად. აი, ნაციონალების მიმართ შემიძლია კომენტარი გავაკეთო. მაგალითად, დავით საყვარელიძე, ირმა ნადირაშვილი, დათო ბაქრაძე, რომლებიც ითხოვენ, იმათი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, ვინც თითქოსდა ფარავდა დანაშაულსო. ამ ადამიანებისგან არ მიკვირს, რადგან თვითონ იყვნენ და არიან იმ რეჟიმის წარმომადგენლები, რომლებიც ამკვიდრებდნენ ციხეებში და პოლიციის სისტემაში წამებას. ჩვენ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით, მათი დანაშაულებები გზადაგზა ნათელი გახდება. შეიძლება კულტურის სამინისტროს სარდაფებშიც აწამებდნენ და აუპატიურებდნენ ადამიანებს. საინტერესო ის არის, რომ დიმიტრი ლორთქიფანიძეც იგივეს ფიქრობს, როგორც ნადირაშვილი, საყვარელიძე ან ბაქრაძე. ლორთქიფანიძეც თანამოაზრეა „ნაციონალური მოძრაობის“, ისიც ფიქრობს, რომ გამოძიებული უნდა იქნას და დადგეს იმ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც ამ კადრებს ინახავდა და არ ასაჯაროებდა... მე ვსვამ კითხვას: ეს კადრები რომ მიმეტანა დიმიტრი ლორთქიფანიძისთვის ან საყვარელიძისთვის, როგორ განვითარდებოდა ჩვენი ბედი? მე გარწმუნებთ, რომ არც ერთი ჩვენგანი ცოცხალი აღარ იქნებოდა... მე არც სხვა ტელევიზიებს ვანდობდი ამ კადრებს, რა გამორიცხული არ იყო, რომ ეს ყველაფერი სააკაშვილის ყურამდე არ მივიდოდა. ამიტომ ის ადამიანები რომლებიც ჩვენს დაპატიმრებას ითხოვენ, იკითხონ, სად იყვნენ თავად, როდესაც ასეთი დანაშაულებები ხდებოდა. დავით საყვარელიძე, პარლამენტის წევრი, იმ პერიოდში იყო პროკურორი და ჩემი მოწმე ჯოლოხავა პირდაპირ ადებს ხელს მას, რომ იგი გვიან ღამით შედიოდა ციხეში და პირადად აწამებდა „კოჭოიას“. ჯოლოხავამ საჯაროდ დაადო ხელი საყვარელიძეს და ჩვენებაც მისცა პროკურატურას. ახლა ვეკითხები მთავარ პროკურორ კბილაშვილს, რატომ არ დგება საყვარელიძის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც პატიმრებს აწამებდა?!

— ირმა, მოდით, ახალციხეში თქვენს მიერ მოწყობილ აქციებზე გადავიდეთ, რომელიც მიმართულია ყოფილი პოლიციის უფროსის ხვედელიანის პატიმრობიდან გათავისუფლების წინააღმდეგ.

— ახალციხის განაჩენი — ეს არის პრეცედენტი. მოსამართლე ჯეირანაშვილი, რომელმაც მთელი თავისი პრაქტიკის განმავლობაში ერთადერთი გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა და ისიც მწამებელი გაათავისუფლა. ჩვენ ვაცხადებთ, რომ თუ ცულისწამებას ჰქონდა ადგილი, სადაა ლოგიკა. ადამიანი ჩავწერეთ, რომელიც მიდასტურებს, რომ ის იყო ნაწამები და გაუპატიურებული სკამის ფეხით. თუ ეს ასეა, მაშინ მოსამართლემ რატომ გაათავისუფლა ამის ჩამდენი? მივმართეთ სახალხო დამცველს, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებს, მთავარ პროკურორს გვექნება შეხვედრები და ვითხოვთ, გაიხსნას ეს საქმე. არ არის გამორიცხული, რომ თავად პროკურატურის მხრიდან არ იყო ეს საქმე სათანადოდ შეფასებული და გამოძიებული, ესეც შეისწავლონ და ვნახოთ, რა შედეგი დადგება.

— დღეს თუ ფლობთ ინფორმაციას, რა მდგომარეობაა საპყრობილეებში და სად არიან ის ადამიანები, ის კადრები, ვინც აწამებდა პატიმრებს?

— მე ვიცი, რომ სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტი ამ კადრების საკითხზე ძალიან სკრუპულოზურად მუშაობს, ვინც მსგავს დანაშაულში იყო შემჩნეული, ხდება მათი ეტაპობრივად გამოყვანა ამ სისტემიდან. წამების ფაქტები უკვე აღარ არის. ვერავინ ბედავს მსგავსი რამის ჩადენას, რაც დიდი ბედნიერებაა. თუმცა სხვადასხვა ზეწოლებზე საუბრობენ პატიმრები და ჩვენ რეაქცია ყოველთვის გვაქვს. თქვენ იცით, რა მოხდა გეგუთში, ახალგაზრდა პატიმარი იყო მოკლული, მაშინვე მივმართეთ სოზარ სუბარს და ვთხოვეთ საქმის გამოძიება. ანუ ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, ხელისუფლებაში ვინ არის, ჩვენ არ გავჩუმდებით, თუ მსგავს ფაქტებს ადგილი ექნება.

— ირმა, მუდმივად იბრძვით, რამდენს გასწვდებით?

— არ ვიცი. ადამიანი სულ უნდა მოქმედებდეს და არ უნდა გაჩერდეს. თქვენ, ირაკლი, ხართ ამისი მაგალითი ჩემთვის, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდით მტკიცე მოქალაქეობრივი პოზიციით, თქვენი

ბრძოლით... ჩვენ ერთად გადაცემაც გვქონდა „ობიექტივში“ ნაზი შამანაურისადმი მიძღვნილი და ჩემთვის ერთ-ერთი საუკეთესო და გამორჩეული გადაცემაა. შამანაურისნაირი ადამიანები გვიტოვებენ მაგალითს, რომ არ უნდა გაჩერდეთ!

— რა პოზიცია გაქვთ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიმე კანდიდატს უჭერთ მხარს, თუ ჯერ არ გადაგიწყვეტიათ?

— შეიძლება არავის არ დავუჭირო მხარი. ჯერჯერობით არ ვარ ჩამოყალიბებული, რომელი კანდიდატისკენ წავა ჩემი სიმპათია. მკაფიოდ არ მომწონს მარგველაშვილი. ამას გეტყვით პირდაპირ. საქართველო ნამდვილად არ არის ღირსი მარგველაშვილისნაირი პრეზიდენტი ჰყავდეს. ვფიქრობ, რომ საქართველოში ძალიან ბევრი ღირსეული კანდიდატი შეიძლება ყოფილიყო.

— როგორი უნდა იყოს თქვენს წარმოსახვაში სამართლებრივი სახელმწიფო?

— იცით, როგორი? რომელიც გაასამართლებს ნაციონალურ მოძრაობას, გაასამართლებს მის წინამორბედ შევარდნაძის რეჟიმსაც, იმ ხალხს, ვინც ჩადიოდა საშინელ დანაშაულებს. ჩვენ ხშირად გვაკრიტიკებენ, რომ მხოლოდ ბოლო ცხრა წელზე ლაპარაკობთ და არა იმ დროზე, როდესაც ქუჩებში ხვრეტდნენ მშვიდობიან მომიტინგეებს და ამ დროს დანარჩენი საზოგადოება აქეთ მხარეს მანდარინს ჭიდდა. ამიტომ ეს უნდა იყოს ფართო გამოძიება და ყველა ის ადამიანი, ვინც მკაფიოდ ჩადიოდა უმძიმეს დანაშაულებს, უნდა გასამართლდნენ.

— დაბოლოს, რა ფერის ოცნებები გაქვთ? ამ ლირიულ გადახვევას იმიტომ ვაკეთებ, რომ თქვენ არ ხართ ჩვეულებრივ ჩარჩოებში ჩამჯდარი ჟურნალისტი...

— მინდა ვცხოვრობდე ისეთ ქვეყანაში, სადაც ნიჭი არ კვდება... თუ ყვავილს წყალს არ დაუსხამ, გახმება, ადამიანს რომ წაართმევ თავის პროფესიას, ის დაიღუპება, რადგან საზრდო არ ექნება. მე ვწუხვარ, რომ საქართველოში ჯერ არ აქვს გასაქანი ჩვენნაირ ადამიანებს, ვისაც აქვს მოქალაქეობრივი პოზიცია, ვინც იბრძოდა, ის ჯერ კიდევ მიუღებელია. ასე რომ არ იყოს, უმუშევარი არ იქნებოდა ისეთი ჟურნალისტი, როგორიც ნანა ფაჟავაა, რომელიც ნაზი შამანაურის ოქროს მედლის ლაურეატია და დღეს არც ერთი ტელევიზია სამსახურს არ სთავაზობს. ამით დავიწყეთ ინტერვიუც; ადამიანები, რომლებიც გამორჩეულები იყვნენ ბრძოლით არსებულ რეჟიმთან, დღეს არიან იგნორირებულნი ხელისუფლების მხრიდან. ეს დიდი შეცდომაა. ჩემი შინაგანი ფერი არის თეთრი, ჯერ ერთი, მახსენებს ბავშვობას... ბორჯომში ვცხოვრობდი და ზამთარში ყველაფერი თეთრი იყო. თანაც სითეთრეში არის სიმართლე და სისუფთავე.

ირაკლი შონია
599 47 26 00

5 gv.

ევროპამ საქართველო ევროპულ ოჯახში უნდა მიიღოს როგორც მისი ღირსეული წევრი და არა როგორც „ენჯეოების“ მიერ ძალად გაკეთილშობილებული „ველურების“ ქვეყანა

სული არ აინტერესებთ, არამედ ის, რომ შენც მორმონი გახდე და თავში ახალი სინდისი ჩაგიდონ. არის რაღაც, რაც კარგი იყო და უნდა შეინარჩუნო. ამით შეიძლება პირიქით, ევროპასაც ასწავლო რაღაც. ბევრი ტრადიცია მათაც დაკარგეს და ჩვენი ურთიერთობებით, ტრადიციით მოხიბლულნი არიან. ამიტომ ეს ჩვენც დავაფასოთ საკუთარ თავში.

ზაზა შათირიშვილი: ეს ყველაფერი ასაღორძინებელია. საქართველო „ვარდების რევოლუციით“ არ დაწყებულა. ჩვენთან უამრავი რამაა ევროპულ კონტექსტში წასაკითხი. აქედან გამომდინარე, ნიჰილისტები, ურა-პატრიოტები ყოველთვის იქნებიან, მაგრამ საჭიროა ზომიერი ადამიანების კრიტიკული მასა, რომლებიც შეეცდებიან, იაზროვნონ და არ ჰქონდეთ იარლიყები.

***— ლევანმა ახსენა, რომ ევროპელებიც იხიბლებიან ჩვენი ტრადიციებით და ა.შ. თუ ისტორიას გავიხსენებთ, მე-11 ს-ში ტილები ჭამდა ევროპას, ახლა კი კულტურას, ცივილიზაციას გვასწავლიან. ჩვენ ჯერ კიდევ თამარის დროს გვქონდა საპარლამენტო მმართველობა. რატომ უნდა შევასრულოთ სავალდებულო ნორმა —გეი-პარადები. განა ასეთი ერი იქნება ევროპელობის ღირსი? დღეს ესტონელებმაც დაგვიწყეს სწავლება, თუ რა არის ტოლერანტობა. განა გასული საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა რუსეთში ესტონელებისგან დაკომპლექტებული მკვლელების ბატალიონი არ ხოცავდა ხალხს და წვავდა სოფლებს? ახლა ევროპელებად თვლიან თავს.*

თუ კოცონზე არავინ დაგვიწვავს, ამიტომ არ ვართ დღეს ევროპა?

ზაზა შათირიშვილი: ორი „ქეისი“ უნდა აღვნიშნოთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია! კერძოდ, თანმიმდევრულად მიყვანილი განმანათლებლობა, რომელსაც ჰოლოკოსტი და გულაგი მოსდევს. არც ნაციზმი და არც კომუნიზმი აღმოსავლური იდეა არ იყო. ორივე ევროპული იდეის — განმანათლებლობის რადიკალიზმამდე მიყვანა იყო. ეს ჩვენს თვალწინ მოხდა. მნიშვნელოვანია ის, რომ ამავე დროს ევროპა თვითონ იაზრებს თავის დანაშაულს, ახდენს რეფლექსიას, მაგრამ ეგი ცოცხალი ორგანიზმია. ანუ ეს არაა იდეალური ორგანიზმი. სწორედ ამაზეა ლაპარაკი, მმართველობის იმპერიული ფორმა ევროპამ შემოიტანა, ასევე კოლონიური მართვა. ბევრი ისეთი რამ კოლონიალიზმადაა შეფასებული, რაც სინამდვილეში კოლონიალიზმი არაა. 70-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე „თეთრი ევროპელის“ კრიტიკა დაიწყო. რაღაც მომენტში ევროპელი თვითონ იყრის თავზე მიწას, რომ დამნაშავეა. იდეალური არაფერია. ევროპაში ყოველთვის არის რისკი, ოღონდ დღეს უკვე სხვანაირი — მთლიანად მოსწყდე ქრისტიანობის საფუძველს. დღეს ამას ჯარგად ვხედავთ, მაგრამ სწორედ ეს არის თავისუფლება, რომელიც ყოველთვის ძალიან დიდი რისკი და განსაცდელია. მაგრამ როგორც ჰოლდერლინი ამბობდა — სადაც განსაცდელია, იქაა ხსნა. რადგანაც ჩვენ, ეს რისკი და განსაცდელი ვერ გავიარეთ, მუდმივად განმანათლებლობის „თხელი ფენის“ ათრთქლებაში ვართ და ორი ტიპის წარმართობაში ვვარდებით: ერთია ნეოწარმართობა — ულტრალიბერალიზმი, და მეორეა — უკრიტიკო, ტრადიციული ქრისტიანობის პაგანიზაცია — წარმართობად ქცევა, ანუ ნაციონალურ ტრადიციად ქცევა.

ევროპაში ყოველთვის არის რისკი, ოღონდ დღეს უკვე სხვანაირი — მთლიანად მოსწყდე ქრისტიანობის საფუძველს. დღეს ამას ჯარგად ვხედავთ, მაგრამ სწორედ ეს არის თავისუფლება, რომელიც ყოველთვის ძალიან დიდი რისკი და განსაცდელია. მაგრამ როგორც ჰოლდერლინი ამბობდა — სადაც განსაცდელია, იქაა ხსნა. რადგანაც ჩვენ, ეს რისკი და განსაცდელი ვერ გავიარეთ, მუდმივად განმანათლებლობის „თხელი ფენის“ ათრთქლებაში ვართ და ორი ტიპის წარმართობაში ვვარდებით: ერთია ნეოწარმართობა — ულტრალიბერალიზმი, და მეორეა — უკრიტიკო, ტრადიციული ქრისტიანობის პაგანიზაცია — წარმართობად ქცევა, ანუ ნაციონალურ ტრადიციად ქცევა.

ისეთი რამ კოლონიალიზმადაა შეფასებული, რაც სინამდვილეში კოლონიალიზმი არაა. 70-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე „თეთრი ევროპელის“ კრიტიკა დაიწყო. რაღაც მომენტში ევროპელი თვითონ იყრის თავზე მიწას, რომ დამნაშავეა. იდეალური არაფერია. აქედან გამომდინარე, როცა რაღაც არჩევანზეა ლაპარაკი, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მარადიული ალიანსები არ არსებობს. ხშირად ყოფილი ხელისუფლების და „ნაცების“ დისკურსი რელიგიური იყო — ნატოზე, ევროკავშირზე, როგორც სიონზე, ახალ იერუსალიმზე ისე ლაპარაკობდა. ეს ყველაფერი გაღიზიანებას იწვევს, თან გასაგებია, რომ არაგულწრფელნი არიან და პირადი გამორჩენის ინტერესი აქვთ. სინამდვილეში, ევროპა მათთვის სულაც არაა არანაირი შინაგანი ღირებულება, არამედ გარეგან უსაფრთხოებასთანაა დაკავშირებული. იმდენად მთავარი ევროპა არაა, რამდენადაც რუსეთთან დაპირისპირება და ამ როლის შესრულება. როდესაც ასეთი უპრინციპო ჯალათი, რომელიც ადამიანებს აწამებს, ევროპულ ღირებულებებზე ლაპარაკობს, მართლა ბევრი რამის დისკრედიტაცია ხდება, მაგრამ ეს უნდა გადავლახოთ.

ლევან გიგინეიშვილი: პარადოქსი ისაა, რომ თითქოს ევროპისკენ მივდივართ, მაგრამ ადამიანის უფლებები საერთოდ ნიველირებული ხდება. გამოდის, რომ თუ ევროპაში შევედით, შევდივართ, როგორც ღირსებააყრილი ადამიანები.

ზაზა შათირიშვილი: აბსოლუტურად სწორია — იმიტომაც ვერ შევედით. ყველა სახელმწიფოს, მით უმეტეს ევროკავშირს, ღირებულებებთან ერთად აქვს პრაგმატიზმი. ისე მოხდა, რომ 9 წლის მანძილზე წინა პლანზე პრაგმატიზმმა წამოიწია, ღირებულებები მეორე პლანზე გადავიდა. ამას ხელი შეუწყო „ნაცმოძრაობის“ არნახულად დემონურმა პიარმა და ყველაფრის მიუხედავად, სტალინი დიდი ადამიანია, ეს მითი არა მარტო ევროპელი კომუნისტების და სოციალისტების, არამედ თვითონ ევროპელი ლიბერალების შექმნილია. ფაქტობრივად, კულტი იყო. აქედან გამომდინარე, სტალინის ძეგლის აღება, როცა იგი საკუთარ თავში არ გაქვს მონელებული, ესეც გაღიზიანებას იწვევს. თანაც, ჯიქურ მიკეთებ ამას და სტალინს სტალინური მეთოდებით იღება.

ლევან გიგინეიშვილი: სტალინის ძეგლის აღება მაშინ, როცა თვალს ხუჭავ სტალინიზმზე, სრული ფარისევლობაა.

ზაზა შათირიშვილი: იმავე ტიპის ხილვადობაა ოკუპაციის მუზეუმი. ეს უნდა იყოს არა ინსტალაცია, პერფორმანსი, რაც ამჟამად გვაქვს. ერთ-ერთი მცდელობა იყო, რუსეთთან დაპირისპირება პატრიოტიზმით ჩაენაცვლებინათ. ანუ, ქართული ტრადიციული ნარატივი ჩაენაცვლებინათ ახალი ტიპის პატრიოტიზმით.

ლევან გიგინეიშვილი: ეს იქნებოდა ახალი წმინდა, რომლის წინაშეც უფასურდება ყველა დანარჩენი, ანუ ეს იქნებოდა ფსევდოწმინდა. პოზიტივი შეიძლება ყოფილიყო ნაციზმთან ბრძოლა, ისიც კი არ უნდა ამოძირკვულიყო. ქუთაისში მემორიალი ააფეთქეს. მერე შეგვპირდნენ, უკეთეს მემორიალს თბილისში გავაკეთებთ და ქართველი გმირების სახელებსაც დავწერთო, ვინც ნაციზმთან ბრძოლას შეეწირაო. მერე ეს ბლეფი აღმოჩნდა და გმირთა მოედანი, რომელიც მანამდე ნაციზმთან მებრძოლი ქართველი გმირების მოედანი იყო, საერთოდ მოედნიდან ეს გმირები გააძევეს. ამ მოედანზე ეს გმირები საერთოდ აღარ არიან.

ზაზა შათირიშვილი: ეს იქცა სააკაშვილის რეჟიმის კონცეპტუალურ ან აქტუალურ ინსტალაციად. ყოველგვარი მეხსიერება წაშალა. მათ შორის, ვისი სახელებიც ამოკვეთილია, ისინიც წაშლილია. ესაა საინტერესო. წაშლილია თვითონ ის, ვისი გვარებიც იქაა ამოკვეთილი. ანუ მასთან არანაირი კავშირი არ გვაქვს სწორედ ამ რიტუალიზებული მეხსიერების გადაწევის გამო.

ლევან გიგინეიშვილი: პატრიოტიზმის, ადამიანის უფლებების, კეთილსინდისიერების რეალურად შეფასება, ეს ყველაფერი ერთიანობაში უნდა იყოს და არა დაპირისპირებაში. ეს პატრიოტიზმი მაშინ იქნება რეალური და საფუძვლიანი. წინააღმდეგ შერმთხვევაში, კრახს მივიღებთ.

ზაზა შათირიშვილი: რაც, პრინციპში, უკვე მივიღეთ. ახლა ვართ სწორედ ისეთი თავისუფლების წერტილში, სადაც საზოგადოების ყველა ნაწილი ძალიან ამოვარდნილია. საზოგადოების ყველა ფენაში, მათ შორის, ენჯეოებშიც დიდი გაუგებრობაა იმიტომ, რომ თავისუფლება ძალიან პიროვნული რაღაცაა. ჩვენთან კი ყველა კლიშეებით იმართებოდა, ოღონდ ზოგი კლიშე „პროგრესული“, ზოგი „რეგრესული“ იყო. როდესაც რეალობაში აღმოვჩნდით, მაგალითად, წამების ფირები, ლაპარაკი წავიდა არა იმაზე, რა არის ეს და როგორ გავიაზროთ, არამედ ვაჩვენოთ თუ არა. ანუ ზედაპირული რაღაც სიღრმისეულ გააზრებას ანაცვლებს. ამ თვალსაზრისით, „პროგრესული“ ენჯეოები ძალიან ჰგვანან ე.წ. რეგრესულ ემ-ემ-კას. საზოგადოების ყველა ფენაში არის ეს ამოვარდნილობა, გადღაბნილობა იმიტომ, რომ რეალური თავისუფლება მართლაც ძალიან დიდი რისკია. მომავლის შიშიც გასაგებია იმიტომ, რომ თავისუფლებას მოვლა სჭირდება და თან, პირველ რიგში, გამოცდილების გამოტანა, აზროვნება და საკუთარი პასუხისმგებლობა. აქ სტერეოტიპი და კლიშეები ვერ გიშველის, საკუთარი თავიდან უნდა დაბადო რაღაც მნიშვნელოვანი, მაგრამ თუ ადამიანმა არ იცის, რომ არის რაღაც უფრო მაღალი, ვიდრე თვითონაა, საკუთარი თავიდან ღირებულის დაბადება, ძალიან გაუჭირდება. ამიტომ საჭიროა მეტაფიზიკური განზომილებაც და კრიტიკული აზროვნებაც. ალბათ, მეტაფიზიკური განზომილების და კრიტიკული აზროვნების სინთეზი უნდა იყოს თვითონ ევროპისთვის მომავალი. იმიტომ, რომ ევროპა ძალიან დაცილდა მეტაფიზიკურ განზომილებას. როგორც წესი, ამის მაგივრად მერე იბადება ის ფსევდო-საკრალური ადგილები.

ლევან გიგინეიშვილი: როგორც პავლე მოციქული ამბობს — ადამიანის გული არის ლოკუსი ადგილი, სადაც ქრისტეს და ადამიანის გონების ხახუნი ხდება.

ზაზა შათირიშვილი: რისკი ყველგანაა. ის რისკი, რასაც შინაგანად ქართული საზოგადოება გრძნობს, სწორია. ეს რისკები ევროპაშიცაა, გამოსავალია ცოდნისა და რწმენის სინთეზი და ათენისა და იერუსალიმის ერთმანეთთან შეხვედრა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

მნიშვნელოვანია, კიდევ ერთი მომენტი. ენჯეოები ხშირად ამბობენ — ვემრძვით, ვთქვათ, ჰომოფობიას ან ცხვრების დაკვლას სვანეთში და ხვსურეთში. კონტექსტს არ ამბობენ. გამოდის, რომ თითქოს საქართველოში ველურები არიან, რომლებიც ცხოველებს ხოცავენ. შედეგად, მათ გრანტს აძლევენ, რათა ამ „ველურებს“ გვემრძოლონ, გამართონ მიტინგები.

საქართველოში სულ მალე ახალი პროდასავლური კოალიცია შეიქმნება, რომლის წევრები (ბაქრაძე, ალასანია, უსუფაშვილი) პირველ რიგში ხელისუფლებიდან ბიძინა ივანიშვილის და ირაკლი ღარიბაშვილის მოშორებას შეეცდებიან

გვესაუბრება „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი
კახა კუკავა

— საპრეზიდენტო არჩევნებისთვის რამდენიმე კანდიდატი გამოიკვეთა. როგორ ფიქრობ, ვის აქვს შანსი ხალხის გულის მოგების?

— ბურჭულაძესთან დაკავშირებით არის საუბრები, კვირის ბოლოს გაირკვევა, ამის უკან რამდენად სერიოზული გეგმები დგას. რაც შეეხება „ქართული ოცნების“ კანდიდატს, თუ რამდენად შესაფერისია იგი ამ პოსტისთვის, ვიტყვი შემდეგს — საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი მარგველაშვილს ორი დიდი ნაკლი აქვს: პირველი — პიროვნული — მას არ აქვს რეიტინგი, ნდობა. მისი რეიტინგი ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე „ქართული ოცნების“ რეიტინგი. როცა საკუთარ პარტიაშიც კი არ გაქვს რეიტინგი, მით უფრო წარმოუდგენელია, ქვეყნისთვის გაერთიანებული სიმბოლო გახდე. მეორეც — მარგველაშვილი „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს და ვფიქრობ, ქვეყნისთვის ძალიან ცუდი იქნება, თუ „ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვებს. იმიტომ, რომ ხელისუფლების დანაწილება გულისხმობს შემდეგს — სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტებს სხვადასხვა პოლიტიკური ძალები უნდა აკონტროლებდნენ. „კომუნისტური პარტიის“, „მოქკავშირის“, „ნაცმოძრაობის“ დროს ვამბობდი, რომ თავისთავად, სააკაშვილის ან მერაბიშვილის გვარში კი არ იყო პრობლემა, არამედ იმაში, რომ „ნაცმოძრაობა“ პარლამენტში 2/3-ს ფლობდა, აკონტროლებდა მთავრობას, პრეზიდენტის ინსტიტუტს, ქვეყნის ყველა ადგილობრივ ინსტიტუტს, დამოუკიდებელ ორგანოს. დღეს ვხედავთ, რომ „ქართული ოცნება“ ნელ-ნელა „ნაცმოძრაობას“ ემსგავსება. ესენიც პარლამენტს, ადგილობრივ თვითმმართველობებს აკონტროლებენ. დარჩა ერთადერთი პრეზიდენტის ინსტიტუტი და ამის ხელში ჩაგდებაც უნდათ. ეს, რა თქმა უნდა, ცალსახად, ავტორიტარული მისწრაფება, ხელისუფლების მონოპოლიზაციაა და ბუნებრივია, ეს დემოკრატიულ განვითარებამდე კი არა, ახალ პოლიტიკურ კრიზისამდე მიგვიყვანს.

— ხშირად საუბრობენ, რომ პრეზიდენტის ძალაუფლება სუსტდება, თუმცა მთლად ასეც არაა. იგი მაინც პოლიტიკური ფიგურაა და უფლებებიც საკმაოდ რჩება. პრეზიდენტს გარკვეული ცოდნა, განათლება, გამოცდილება ხომ სჭირდება? ამ ფონზე, რამდენად სერიოზულია ხალხს ქვეყნის მთავარ მმართველად მომღერალი შესთავაზო?

— რა თქმა უნდა, სჭირდება. პრეზიდენტი რამდენიმე კრიტერიუმით უნდა შეფასდეს. თუ კონკრეტულად პაატა ბურჭულაძეზე ვსაუბრობთ, შეიძლება გამოუცდელობა იყოს მისი ნაკლი. თუმცა, მას სხვა უპირატესობები აქვს. ვიტყვი იმასაც, რომ პოზიტიური გამოცდილება არც ერთ კანდიდატს არ აქვს. ის, რომ შევარდნაძისა და სააკაშვილის მთავრობებში მაღალჩინოსანი იყავი, ეს არ შეიძლება პოზიტიურ გამოცდილებად ჩაითვალოს. ეს ნეგატიური გამოცდილებაა. ამ ლოგიკით, მაშინ პრეზიდენტად რომელიმე კანონიერი ქურდი ავირჩიოთ, რომელსაც პროფესიული მოღვაწეობის 50-წლიანი სტაჟი აქვს. ეს ხომ კარგი გამოცდილება არაა?! აქედან გამომდინარე, პაატა ბურჭულაძის გამოუცდელობა შეიძლება პოზიტივი იყოს — მას ნეგატიური გამოცდილება არ აქვს — არასდროს ყოფილა კორუმპირებული, არავინ დაურბევია. გამოცდილება — ეს კლიშეა. პოლიტიკაში, ისედაც არაორდინალურ ვითარებაში, როგორშიც საქართველოა, ასეთი რამ ხდება-ხოლმე. მაგალითად, ჰაველი აღიარებულია, როგორც აღმოსავლეთ ევროპის პრეზიდენტებს შორის ერთადერთი, რომელმაც გაამართლა. იგი დრამატურგი იყო და არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არ ჰქონდა. ასევე ითვლება, რომ ამერიკის ყველაზე დიდი პრეზიდენტი რონალდ რეიგანი მსახიობი იყო. საერთოდაც, მინდა გითხრა, რომ არავის დაუდგენია, პოლიტიკოსები მაინცდამაინს იურისტები, ფინანსისტები უნდა იყვნენო.

— რაც შეეხება რეიგანის მაგალითს, მართალია, იგი მსახიობი იყო, მაგრამ მანამდე ხომ კალიფორნიის გუბერნატორიც იყო?

— კარგი, გეთანხმები. მაშინ, რადგან ასე უნდა ვილაპარაკოთ, უფრო შესაფერის მაგალითს მოვიყვან. კერძოდ, ბიძინა ივანიშვილს, რომელიც სახლიდან პირდაპირ მთავრობის კანცელარიაში შევიდა.

— თუ ითვლება, რომ ეს ცუდი შედეგია, ამას რატომ ვიღებთ ორიენტირად?

— კი, ბატონო, ამაშიც გეთანხმები, მაგრამ ვიმეორებ დღეს საქართველოში არსებული ვითარება არაორდინალურია. ასე თუ ვიტყვით, არც მარგველაშვილს აქვს პოლიტიკური გამოცდილება. მე ვაღიარე და თავიდანვე ვთქვი — რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნება, რომელიმე გამოცდილი პოლიტიკოსი გვყავდეს, მაგრამ არსებობს მეორე პრობლემა — ქართველი გამოცდილი პოლიტიკოსების 95% კრიმინალშია გამოცდილი. ამიტომ რა ვქნათ, კრიმინალური გამოცდილების მქონე პოლიტიკოსი ავირჩიოთ?! ესეც ხომ პრობლემაა. საქართველოში გვყავდა შევარდნაძის და სააკაშვილის მთავრობები, რომლებიც ორივე კრიმინალი იყო, მათი დეპუტატების, მინისტრების, ელჩების ძირითადი საქმიანობა ბიუჯეტიდან ფულის მოპარვა, არჩევნების გაყალბება, მიტინგების დარბევა, სიცრუე იყო. ესეც ხომ გასათვალისწინებელია. ჩვენ რომ ნორმალურ, საფრანგეთის ან გერმანიის დონის ქვეყანაში ვცხოვრობდეთ, მაშინ გვეცოდინებოდა, თუ ადამიანი პროკურორადაა ნამუშევარი ე.ი. კარგი იურისტია. ჩვენთან კი თუ ადამიანი პროკურორად დიდხანს მუშაობდა, ეს ნიშნავს, რომ იგი კარგი ჯალათია, აქედან გამომდინარე, რა სჯობს — გამოცდილი თუ გამოუცდელი პროკურორი? ყველაფერი შედარებითია. პაატა ბურჭულაძეზე ჯვარი კი არ მაქვს დაწერილი, მაგრამ თუ მეტყვით, ვინ სჯობს, მის ნაცვლად რომ ავირჩიოთ, კი, ბატონო, წინააღმდეგი არ ვარ. ვიმეორებ, თუ გამოუცდელი და პატიოსანი უნდა ავირჩიოთ, ან გამოცდილი და კორუფციაში გასვრილი, პირადად მე, პირველი ვარიანტი მირჩევნია. ბოლობოლო გამოცდილება შეიძლება შეივსოს პოლიტიკური გუნდით, ხოლო თუ ადამიანი კრიმინალია, ამას პატიოსანი მრჩევლები ვერ შეავსებენ.

კი, გეთანხმებით, ბურჭულაძე იდეალური ვარიანტი ნამდვილად არ არის. ეს რისკია, იგი გაგვიმართლებს თუ არა, არ ვიცით. შეიძლება არ გაგვიმართლოს. მაგრამ სხვა ვარიანტები, რომელიც წარმოდგენილია — ეს რისკიც არაა, არამედ წინასწარ განწირული დაღუპვაა. მარგველაშვილის შემთხვევაში ზუსტად შეგვიძლია პროგნოზის გაკეთება — უახლოეს 1-2 წელიწადში საქართველოში ახალი პოლიტიკური კრიზისი, კრახი და ისევ ხელისუფლების ვადამდელი ცვლილებები გახდება საჭირო. ბურჭულაძეს აქვს შანსი. კი, ბატონო, საშუალება რომ იყოს, ავირჩევდით უკეთესს, მაგრამ ასეთ კანდიდატს ვერ ვხედავ. თუ ბურჭულაძე შეეკრა ივანიშვილს, გეთანხმებით, ისევ იმავე გზით წავალთ, მაგრამ მარგველაშვილის შემთხვევაში, ეს ნამდვილად მოხდება. ბურჭულაძესთან დაკავშირებით შანსი მაინც გვაქვს, რომ გადავრჩეთ.

— გასაგებია, მაგრამ, როგორც ამბობ, გადარჩენის და დაღუპვის შანსები თანაბარია. ჩვენს ქვეყანას ახლა ექსპერიმენტების დრო აქვს?

— არსებობს ასეთი გამოთქმა — ცხოვრება იძლევა შანსებს, იგი გარანტიას არასდროს გაძლევს. საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ამჯერად გვაძლევს შანსს, კანდიდატი არასაპარლამენტო ოპოზიციიდან ავირჩიოთ, რომელიც ხელისუფლებას დაუბალანსებს. თუ არ დაუბალანსებს, მაშინ ეს ხელისუფლება გაფრენს, ამაში 10 ათასი პროცენტით გარწმუნებთ, ამის პირველი ნიშნები უკვე ჩანს.

— ჩვენს გაზეთში ამ თემაზე სტატია დაიბეჭდა და იქ დაისვა საკმაოდ ლეგიტიმური შეკითხვა, რაც ახლა მინდა გკითხო — ბურჭულაძეს ჯონდი ბაღათურია „ბორის გოდუნოვში“ მთავარ როლზე რომ მიეწვია, ეს მისაღები იქნებოდა?

— კი, თქვენს გაზეთში იყო. ვინ დაწერა ეს სტატია?

— ეგ არ ვიცი, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ჯონდი არიას ვერ იმღერებს?

— მესმის, მაგრამ მახსოვს, თქვენი გაზეთი დიდი აღფრთოვანებით შეეგება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემობრძანებას. „საერთო გაზეთი“ პირველი იყო, ვინც მისი მიმართვები დაბეჭდა და მის პოლიტიკაში მოსვლას მთელი გულით უჭერდა მხარს. მაშინ ეს შეკითხვები არ დასმულა. ამიტომ ორმაგი სტანდარტების გარეშე უნდა გვქონდეს ერთგვარი მიდგომა. საქართველოში ერთმანეთს ვატყუებთ თუ ვის? — პაატა ბურჭულაზეს სჭირდება პოლიტიკური გამოცდილება და ივანიშვილს არ სჭირდება?

გამსახურდია პოეტი იყო და პრეზიდენტის გარდა სხვა თანამდებობა არასდროს სჭერია. რა, უკეთესი იქნებოდა, რაიკომის მდივანი აგვერჩია პრეზიდენტად? ამიტომ დღეს ჩვენ ვანგრევთ ამ იერარქიებს — პრემიერ-მინისტრად მოვიდა ადამიანი, რომელიც საჯარო მოხელე არასდროს ყოფილა და აბსოლუტურად ლოგიკურია, პრეზიდენტადაც ის ადამიანი მოვიდეს, რომელიც ჩვენს პოლიტიკურ კლასს არ ეკუთვნის. უფრო ლოგიკური იქნებოდა, პრემიერ-მინისტრად გვყავდეს გამოცდილი კადრი. დღევანდელი ჩვენი კონსტიტუციის მიხედვით, ის, რასაც წმინდა პოლიტიკური მენეჯმენტი ჰქვია, პრემიერ-მინისტრის ფუნქციაა. პრეზიდენტს კონსტიტუციით არ ევალება, ყოველდღე კანონპროექტები და ბიუჯეტის ფურცლები ქექოს. ამიტომ, თუ მაინცდამაინც გამოცდილი კადრი გვინდა, სჯობს პრემიერ-მინისტრი და მინისტრები გვყავდეს ასეთი, ნახევარზე მეტი მსახიობები და სპორტსმენები არიან. მით უფრო, რომ მარგველაშვილი ფილოსოფოსია. ოპერის მომღერალი არ შეიძლება პრეზიდენტად ავირჩიოთ და ფილოსოფოსი შეიძლება?

— თუ ბურჭულაძე დათანხმდება პრეზიდენტობას, მას მარტო მოუწევს ბრძოლა...

— რატომ მოუწევს მარტო, ჩვენ შევქმნით გუნდს. არ ვიცი ცუდი გუნდის წევრი ვარ თუ არა, მაგრამ მე ვაპირებ მის გუნდში ყოფნას. ასევე სხვებიც. გაჰყვება თუ არა ბურჭულაძე „ქართული ოცნების“ გზას, ეს ძნელი სათქმელია. ასე შეიძლება ვთქვათ, მარგველაშვილი რომ ავირჩიოთ, უცებ მფრინავი მენინგიტი დაემართოს და მეორე დღეს მთავრობის სხდომაზე ყველა მინისტრი დახოცოს, ხომ არ გაგვიხდება ეს სანანებელი?! თეორიულად ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ჩვენ რეალობაზე უნდა ვილაპარაკოთ. ეს კი შემდეგია — ყველა პოლიტიკური ექსპერტი თანხმდება, რომ სჯობს პრეზიდენტი არასაპარლამენტო ოპოზიციიდან აირჩეს. ბურჭულაძეს რეიტინგი აქვს. ესაა მოცემულობა და აქედან უნდა ამოვიდეთ. თუ არ დავუჭერთ მხარს ბურჭულაძეს, ეს ნიშნავს მარგველაშვილის პირველ და ბაქრაძის მეორე ადგილს.

— ზოგადად, ქვეყნის სამივე პრეზიდენტი — გამსახურდია, შევარდნაძე და სააკაშვილი ქართველმა ხალხმა აირჩია. თუ არჩევნები სამართლიანად ტარდებოდა, როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო?

— ეს საზოგადოების პრობლემა კი არის, მაგრამ მასაც ხომ უნდა გავუგოთ — ერთხელ მაინც ხომ უნდა ვაცხოვროთ დემოკრატიაში. ბავშვს, იცით, მარწყვს როგორ აჭმევენ? — ჩემს დას არ უყვარდა, ერთხელ დავიჭირეთ, პირი ძალით

10 gv.

გიგლა (გრიგოლ) ბარამიძე, თეოლოგი-აღმოსავლეთმცოდნე, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, პოლიტიკური დევნილი.

დაამთავრა თსუ, იყო საქართველოს პირველი ელჩი სომხეთში და სამცხე-ჯავახეთის რწმუნებული. 2004-2013 წლებში პოლიტიკური დევნილი.

დაურეკეს მიშას — რა ვქნათო? — ეგ ადრე უნდა დაგეჭირათო, — უთქვამს სააკოვს

გვესაუბრება „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ თბილისის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი გიგლა ბარამიძე

— ბატონო გიგლა, რამდენიმე დღის წინ თბილისის ოფისი გაიხსნა, პარტიამ, ფაქტობრივად, წინასაარჩევნო მოქმედებები აქტიურად დაიწყო...

— წინასარჩევნო მარათონი პრაქტიკულად დაწყებულია და ეს ორი თვე, ალბათ, არნახულად დაძაბული იქნება. პოლიტიკური გარემო საკმარისად მძიმეა, ეს იგრძნობდა შორიდანაც, საზღვარგარეთიდან, საიდანაც თვალს ვადევნებდი პოლიტიკურ მოვლენებს. ყველაფერი ცხადი გახდა მას შემდეგაც, რაც საქართველოში ჩამოვედი.

1 ოქტომბერს საზოგადოებამ ცალსახად უარყო ტოტალიტარიზმი და ძალადობა, მაგრამ სამართლიანობის აღდგენა, რისთვისაც იბრძოლა ქართველმა ხალხმა, ძალიან ნელი ტემპით ვითარდება.

ყველაფერი, რაც ხდებოდა 9 წლის განმავლობაში, იყო სისტემური დანაშაულებრივი რეჟიმი და თუ არ დავგმეთ, რაც ხდებოდა, მხოლოდ ერთი სალახანას — ბაჩო ახალაიას დაპატიმრება, მერაბიშვილის, გუნავას და ასე თითო-ოროლა დამნაშავის დაჭერა არაა საკმარისი. ჩვენ უნდა ვამხილოთ სისტემა, რომელმაც შექმნა დანაშაულებრივი სახელმწიფო ინსტიტუტები, დამნაშავეთა პრივილეგირებული ჯგუფები. ეს იყო ფსევდო-დემოკრატიული, ტოტალიტარული რეჟიმი.

— თქვენ ახლა ლაპარაკობთ რეჟიმზე, რომელიც ნელ-ნელა იქმნებოდა 9 წლის განმავლობაში. მართალია, თქვენ საქართველოში არ იმყოფებოდით, მაგრამ საქართველოში იყო ქალბატონი ბურჯანაძე, რომლის საპრეზიდენტო საარჩევნო შტაბის მარათონში აქტიურად აპირებთ მონაწილეობის მიღებას?!

— ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე და ორჯერ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებული არასდროს ყოფილა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ ჰქონია შემოთავაზება. იმ დანაშაულებრივ სისტემასთან ირიბი შეხება მას, ცხადია, ჰქონდა, რადგან იქ მუშაობდა, და ამას თვითონაც აღიარებს, მაგრამ იმ ადამიანებთან, რომლებიც ჩადიოდნენ მრავალგვარ უსამართლობას, აწამებდნენ ხალხს, ღვრიდნენ სისხლს, ქალბატონ ნინოს არასდროს ჰქონია მეგობრული და კომპრომისული დამოკიდებულება. ეს არაერთხელ გამოიკვეთა. ის იყო პირველი, ვინც გირგვლიანის მკვლელობისას გამოვიდა და მიმართა მერაბიშვილს — ეს არის უმძიმესი დანაშაული, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გამოძიებულიო, 7 ნოემბრის მოვლენებშიც გამოიკვეთა მისი განსხვავებული პოზიცია, მაშინ გამოვიდა ქალბატონი ნინო და დაშალა გამგებლების შეკრება, რომლებიც მიშა-მიშას გაიძახოდნენ, გაუღო პარლამენტის კარი სასიკვდილოდ გამეტებულ მომიტინგეებს და ა.შ. ამიტომ იმის თქმა, რომ ნინო ბურჯანაძე ყოფილი რეჟიმის ინიციატორი და მონაწილე იყო, ასე ვერ ვიტყვი. ყველას გვახსოვს, 26 მაისს რა რეპრესიები განხორციელდა მის თანამებრძოლებზე, ოჯახზე, ახლობლებზე.

— თქვენ წელან ბრძანეთ, რომ 1 ოქტომბერს „ნაცმოძრაობის“ პარპაშს დაესვა წერტილი, თუმცა ისინი იმზირებიან ტელევიზიებიდან, მათი ხმა ისმის რადიოებში, მათთან ინტერვიუები, მათი ფოტოები იბეჭდება გაზეთებში. ფაქტობრივად, ისინი არსად წასულან...

— დიახ, მეც ვხედავ ამას. ადგილობრივი ხელისუფლება, მუნიციპალიტეტები, გუბერნიები, სასამართლო, რაც უნდა თვალი დავხუჭოთ ამაზე, მათ ხელშია. ტელევიზიები მიშაზე მუშაობენ, ხალხისთვის წაღლეტილი უზარმაზარი ფინანსები მათ ხელშია, სხვა რაღა არის ძალაუფლება?! პოლიტიკური ბრძოლა მათ წინააღმდეგ არ დამთავრებულა.

სამწუხარო ის არის, რომ გამარჯვებული კოალიცია დამარცხებული გუნდის მოპასუხედ იქცა. ტელევიზიები მხოლოდ ამით არის დაკავებული.

— მიზეზი?

— ბოლომდე არაა საქმე მიყვანილი. გამარჯვებულ გუნდში ძალიან ბევრი არაპროფესიონალი და შემთხვევით მოხვედრილი ადამიანია. ძალიან ბევრს არ ჰყოფნის კომპეტენცია, გააკეთოს ის, რაც საჭიროა. ზოგჯერ ბევრი რამ სპეციალურადაც კეთდება.

თუ კარგად დავაკვირდებით, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ერთი პარტია ალთასაა, მეორე — ბალთას, საკმარისია, პრემიერ-მინისტრი აღარ იყოს ბიძინა ივანიშვილი, ეს პარტიები ერთმანეთს დაჭამენ. არ არის გამორიცხული, „ქართულ ოცნებაში“ მყოფი რომელიმე პარტია ჩუმად თანამშრომლობდეს „ნაცმოძრაობასთან“. ეს კარგად გამოჩნდა 17 მაისის აქციაზე, გამოჩნდა ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებით, აფხაზეთის თემასთან მიმართებაში, ქართველი ბიჭების უცხოეთის სამხედრო მისიებში მონაწილეობის დროს და ა.შ. აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩემი დევნილობის პერიოდში ნამყოფი ვარ ავღანეთში და ვიცი, რაც ხდება იქ. ქართველ ბიჭებს ავღანელები დამპყრობლებს ეძახიან მაშინ, როცა ჩვენ გმირებს ვუწოდებთ, ისინი ყველაზე ცხელ წერტილში — ჰელმანდში იმყოფებიან, სადაც მთელი მსოფლიოს ნარკოტიკების ბეღელია.

— ბატონო გიგლა, თქვენ არ მოგწონთ „ნაცმოძრაობა“, არ ერიდებით „ქართული ოცნების“ კრიტიკასაც — თქვენ უმრავლესობის ოპოზიციაც ხართ და ნაციონალებისაც. ოპოზიციის ოპოზიცია, მგონი, საქართველოში არსებობს მხოლოდ.

— *(ეღიმება.)* სწორი ფორმულირებაა, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ „ნაცმოძრაობას“ ჩვენ ოპოზიციად არ აღვიქვამთ. **„ნაციონალური მოძრაობა“ გახლავთ დამნაშავე პოლიტიკური ძალა, რომლის გასამართლებაზეც უნდა ვიფიქროთ.**

რაც შეეხება ნამდვილ ოპოზიციას, ეს არის „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ და ნინო ბურჯანაძე. ჩვენ „ნაცმოძრაობას“ არ ვოპონირებთ, რადგან ვიცით, რომ ესენი არიან დამნაშავეთა ბანდა და არა პარტია.

„ქართული ოცნების“ ოპონენტებიც ვართ. მიგვაჩნია, რომ ხელისუფლება ოპოზიციამ უნდა გამოაფხიზლოს.

— მხოლოდ იმის გამო ხართ ოპოზიცია, რომ ხელისუფლებას „არ ჩაეძინოს“?

— საკრიტიკო და საკამათო ბევრი აქვთ, კერძოდ, კოჰაბიტაციის პროცესი, რომელიც დაუშვებელია წმინდა წყლის კრიმინალებთან. ეს დამღუპველია ქვეყნისთვის, ისინი პასიურობენ საერთაშორისო ასპარეზზე, მიუღებელია მათი საკადრო პოლიტიკა, დამნაშავეთა დაუსჯელობა და სხვ.

„დემოკრატიული მოძრაობა — თავისუფალი საქართველომ“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ და ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ თავისი მრავალრიცხოვანი მხარდამჭერები, ფაქტობრივად, „ქართული ოცნებისკენ“ გადაამისამართა, იმ იმედით, რომ კოალიცია როცა ხელისუფლებაში მოვიდოდა, პოლიტიკურ სანაგვეზე მოისვრიდა „ნაციონალურ მოძრაობას“. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

დღეს ჩვენ ურთულესი სამუშაო გვაქვს გასაკეთებელი, პარტიას ბოლო წლებში არც ერთ არჩევნებში არ მიუღია მონაწილეობა, ახალი კადრებია შესარჩევი პარტიის მუშაობისთვის. მე, როგორც დედაქალაქის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი, ვაპირებ ახალი პარტიული, გამოცდილი კადრების მოზიდვას უფრო ეფექტური მუშაობისთვის, თუმცა არჩევნებამდე დარჩენილი დრო ძალიან მცირედ მეჩვენება.

— გამარჯვების შემთხვევაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას თქვენც ხომ არ აპირებთ?

— აუცილებლად. კიდევ ოთხი წელიწადი 40%-იან „ნაცმოძრაობას“ პარლამენტში ვეღარ ვუყურებთ.

თუმცა, ჩემი აზრით, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებობენ დაინტერესებული პოლიტიკური ჯგუფები, რომლებსაც აწყობთ ჩვენს ქვეყანაში პარლამენტის დაკომპლექტების ასეთი კონფიგურაცია.

— ქალბატონ ნინოს სამართლიანობის დამკვიდრებაში, ხომ არ შეუშლიან ხელს ისინი, ვინც „ქართულ ოცნებას“ „ნაცმოძრაობასთან“ კოჰაბიტაცია აიძულა?

— მე ბიძინა ივანიშვილს არ ვგულისხმობ, მაგრამ ბევრი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, ნინო ბურჯანაძეს არც ერთ უცხოურ პოლიტიკურ დაჯგუფებასთან პოლიტიკური თუ რაიმე სხვა სახის ვალდებულებები არ გააჩნია.

26 მაისს ჩვენს პარტიას და ქართველ ხალხს გადაუარა „ნაცმოძრაობამ“ და ზონდერჯგუფებმა, გვყავს პოლიტპატიმრები, მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეძელით ხმის ამოღება ისე, რომ არც შინაური და არც რომელიმე გარე ძალა ჩვენი თანამგრძნობი და აშკარა მხარდამჭერი არ ყოფილა.

არავის ანაღვლებს ჩვენი ბედი. ჩამოვიდა აპატურარი და მაშინ, როცა სამებაში ავღანეთიდან ჩამოსვენებული ბიჭების ცხედრები ესვენა, 17 მაისს ლგბტ საზოგადოებისთვის დემონსტრაციაში ხელის შეშლაზე მიგვითითა. ხალხს მეტი პატივი უნდა სცეს ყველამ.

— ხალხი ახსენეთ და იმ გამოკითხვების შედეგები უნდა შეგახსენოთ, ნავაროს უწყებამ რომ გამოაქვეყნა ახლახან. სხვა სოციოლოგიურ გამოკითხვებშიც არ ლიდერობს ქალბატონი ბურჯანაძის სახელი. თქვენ ამბობთ, რომ მრავალრიცხოვანი მხარდამჭერები გყავთ, „ენ-დი-აი“ და „აირაი“ სულ სხვა რამეს ამტკიცებენ. რას ეყრდნობიან ეს ორგანიზაციები?

— „აირაი“ და „ენ-დი-აი“ ხშირად კონიუნქტურულ მოსაზრებებს ეყრდნობიან. მახსოვს, 1 ოქტომბრამდე რამდენიმე დღით ადრე მათი კვლევების მიხედვით, „ნაცმოძრაობას“ 70% უნდა აეღო.

ეს ორგანიზაციები თვითონ არ ატარებენ ამ კვლევებს, ისინი იხდიან ფულს და უკვეთენ ქართულ ორგანიზაციებს, ეს ორგანიზაციები კი რატომღაც დავალებულნი არიან „ნაცმოძრაობისგან“.

რაც შეეხება ქალბატონი ნინოს რეიტინგს, იგი დღითიდღე იზრდება. ერთ-ერთი სოციოლოგიური გამოკითხვით, მეორე ადგილზეა 17%-ით.

— იმ ქართულ ორგანიზაციებში რომელიმე არასამთავრობოს ხომ არ გულისხმობთ? მათი ნაწილი ხშირად საზოგადოებრივი აზრის საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

— ესენი არიან არა არასამთავრობოები, არამედ სპეცსამსახურები. „ნაცმოძრაობამ“ ნამდვილი არასამთავრობოები გაანადგურა და მათ ნაცვლად ესენი შექმნა. ახლა რომ ამბობს, 9 წელიწადი ვიყავით ხელისუფლებაშიო, 9 კი არა, 1995 წლიდან ფლობენ ძალაუფლებას, მასმედიაც მათ ხელში იყო და სხვა საკვანძო სტრუქტურებიც შევარდნაძის ხელისუფლებაში. მე კარგად მახსოვს ეს.

— თქვენ მაშინ სამცხე-ჯავახეთში იყავით გუბერნატორად, არა?

— ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დამოუკიდებელი საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი ვიყავი სომხეთში, ეს ისტორიული თანამდებობაა, რადგან პირველი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვიყავი სხვა ქვეყანაში და ევროპაში ყველაზე ახალგაზრდა უმაღლესი დიპლომატი.

მერე, როდესაც საქართველოს ხელისუფლებას ძალიან გაურთულდა ურთიერთობა, სამცხე-ჯავახეთში გადამიყვანეს. „მოქალაქეთა კავშირის“ წევრი არასდროს ვყოფილვარ. მოგვიანებით კი, როცა „მოქკავშირის“ წევრებმა „ნაცმოძრაობა“ შექმნეს, დაპირისპირებები დაიწყო ჩემსა და მათ შორის, ძირითადად, ეროვნულ ნიადაგზე. მათ აწყობდათ არეულობა სამცხე-ჯავახეთში, ხელს აძლევდათ რეგიონში ე.წ. შავი ბიზნესი, მე კი იქ ვიყავი იმიტომ, რომ ქართული საქმე მეკეთებინა. დიდი წინააღმდეგობები იყო, ჩემი ხელით ვხსნიდი არაქართულ დროშებს, უვნებელვყოფდით შეიარაღებულ ფორმირებებს. ჩემს დროს ჩავასახლეთ იქ აჭარლები, ჩემს დროს გავიდნენ რუსი სამხედროები ჯავახეთიდან. იქ წესრიგის დამყარება „ნაცმოძრაობას“ არ უნდოდა და გამოჩნდა კიდევაც ეს. როგორც კი გაუჭირდა „ნაცმოძრაობას“, ჯავახეთში სეპარატიზმზე ალაპარაკდა.

10 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

8 gv.

გავაღებინეთ, ვაჭამეთ და ამის მერე მარწყვი ძალიან უყვარს. ასეა საზოგადოებაც. მას ერთხელ მაინც თუ არ გავასინჯეთ, რა არის დემოკრატია, როგორ მიხვდება, რა არჩევანი გააკეთოს? საზოგადოებას 21 წელია, ვატყუებთ, ვძარცვავთ, ვარბევთ და ვეუბნებით, რომ ეს დემოკრატიაა. მოდი, გავასინჯოთ ერთხელ, რა არის ნამდვილი დემოკრატია და მერე ვნახოთ, თუ აირჩევენ 80%-ით. მაგრამ ხალხს ნებისმიერი მთავრობა თითებს ამტვრევს — გინდა თუ არა, 90% მინდაო. რა ქნას საზოგადოებამ? მოხდება იგივე, რაც შევარდნაძის და სააკაშვილის დროს მოხდა. თუ „ქართული ოცნებაც" ძალაუფლების კონცენტრაციას დაიწყებს, გაიბერება, როგორც ტკიპა და გასკდება, ეს გარდაუვალი ფაქტია. ჩემი აზრით, სწორედ აქეთკენ მიდიან. სადაც შემიძლია რუპორით ვეუბნები — არ გინდათ, ნუ აკეთებთ ამას, გასკდებით. ასე რომ, ქართული საზოგადოება არაფრითაა სხვაზე უარესი, უბრალოდ, ჩვენ დემოკრატიული ცხოვრების ტრადიცია არ გვაქვს.

საქართველოში სულ მალე ახალი პროდასავლური კოალიცია შეიქმნება, რომლის წევრები (ბაქრაძე, ალასანია, უსუფაშვილი) პირველ რიგში ხელისუფლებიდან ბიძინა ივანიშვილის და ირაკლი ღარიბაშვილის მოშორებას შეეცდებიან

— მოსახლეობა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს. როგორ ფიქრობ, უნდა დადგეს თუ არა ეს საკითხი დღის წესრიგში და რა შედეგს მივიღებთ?

— რა თქმა უნდა, ეს საკითხი უნდა დადგეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ბიძინა ივანიშვილმაც გადადგომა გამოაცხადა იმიტომ, რომ ხალხმა მანდატი პირადად მას მისცა. ისედაც, თუ გვინდა სწორი პოლიტიკური სისტემა შევქმნათ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები აუცილებელია. ჩემი აზრით, საქართველოს ხელისუფლებაში დღეს არაკომპეტენტური პოლიტიკოსების სიჭარბეა, პრობლემა ესაა. არ მინდა ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ რა არის დემოკრატია და პოლიტიკა, ბევრმა არ იცის. გადახედეთ შემადგენლობას, შეიძლება ზოგს ჯონ კენედი ინგლისის მეფე ჰგონია. ამიტომ რეალურად პოლიტიკა ვინც იცის, ისიც იცის, რომ ქვეყანას ვადამდელი არჩევნები სჭირდება. იმიტომ, რომ ტერიტორიული მთლიანობა, დასაქმება, ეკონომიკური ზრდის, სოციალური საკითხების გადაწყვეტის წინაპირობა სტაბილური პოლიტიკური სისტემაა. ეს აქსიომაა, ამაზე ნუ ვიდავებთ. მეორე აქსიომა ისაა, რომ ევროპული კულტურის ქვეყანაში პოლიტიკური საფუძველი — სისტემის სტაბილურობა შეიძლება მხოლოდ მრავალპარტიულ პოლიტიკურ სისტემას ემყარებოდეს. ერთპარტიული სისტემა, რომელიც მეზობელ აზერბაიჯანში მუშაობს, საქართველოში ვერასდროს იმუშავებს. იმიტომ, რომ ჩვენ ქრისტიანული ქვეყანა ვართ. აზერბაიჯანის კულტურაში კი არის, რომ მათ უნდა ჰყავდეთ შახი და პარლამენტის და მრავალპარტიულობის არანაირი საჭიროება არ არის. ამიტომ თუ მრავალპარტიული პარლამენტი გვინდა, „ნაციონალები", როგორც კრიმინალური ორგანიზაცია უნდა მოვიშოროთ და საქართველოს პარლამენტში ვისაც ხალხის ნდობა აქვს, ის პარტიები უნდა დარჩნენ.

ბიძინა ივანიშვილს პირადად რომ ვიცნობდე, ვეტყოდი — ახლა მის წინააღმდეგ კოალიცია „ქართული ოცნება" მუშაობს. „ნაცმოძრაობამ" კამიკაძის ქამარი რომ შემოირტყას, ბიძინა ივანიშვილს მაინც ვერაფერს დააკლებენ. ივანიშვილის მთავარი პოლიტიკური მტერი კოალიცია „ქართული ოცნებაა".

— მარგველაშვილის გამარჯვების შემთხვევაში რა მოცემულობას მივიღებთ. ალბათ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც არ დაინიშნება — ეს ხომ არც „ნაცებს" აწყობთ და არც „რესპუბლიკელებს"? ამიტომ არჩევნების გაყალბებას ხომ არ უნდა ველოდოთ?

— გეტყვით, რა გეგმა აქვს „რესპუბლიკურ პარტიას" — უახლოეს ერთ წელიწადში საქართველოში შეიქმნება ახალი პროდასავლური კოალიცია, რომლის წევრებიც დავით ბაქრაძე, ირაკლი ალასანია და დავით უსუფაშვილი იქნებიან. პირველი, რასაც ეს კოალიცია გააკეთებს, იქნება ის, რომ ხელისუფლებიდან ბიძინა ივანიშვილს და ირაკლი ღარიბაშვილს მოიცილებს. ეს მოვლენათა განვითარების ლოგიკაა. რადგან უფრო დამაკონკრეტებინე, ამას ვგულისხმობდი, როცა ვთქვი, რომ „ქართული ოცნება" ბიძინა ივანიშვილის მთავარი მტერია იმიტომ, რომ ამ სცენარის განვითარებისთვის თავად აკეთებენ ყველაფერს. „ნაცმოძრაობამ", „მოქკავშირმა" დაუშვა ეს შეცდომა და იგივეს იმეორებს „ქართული ოცნებაც". ჩვენ 3 ათასწლოვანი კულტურა გვაქვს და ამას ვერც ივანიშვილი შეცვლის და ვერც პავლე ღობეგლეჯიაშვილი. ნუ ვედრებით სხვა ქვეყნების კულტურას. აზერბაიჯანში პრეზიდენტმა კანდიდატად თავისი ცოლი დაასახელა. ჩვენთან ეს ხომ არანორმალური იქნება. აქ პრობლემა, იცით, რა არის? — ფეხბურთს რაგბის წესებით თამაშობენ. ამიტომაც ყოველთვის მერე ყველა დასახიჩრებული და დაბრმავებულია. ფეხბურთი ფეხბურთის წესებით უნდა ითამაშო, მაგრამ ესენი რაგბისტები არიან და რა ქნან?! ერთი ფეხბურთელი უსუფაშვილია და იმასაც უხარია, რომ რაგბის წესებით თამაშობენ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

დაურეკეს მიშას — რა ვქნათო? — ეგ ადრე უნდა დაგეჭირათო, — უთქვამს სააკოვს

9 gv.

ჩემსა და მათ შორის დაპირისპირება იმით დაიწყო, რომ მე არ მივეცი საშუალება, იქ ოფისები გაეხსნათ, პირადად **მერაბიშვილს არ მივეცით საშუალება, იეჰოვერული სექტებისთვის იქ სამლოცველო სახლები აეშენებინათ. ამ სექტების წარმომადგენლებმა უცხოეთიდან მას 6 მლნ დოლარზე მეტი გამოუყვეს, რათა სამცხე-ჯავახეთში მიწები ეყიდა და იქ სამლოცველო სახლები აეგოთ.**

სააკაშვილი და მერაბიშვილი იყვნენ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების უკან, რომლებიც ჯავახეთში მიწებს აღრიცხავდნენ და ამისთვის გამოეყოთ 11 მლნ დოლარი. მათთან პარტნიორობდა **ამირან მესხელიც**. სანამ იქ ვიყავი, თავიანთი ბინძური საქმეების კეთების საშუალება არ მივეცი. მართლმადიდებელი ვიყავი და რადგან საკუთარი ქვეყანა და რწმენა „ნაციონალებისთვის" ცარიელი სიტყვები იყო ყოველთვის, მუდმივად მქონდა მათთან დაპირისპირება.

1995 წელს ჩემს კოლეგასთან, უნიჭიერეს კაცთან, რაიონის მაშინდელ გამგებელთან ხმამაღალი საუბარი მომიწია სამხედრო ნაწილში. „ნაციონალებმა" ეს გააფორმეს ისე, თითქოს მე მშვიდობიან მოსახლეობას ზედმეტი ხმაურით ვურღვევდი ძილს და ამ ნიადაგზე 2004 წელს დამიწყეს დევნა. ვისაც ჩემი საქმის შეთხზვა დაავალეს, კეთილსინდისიერი კაცი აღმოჩნდა და ჩვენს საერთო მეგობარს დაურეკა ამერიკაში: ბარამიძის დაჭერას მავალებენ, ორ საათში სახლიდან აიყვანენო.

ისედაც ვგრძნობდი ბოლო დღეებში მუდმივ თვალთვალს, მანქანა დამყვებოდა, მაგრამ თუ მართლა მითვალთვალებდნენ, რას წარმოვიდგენდი.

— ვინ იყო ეს ხალხი?

— შსს-ს თანამშრომლები. **ოქრუაშვილი** გახლდათ მაშინ მინისტრი.

იმ ხანებში მასთან ურთიერთობა არ მქონია, მერე უკვე დევნილობაში ყოფნისას, როცა თვითონაც საფრანგეთში იყო „განდევნილი".. იქ მცხოვრებ ჩემს მეგობარს შემთხვევით შეხვედრია. მეგობარმა დამირეკა — ერთ კაცს დაგალაპარაკებო და გადასცა ტელეფონი ოქრუაშვილს. ირაკლიმ, ისე, რომ თავი არ უმართლებია, მითხრა: შენს საქმეში მე არაფერ შუაში ვარო.

— მოკლედ, სააკაშვილი და მერაბიშვილი გერჩოდათ მხოლოდ და ოქრუაშვილი არა?

— როგორც შემდეგ გავიგე, ოქრუაშვილის კაბინეტში მერაბიშვილმა, ბოკერიამ, ადეიშვილმა, უგულავამ გადაწყვიტეს ჩემი საქმე. ერთ დღესაც თურმე აჯამებენ დღეს — ვინ დაიჭირეს, ვინ გაძარცვეს, ვინ დაატერორეს და ა.შ. მერაბიშვილს ჩემზე უთქვამს: ეს რომ სახლში ზის, რატომ არ ვიჭერთ მაგასო? იმ ხანებში ჩემი წიგნი გამოვიდა, ტელევიზორში ვიყავი და ეტყობა, მეხსიერებაში აღუდგათ ჩემი სახე. მაშინ უმუშევარი ვიყავი და ვანოსთვის უთქვამთ: რა ჯანდაბად გვინდა ეგ, ფული მაგას არ აქვს და არაფერიო. ზუსტ ტექსტს გიყვებით. ვისაც შემდეგ სისხლის სამართლის საქმის შეთხზვა დაავალეს, იმან მიამბო ყველაფერი. მერე რა, რომ ფული არ აქვს, ეგ არის ჩვენი პირველი მტერიო, მამამისიც სოროსზე წერს წერილებსო, აკადემიკოსი იყო მამაჩემი და განათლების სისტემის ნგრევას ვერ ეგუებოდა. ეგო, აქამდე გარეთ როგორ არისო, და დაურეკეს მიშას, სააკოვს. რა ვქნათო? — ეგ ადრე უნდა დაგეჭირათო, — უთქვამს სააკაშვილს.

ვინც ეს მიამბო, მისგან თანხმობა არ მაქვს, თორემ სახელს და გვარსაც გეტყოდით

იმ ადამიანის, ვინც ამ ამბავს ესწრებოდა.

აბა, ჰე, და დაიწყეს ფაფხური, მოძებნეს გამომძიებელი და მოსამართლე, ვინც ჩემს საქმეს შექმნიდა და წამოვიდნენ ჩემს დასაჭერად.

სხვათა შორის, ის გამომძიებელი და მოსამართლე თვითონვე დაიჭირეს და სამი წლით ციხეში ჩასვეს, საქმეებს პროფესიონალურად ვერ „კერავენო".

მოკლედ, ღამის თორმეტის ნახევარია და ძალიან დაღლილი სახლში ვზივარ, მირეკავს ჩემი მეგობარი ამერიკიდან — შენს დასაჭერად მოდიან, წადი სახლიდანო. როგორც მეცვა, სპორტული შარვლით გადავძვერი მეორე სართულის ფანჯრიდან და წავედი. მთელი ჩემი ავლადიდება იყო 200 ლარი.

მერე საათნახევარში გადაუკეტავთ ქუჩა, შემოვარდნილან სახლში, გაუჩხრეკიათ ყველაფერი...

— ვინც თქვენ ამერიკიდან დაგირეკათ, „ნაციონალების" მეგობარიც იყო და თქვენი მეგობარიც?

— *(ეღიმება.)* ის ძალიან კარგი ბიჭია. ამერიკაში ბიზნესი აქვს. არის ვაჟკაცი, ლამაზი, მოდური. ასე დაწერეთ. მალე გამოჩნდება საქართველოში და შეგახვედრებთ აუცილებლად.

— პოლიტიკაში ჩაერთვება?

— არ ვიცი, ეს მისი გადასაწყვეტია. მოკლედ, იმას დაურეკა ამერიკაში შსს-ს თანამშრომელმა, რომელსაც საქმის შეკერვა დაევალა ჩემს წინააღმდეგ.

მე გავიქეცი. ჩემს სახლში კი რამდენიმე კვირის განმავლობაში ინტენსიური ჩხრეკები მიმდინარეობდა. მამაჩემს ტვინში სისხლი ჩაექცა და გარდაიცვალა. ჩემს 11 წლის გოგონას ნერვიულობისგან თვალის ბადურა ჩამოეშალა და დაბრმავება დაეწყო. ნათესავები, ბიძაშვილები, სიძე, ყველა დაიჭირეს...

ერთი სიტყვით, 27 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა სწორი არჩევანი უნდა გააკეთოს, რომ სამართლიანობა აღსდგეს საქართველოში, ის პოლიტემიგრანტები დაბრუნდნენ და ემსახურონ ქვეყანას, მით უმეტეს, რომ განუკითხაობის წლებში, რაც საქართველომ გაიარა 9 წლის მანძილზე, უამრავი პრობლემა დაგროვდა და უამრავი საქმეა გასაკეთებელი.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მსოფლიო პრესის მიხედვით

საქართველოს დაუბინდავი თვალით შეხედეთ

უსიამოვნოა, რომ ჩვენ, დასავლელი ანალიტიკოსები ძალით თავს ვახვევთ ჩვენს ფასეულობებს და იმავდროულად, უგულებელვყოფთ და ვკიცხავთ კიდეც ადგილობრივი პრიორიტეტების ლეგიტიმურობას. ბევრი ქართველისთვის ეს, უკეთეს შემთხვევაში, ქედმაღლობაა, უარეს შემთხვევაში კი — ორპირობა.

დასავლეთის მედია, კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს გაშუქებისას, სამწუხაროდ, ძლიერ მიდრეკილებას იჩენს სიმბოლიზმის მიმართ და ამით რეალობა ზარალდება.

ბევრს ეგონა, რომ საქართველოში უსასრულო პოლიტიკური გაურკვევლობა 2012 წელს ხელისუფლების შეცვლით დასრულდებოდა, სინამდვილეში კი, ბოლო შვიდი თვე ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა. ახალმა მთავრობამ მართლაც, მიაღწია წარმატებებს ზოგიერთი მნიშვნელოვანი რეფორმის განხორციელებისას, მაგრამ ასეთი ინიციატივები ნაკლებად შეიმჩნევა სასოწარკვეთილი განწყობების გამოხატვისას.

დიდი გამოძახილი ჰქონდა თბილისში გეების დარბევას და რამდენიმე დღეში ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის დაკავებას. ამ მოვლენებზე დასავლეთის პოლიტიკოსებისა და მედიის რეაქცია არ ყოფილა კონსტრუქციული. ამ რეგიონისთვის ასეთი რამ უკვე ტიპიურია: ეს არის მიდრეკილება სიმბოლიზმის მიმართ რეალობის საზიანოდ.

17 მაისის დემონსტრაციაზე რეაქცია იყო ერთგვარად პარადოქსული და ირონიულიც — როცა მართლმადიდებელ ექსტრემისტთა ჯგუფი თავს დაესხა მშვიდობიან მიტინგს, რომელიც თბილისის ცენტრში ჰომოსექსუალისტთა უფლებების დასაცავად გაიმართა.

სისასტიკისა და ძალადობის საშინელი გამოვლინების შემდეგ, დასავლეთის მიმომხილველებმა და ქართველმა ლიბერალებმა, ბუნებრივია, მოითხოვეს, დაესაჯათ დამნაშავეები. როცა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ბრალდებით ერთ დროს მრისხანე შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, ხოლო მოგვიანებით პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი დააკავეს, იმავე კომენტატორებმა დაიწყეს ლაპარაკი შემდეგზე: ეს დაკავება სხვა არაფერია, თუ არა იმის მცდელობა, რომ ჯერ ერთი, 17 მაისის მიტინგის დარბევიდან ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანონ და მეორე — ეს არის ახალი მტკიცებულება ვენდეტისა, რასაც საქართველოს ახალი ხელისუფლება ეწევა.

განმაქიქებელთა უმრავლესობა ამბობს. რომ მერაბიშვილის დაკავება ეს არის თავნებობისა და პოლიტიკური დევნის მაგალითი, ხოლო 17 მაისის მოვლენებში მონაწილე რვა ადამიანისთვის ბრალის წასაყენებლად ხელისუფლებას მეტისმეტად დიდი დრო დასჭირდა. აზროვნების ასეთი დისონანსი დამახასიათებელია დასავლეთის მედიისთვის, როცა ის ქართულ პოლიტიკას ოდნავ მაინც მიაპყრობს ყურადღებას და აშუქებს მას.

რასაკვირველია, 17 მაისის მიტინგის დამრბევები უნდა დაისაჯონ; საქართველოს ხელისუფლებამ კი ყველაფერი უნდა გააკეთოს საიმისოდ, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს, რადგან უმცირესობების უფლებების დაცვის გარეშე ნამდვილი დემოკრატია ვერ იარსებებს. 2011 წლის მონაცემებით, ქართველების უმეტესობა — 88 პროცენტი უარყოფით დამოკიდებულებას ავლენს ჰომოსექსუალიზმის მიმართ და გაზვიადებული იქნებოდა იმის თქმა, რომ ქუჩაში გამოსული და მიტინგის დამრბევი რამდენიმე ათასი რადიკალი, სტატისტიკურად, მთელ საქართველოს წარმოადგენს.

მოსახლეობას არ მოსწონს ცხოვრების ასეთი სტილი, მაგრამ 17 მაისს თავმოყრილი ხალხი სპონტანურად არ შეკრებილან. ეს იყო კარგად ორგანიზებული კონტრდემონსტრაცია და იმ ექსტრემისტული დაჯგუფებების მორიგი ნაბიჯი, რომლებიც თავს ესხმიან უმცირესობების დამცველებს, ლიბერალებსა და ჰელოუნის მოყვარულებს, თუმცა ისინი აქამდე ჯერ არავის დაუსჯია.

დასავლეთის ზოგიერთი ხელისუფალისა და ანალიტიკოსთა რეაქციის მიუხედავად, უსარგებლო და არაკორექტულია, ამ ძალადობაში ახლანდელი ხელისუფლება დაადანაშაულო. მართალია, ხელისუფლება მზად არ აღმოჩნდა ძალადობის ასეთი გამოვლენისთვის, მაგრამ არც ნამოქმედარი უნდა დავუკარგოთ: მან დაიწყო მოძალადეების დაკავება და სცადა უმცირესობების დაცვა, მათ შორის (ეს ძალზედ მნიშვნელოვანია) საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს.

17 მაისის მოვლენებამდე, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა არაორაზროვნად განაცხადა, რომ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქეები არიან და საზოგადოება ამას ნელ-ნელა „მიეჩვევა“. დარბევის შემდეგ პრემიერი დაჰპირდა ხალხს, რომ დამნაშავეები დაისჯებოდნენ და ხელშეუხებელი სასულიერო პირებისთვის „ალიბი არ იარსებებს“.

პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა უფრო დააკონკრეტა — გააკრიტიკა ეკლესია, რომ მისი წარმომადგენლები ხალხთა უმართავი მასის მოქმედებებში მონაწილეობდნენ. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს მმართველ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა, არაფერი, თითქმის არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მართლმადიდებელ ექსტრემისტთა ძალადობის ესკალაცია მოეთოკა.

ბევრი დასავლელი ანალიტიკოსი 17 მაისის ტრაგედიას, შეცდომით, უშუალოდ მერაბიშვილის დაკავებას უკავშირებს, ყველაფერში დამნაშავედ კი ახალი ხელისუფლება გამოჰყავს. 17 მაისის მოვლენები — ეს იყო რეაქციული ფასეულობების გამოხატულება, ხოლო მერაბიშვილის დაკავება ხაზს უსვამს პოლიტიკური ხელისუფლების სადამსჯელო და რეპრესიულ ხასიათს. ოქტომბერში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდგომ ბევრი ადამიანი დააკავეს და დაჰკითხეს, მაგრამ წინა ხელისუფლების არც ერთი მაღალჩინოსანი არ გაუსამართლებიათ; მხოლოდ ორი მათგანი — ბაჩო ახალაია და ვანო მერაბიშვილი იმყოფებიან საგამოძიებო იზოლატორში. სხვათა შორის, შარშანდელ ციხის სკანდალში მონაწილე დაბალი რანგის მოხელეების მიმართ განაჩენი მეტისმეტად რბილი აღმოჩნდა. საქართველოში არანაირი რეპრესია და მარწუხების მოჭერის პოლიტიკა არ არსებობს.

საქართველოში მიმდინარე მოვლენების სერიოზული თვალისმიმდევნებლებისთვის მერაბიშვილის დაკავება არაფრით არის გამორჩეული მოვლენა. მისი დაკავება, გარემოებების გათვალისწინებით, არც ისე ხელსაყრელ მომენტს დაემთხვა; არადა, წინა ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას მისი ნახელავი ეტყობა. რაც შეეხება შარშანდელ ციხის სკანდალს, მერაბიშვილს ადანაშაულებენ იმაში, რომ მან გასცა ვიდეოჩანაწერების გაკეთების ბრძანება.

შარშან აგვისტოში ჩატარდა საიდუმლო ოპერაცია, რომლის დროსაც სროლა მიმდინარეობდა გაურკვეველი წარმომავლობის „ბოევიკებსა“ და საქართველოს სპეცდანიშნულების დანაყოფს შორის, ანუ საქართველოს სახალხო დამცველმა და ერთმა დამოუკიდებელმა ჟურნალისტმა მერაბიშვილსა და ამ „ბოევიკებს“ შორის კავშირი აღმოაჩინეს.

მერაბიშვილი გარეულია აგრეთვე სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში, რომელსაც საბედისწერო შეცდომა მოუვიდა და რომელმაც შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრის მეუღლეს, სავარაუდოდ, შეურაცხყოფა მიაყენა. მერაბიშვილს ხშირად იცავენ ისინი, ვისაც მიაჩნია, რომ მან ბევრი სასიკეთო ცვლილება დანერგა სამინისტროში. ეს არის სახელმწიფო მმართველობის შესახებ ცინიკური შეხედულებების ომლეტი. არ არის გამორიცხული, მერაბიშვილი გარემოებებისა და ასოციაციების მსხვერპლიც იყოს, მაგრამ მისი დაკავებაც ნურავის გაუკვირდება.

მაისში ქართულმა სააგენტომ ჩემგან აიღო ინტერვიუ და ჟურნალისტმა სკეპტიკურად მკითხა: რატომ გამოცოცხლდნენ დასავლელი კრიტიკოსები, რომლებიც განგაშს ტეხენ 17 მაისის მოვლენებში სასულიერო პირების მონაწილეობის გამო და იმავდროულად, არანაირ ინტერესს არ იჩენენ წინა ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მიმართ. კარგი პასუხი ვერ მოვძებნე — ვილაპარაკე ამ ამბების შეუთავსებლობაზე, იმის მნიშვნელობაზე, თუ რამდენად აუცილებელია დამნაშავეთა დასჯა. ძალიან უსიამოვნოა, რომ ჩვენ, დასავლელი ანალიტიკოსები ძალით თავს ვახვევთ ჩვენს ფასეულობებს და იმავდროულად, უგულებელვყოფთ და ვკიცხავთ კიდეც ადგილობრივი პრიორიტეტების ლეგიტიმურობას. ბევრი ქართველისთვის ეს, უკეთეს შემთხვევაში, ქედმაღლობაა, უარეს შემთხვევაში კი — ორპირობა.

რასაკვირველია, დასავლეთმა უნდა დაიცვას უმცირესობების უფლებები. დემოკრატიულ საზოგადოებაში შეუწყნარებელია გეებისა და სხვა უმცირესობების წინააღმდეგ ძალადობა, მით უმეტეს, თუ ეს საზოგადოება კარგა ხანია, ევროატლანტიკური ალიანსის წევრობას ესწრაფვის. წინა რეჟიმის თავნებობისა და უკიდურესობების გამოსწორების სურვილი არანაკლებ ლეგიტიმური და დასაბუთებული მისწრაფებაა.

ქართველების უმრავლესობის აზრით, წინა ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება ყოველდღიური რეალობა იყო. მართალია, დასავლეთმა ხმა უნდა აღიმაღლოს შურისძიების მოტივით სადამსჯელო ოპერაციების წინააღმდეგ, რადგან ასეთი შურისმაძიებლური განწყობა დიდ ზიანს მიაყენებს საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში აუცილებელ ინიციატივებს, განსაკუთრებით კი — ეკონომიკურ განვითარებას. არაფერია ცუდი იმაში, რომ მიმდინარეობს უსამართლობის იმ ფაქტების გამოძიება, რომლისთვისაც სამართლებრივი დევნა მიმდინარეობს.

საქართველოში მიაჩნიათ, რომ შარშანდელ არჩევნებში დასავლეთი მხარს ერთიან ნაციონალურ მოძრაობას უჭერდა, მაგრამ ბევრისთვის თბილისი ურყევად კვლავ პროდასავლურ პოზიციაზეა. ევროატლანტიკური ორგანიზაციებისკენ მისწრაფებას არაფერში ადგება საქართველოში მიმდინარე ღია სისხლისსამართლებრივი გამოძიებები, რომელთა წარმოჩენას პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ ვენდეტად აფასებენ.

საქართველოში მიმდინარე მოვლენებში დასავლეთის მიმომხილველები გამუდმებით ეძებენ ერთგვარად გრანდიოზულ, ტექტონიკურ მნიშვნელობას, არადა, სინამდვილე ბევრად უფრო გამჭვირვალეა. 17 მაისის მოვლენები არ არის იმის მტკიცებულება, რომ საქართველო რადიკალური თეოკრატიის გზას დაადგა, ხოლო მერაბიშვილის დაჭერა კი, გარდაუვალი რეპრესიების ტალღაა.

წინა ხელისუფლებას შესანიშნავად ესმოდა, თუ რა ძალა გააჩნია პოლიტიკურ სიმბოლოებს; მაგრამ საქართველო არ არის სიმბოლო — იქ რეალური ადამიანები ცხოვრობენ. დასავლეთმა არ უნდა განიხილოს საქართველო, თითქოს იგი მის პოზიციებს ირეკლავს ან ლიბერალური ფასეულობების გაყალბებული ეტალონია. 17 მაისის მოვლენები და მერაბიშვილის დაპატიმრება არ არის ბრძნული მეტაფორები, რომლებიც წესრიგისა და დისციპლინის, რუსეთისა და დასავლეთის, ან ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და მმართველი კოალიცია „ქართული ოცნების“ დაპირისპირებაა.

დასავლეთმა ყველაფერი უნდა გააკეთოს საიმისოდ, რომ დაეხმაროს საქართველოს განვითარებაში და მის მართლაც დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნაში. ჩვენ ცუდ სამსახურს გავუწევთ ამ ხანგრძლივ პროცესს, თუკი თბილისის ზომიერ მცდელობას, გაერკვეს წინა ხელისუფლების უსამართლობებში, პოლიტიკურ რეპრესიებად შევაფასებთ და პარალელს გავავლებთ უკრაინასთან, რომელმაც დემოკრატიის გზას გადაუხვია. თუკი დასავლეთი სერიოზულად ლაპარაკობს დემოკრატიული იდეალების განვითარებაზე, მან რეკომენდაციები უნდა გაუწიოს თბილისს, როგორ გაერკვეს სერიოზულ სამართალდარღვევებში და არ შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ეს ყველაფერი არც ყოფილა.

მაილ სესაირი
The American Interest

„იცით, რა შემომითვალა ალასანიამ? ეგ სახლი დამითმოს და არაფერს გადაახდევინებენ, ისე გამოუშვებენო...“

„საერთოო გაზეთი“ აგრძელებს სააკაშვილის რეჟიმის მიერ რეპრესირებულთა თემას, რომლებსაც ქონების წართმევა არ აკმარეს და ციხეშიც გამოამწყვდიეს. ამ ადამიანებს შორისაა ცნობილი მეცნიერი ***ნაპოლეონ ქარქაშაძეც,*** *რომელიც სხვადასხვა დროს იკავებდა საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტისა და აგრარული უნივერსიტეტის რექტორების თანამდებობას. დაპატიმრების დროს იყო სოფლის მეურნეობის აკადემიის პრეზიდენტი, ამჟამად იგი ხსენებული აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა.*

- ბატონო ნაპოლეონ, რამდენადაც მახსოვს ნაცხელისუფლებას უნივერსიტეტის საცდელი მეურნეობის მიწების გასხვისებასთან დაკავშირებით ჰქონდა თქვენს მიმართ პრეტენზია. ამ მიზეზით დაგაკავეს? იქნებ ისიც გვითხრათ როგორ გასხვისდა ეს მიწები.

- უნივერსიტეტის შენობა და მთელი ქონება უზურფრუქტით გვქონდა გადმოცემული. როდესაც შევხედე, რომ სარემონტო ფულიც კი აღარ გვქონდა უნივერსიტეტში, იძულებული გავხდით დიღმის მეურნეობის სახელმწიფოსთვის დაბრუნებაზე გვეფიქრა, რადგან ვეღარ ვუვლიდით. მთავრობის წინაშე დავაყენე საკითხი, რომ წაეღოთ ეს მეურნეობა. დღეს, ბობოლა ნაციონალების ვილები სწორედ ამ მეურნეობის მიწებზე დგას. შევარდნაძე კარგად მიცნობდა, მითხრა, შემოვიდა წინადადება, რომ ეს ნაკვეთები ხალხზე გავცეთ და შენ რა აზრის ხარო, დავთანხმდი. ინსტიტუტის და მეურნეობის თანამშრომლებს ძალიან უჭირთ და თუ 1000-1000 კვ.მეტრ მიწის ფართობებს მათზეც გასცემთ, ასევე ქალაქის ინტელიგენციაზე, მწერალთა კავშირის წევრებზე კარგი იქნება-თქო. შევარდნაძეს ეს აზრი მოეწონა, უცხოეთში ელჩებს ვაგზავნით და მათაც გადავცეთო. მოკლედ, განაწილდა ეს მიწები შევარდნაძის ხელმოწერით, ერთი ნაკვეთი მეც ავიღე. ისიც მინდა გითხრათ, რომ ამ მიწების განმკარგავი მე კი არა, მცხეთის რაიონის მიწის მართვის სამსახური იყო. უნივერსიტეტში სპეცილური კომისია ჩამოვაყალიბეთ და მისი მეშვეობით განაწილდა ის ფართობები, რაც ჩვენ გადმოგვეცა. იმ პერიოდში (1993-94 წწ.) სააკაშვილის ბაბუამ, გივი ალასანიამ, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში დაუსწრებელი დარგის პრორექტორი იყო, ექვსი ნაკვეთი აიღო ე.წ. ქოში გორაზე და შემოღობა.

- გივი ალასანიასთან დაპირისპირებული ხომ არ იყავით და შვილიშვილმა შური ხომ იძია?

- 2004 წელს გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვალერიან მეტრეველი. დამიკავშირდნენ აკადემიის წარმომადგენლები, მივიღე კონკურსში მონაწილეობა და ამირჩიეს აკადემიის პრეზიდენტად. ამ აკადემიას 17 კვლევითი ინსტიტუტი, უზარმაზარი მეურნეობები და ღვინის ქარხნები ჰქონდა და სერიოზული პატრონობა სჭირდებოდა ამ ყველაფერს. ჩვენი აკადემიის შემოსავალი სამჯერ აღემატებოდა მეცნიერებათა აკადემიის შემოსავალს. ამ დროს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გახდა. როგორც გითხარით ბაბუამისი ჩემი რექტორობის დროს დაუსწრებელი სწავლების პრორექტორი იყო. მინდა გითხრათ, რომ ეს სექტორი ყველაზე ცუდი სამართავი იყო უნივერსიტეტში. როგორც კი საქართველო დამოუკიდებელი გახდა, მაშინვე შეევედი მთავრობაში წინადადებით, რომ დაუსწრებელი სწავლება მილევად რეჟიმში გადაგვეყვანა. აქ სწავლობდა ხალხი, რომლებსაც გარკვეული თანამდებობები ეკავათ, შენ კი მათ ორთვიანი ლექციების კურსის გასავლელად ეძახდი, რაც მათ არ აწყობდათ, რადგან სამსახურში საქმე უფუჭდებოდათ. მერე მოდიოდა სასესიო პერიოდი, თვენახევარი დამატებით იძახებდნენ, რომ კონსულტაციები გაევლოთ და გამოცდები ჩაებარებინათ. მოკლედ, ამ სექტორის მსმენელების უმეტესობა ფულს იხდიდა, რომ ვითომ გაიარეს კურსი და გამოცდებიც ჩააბარეს. ეს ფული კი ცხადია, იმის ჯიბეშიც მიდიოდა ვინც ამ სექტორს ხელმძღვანელობდა.

რამდენჯერმე დაიწერა ამის შესახებ, მეც მომწერეს ცუდი ამბები ხდებაო. დავუძახე გივი ალასანიას და წავაკითხე ეს წერილი. გამოცდები ვინც ვერ ჩააბარა, მათი მოგონილია, მემტერებიანო. გავაფრთხილე, არეული სიტუაციაა და ხალხს სალაპარაკოს ნუ მისცემთ-თქო. ამ პერიოდში (1996-97 წწ.) სააკაშვილი უკვე პარლამენტარი იყო. წერილები მაინც შემოდიოდა, ზოგს ვხევდი, 70 წლის კაცს ციხეში რომ არ გამეშვა.

ერთხელაც უკვე რეგისტრირებული წერილით მოვიდნენ, სადაც ალასანიას გარდა, მისი თანამშრომლების გვარებიც იყო ჩამოწერილი, ეს ხალხი უნდა დავაკავოთ, დავკითხოთ და ბრალი წავუყენოთო. მათ ვთხოვე, რომ ეს არ გაეკეთებინათ, დაუსწრებელი სექტორი ისედაც მინლევად პროცესშია, მიღება აღარ გვაქვს, 2-3 წელიწადში ყველაფერი დამთავრდება და ამ ხალხს ციხეში ნუ გამაშვებინებთ-თქო. გივი ალასანიას წავაკითხე ეს წერილი და ვკითხე როგორ მოვქცეულიყავით. ალასანიას ცრემლები წამოუვიდა, უფლება მომეცით საკუთარი განცხადებით წავიდეო. მიშა სახლში რომ მივიდა, უკითხავს, ბაბუა რატომ იყო სახლში, რაზეც ბებიას (მზია წერეთელს) უპასუხია, ბაბუა ნაპოლეონ ქარქაშაძემ სამსახურიდან გამოაგდო და მისი ადგილი გაყიდაო. ეს ნათქვამი, როგორც ჩანს დაიმასხოვრა სააკაშვილმა.

უნივერსიტეტიდან წასული ალასანია სოფლის მეურნეობის აკადემიაში გადავიდა და აკადემიას დაქვემდებარებულ თელეთის დიდი მეურნეობის დირექტორად დაინიშნა, რომელსაც უზარმაზარი მეცხოველეობის კომპლექსიც ჰქონდა. ეს მეურნეობა მთლიანად გაანადგურა ალასანიამ. გაყიდეს ტექნიკა, პირუტყვი, თუჯის და სხვა ლითონის სარწყავი მილებიც კი ამოყარეს და ჯართად გაყიდეს. ვერ გავახმაურე, რადგან მისი შვილიშვილი უკვე პრეზიდენტი იყო.

ჩემი აკადემიის პრეზიდენტად არჩევიდან მოკლე ხანში გაზეთ „კვირის ქრონიკაში“ დაიბეჭდა სტატია, აგრარული უნივერსიტეტის ფონზე ჩემი დიდი ფოტოთი და წარწერით, როგორ გაყიდა ხსენებული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ნაპოლეონ ქარქაშაძემ უნივერსიტეტის ქონება, მიწები, როგორ გამოაგდო სამსახურიდან პრეზიდენტ სააკაშვილის ბაბუა და შევარდნაძის ძმისშვილი კაკო შევარდნაძე. კაკო თავის დროზე კვალიფიკაციის დარგის პრორექტორი იყო, მერე ეს დარგი საერთოდ აღარ იყო და ეს ადამიანი თავისთავად წავიდა უნივერსიტეტიდან. გაზეთის ჟურნალისტმა დამირეკა, რედაქციაში წერილი შემოვიდა, რომელსაც ხელს აწერს დოცენტი ქაცარავაო. კარგად ვიცოდი, რომ ეს ქაცარავა უშიშროების აგენტი იყო. ეს იყო მექრთამე კაცი, რომელმაც ქრთამის აღების მთელი სქემა შეიმუშავა, თავისი ცოლიც ჰყავდა ჩართული. მერე ვიღაცამ იჩივლა და ეს საქმე „გასკდა“. ქაცარავამ კი, ყველაფერი ცოლს გადააბრალა. ასეთი კაცის „დავერბოვკება“ დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. მოკლედ, უშიშროების სამინისრომ დააწერინა ქაცარავას ეს წერილი (იმ პერიოდში შსს და უშიშროება ცალკე სამინისტროები იყო და ამ უკანასკნელს ვანო მერაბიშვილი ხელმძღვანელობდა – მ.ს.), რედაქციასაც პირდაპირი მითითება მისცეს, რომ გამოექვეყნებინათ. ხმა გავრცელდა, რომ სს-ის საქმეც აღიძრა. ვიფიქრე მხოლოდ მოწმედ დამკითხავდნენ, მაგრამ მაინც გავიარე კონსულტაციები ახლობელ იურისტებთან. მათ მითხრეს, თუ ეს სააკაშვილის, ზურაბ ჟვანიას, ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ადეიშვილის, განსაკუთრებით იმ პირველი ორის, უშუალო დავალება არ არის, მაშინ საშიში არაფერია, ამაზე შეიძლება მხოლოდ მოწმედ დაგკითხონ, მაგრამ თუ ეს მათი დავალებაა, მაშინ ციხე არ აგცდებაო. არ დავიჯერე, ვიფიქრე ამ ხნის კაცს, საერთასორისო დონის მეცნიერს ასე უმიზეზოდ როგორ გამიშვებენ ციხეში, ქვეყანა მართლა ჩალით ხომ არ არის დახურული-თქო.

ერთი სიტყვით, ველოდები როდის დამიბარებდნენ დასაკითხად. ახლობლებმა მირჩიეს საზღვარგარეთ წავსულიყავი, მაგრამ უარი ვთქვი. ამით ხომ ვაღიარებდი არ არსებულ დანაშაულს?! პროკურატურაში რომ დამიბარეს, იქ გავიგე რეალურად რას მედავებოდნენ, დიღმის მეურნეობაში არსებული მინი ღვინის ქარხნის გაყიდვის ისტორია აინტერესებდათ, რატომ გაყიდეთო. ჯერ ერთი, მე ქარხნის გაყიდვის უფლება არ მქონდა, ჩვენ მხოლოდ ის ვთხოვეთ მთავრობას, რომ დაბრუნებინათ ქარხანა. აბა, რატომ მისწერეთ წერილი შევარდნაძეს, რომ ეს მინი-ქარხანა რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი ქარჩავასთვის პირდაპირი მიყიდვის წესით მიეყიდათო. ასეთი რამ მართლაც მქონდა მიწერილი. ამ ქარხანას მანამდეც ჰყავდა ბევრი მყიდველი, რადგან კარგ ადგილზეა, ორი ჰექტარი ტერიტორია ჰქონდა, მაგრამ მე არ ვიყავი უფლებამოსილი გამეყიდა, მაგრამ ქარჩავამ ძალზე ხელსაყრელი პირობები შემოგვთავაზა.

მისი წინადადებები ცხადია, მისაღები იყო, მაგრამ მაინც მივმართე განათლების სამინისტროს, შევარდნაძისთვის ამგვარი წერილის მიწერა დარღვევა ხომ არ იქნებოდა. არა, შენ განკარგულებას ხომ არ აძლევ, შევარდნაძე თუ მოისურვებს, უფლება აქვს პირდაპირი წესით მიყიდოსო. მერე ნაციონალებმა ერთ ლარად რომ მიყიდეს ბენდუქიძეს აგრარული უნივერსიტეტი, ეს აღარ იყო თურმე დარღვევა. ეს საკითხი სამეცნიერო საბჭოზეც გავიტანე და ყველა დაეთანხმა. მე არ ვიცი რამდენად შეფასდა და გაიყიდა ხსენებული ქარხანა, არც მაინტერესებს, ფაქტია, რომ ქარჩავამ ყველა პირობა შეასრულა.

შემედავნენ, ქარხანა აუქციონზე რომ გაეყიდათ, ბიუჯეტი 30.000 ლარით მეტ მოგებას მიიღებდაო, არადა 24 კომპიუტერში ქარჩავამ 48.000 ლარი გადაიხადა, ფაქტობრივად სახელმწიფომ 12.000 ლარი მოიგო. რაც მოგიყევით, ეს ყველაფერი დავუწერე პროკურატურაში, მითხრეს მეტი კითხვები აღარ გვაქვსო და დაპატიმრების ორდერი წარმომიდგინეს, ხელი მოაწერეთო. წამიყვანეს „მოდულში“, სამი დღე იქ დავყავი. რა აჟიოტაჟი მოყვა ჩემს დაკავებას აღარ მოვყვები. გამომძიებელმა შეადგინა დაკითხვის ოქმი და ბრალად წამიყენეს, სამსახურებრივი უფლებამოსილებს ბოროტად გამოყენება, რაც 3-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, რაც იმას გულისხმობდა, რომ მინიმუმ ხუთ წელს მაინც მომისჯიდნენ. შემიფარდეს 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა და გადამიყვანეს ორთაჭალის ციხეში. გამომძიებელი სულ იმას მეუბნებოდა, მე არაფერი შემიძლია, ზემოდან გვაქვს ასეთი ბრძანებაო.

- ციხეში რა პირობებში იყავით?

- თავიდან მკაცრი რეჟიმის საკანში მომათავსეს, მივხვდი ჩემი „დამუშავება“ უნდოდათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მერე სხვა საკანში გადამიყვანეს, სადაც ჩემი თანამოსაკნეები იყვნენ ოთხი

→

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

გენერალი, გენერალი დუმბაძეც ჩემთან იჯდა, ოთხი ყოფილი მინისტრი, ყოფილი პროკურორები, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, მოკლედ, აკადემიის პრეზიდენტიღა ვაკლდი. აქ უკვე კარგ პირობებში ვიყავი, პატიმრებიც დადებითად იყვნენ ჩემს მიმართ განწყობილი. შემდეგ დამიყადაღეს მთელი ქონება, მარტო მე კი არა ჩემს ქალიშვილსაც, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, სამი შვილის დედას. თურმე ამ ქონების წარმომავლობას ვერ ვადასტურებდით, არადა, ვინ გისმენდა. აკადემიის კუთვნილი ,,მერსედესიც" მიაყოლეს, მერე ამ ავტომანქანით როლანდ ახალაია სარგებლობდა. სამი თვე ისე გავიდა, ვერანაირი სამხილი ვერ მომიძებნეს და პატიმრობა კიდევ ორი თვით გამიგრძელეს. საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებმა ერთი ამბავი რომ ატეხეს, ჩვენმა მეცნიერებმა სამწუხაროდ ,,ჩაისვარეს", იძულებული გახდნენ საპროცესო გარიგება შემოეთავაზებინათ. სასამართლო პროცესზე არ წავსულვარ, ამ ფარსში მონაწილეობას ვერ მივიღებდი. მოვითხოვე, სასამართლო ციხეში ჩაეტარებინათ. პროცესზე ციხის კლუბში რომ მივყავდი, ყველას უკვირდა, თურმე ციხეში მხოლოდ მძიმე კატეგორიის დამნაშავეების პროცესები ტარდება. საპროცესო გარიგებაზე უარი ვთქვი, არჩადენილ დანაშაულს ვერ ვაღიარებდი. ბოლოს დათანხმდნენ ბრალის აღიარების გარეშე გაეფორმებინათ. თავიდან სამი მილიონის გადახდა მომთხოვეს, გამომძიებელ მურცხვალაძეს ლამის თავზე გადავახიე საბუთები, ამხელა ფული მთელ ქარქაშაძეების გვარს არ ექნება-თქო. მერე მილიონნახევარზე ჩამოვიდნენ, ამაზეც უარი ვთქვი, ბოლოს 195.000 მაინც გადაიხადეთ, თორემ ხუთ წელს მოგისჯიან და რა გარანტია გაქვთ ციხიდან ცოცხალი გახვალთო. გარეთ შვილიშვილები გრჩებათ, მათ უსაფრთხოებაზეც იფიქრეთო. როგორც იქნა შემიგროვეს ოჯახმა და ახლობლებმა ეს თანხა და 108 დღიანი პატიმრობის შემდეგ ხელწერილით გამომიშვეს, რომ არსად გავიქცეოდი. 45.000 დოლარი მქონდა ბანკში, ჩემი და ჩემი მეუღლის წლობით დანაზოგი (ისიც მეცნიერებათა დოქტორი იყო, ორგზის სოცილისტური გმირის შვილი) საპროცესოს თანხაში არ ჩამითვალეს, ისიც კონფისკაციას დაუქვემდებარეს.

- თქვენგან ,,დავალებულ" გივი ალასანიას დახმარება არ სთხოვეთ?

- ვეძისში მეზობლად ვცხოვრობდით მე და ალასანია და იცით რა შემომითვალა? ეგ სახლი დამითმოს და არაფერს გადაახდევინებენ, ისე გამოუშვებენო, მერე ეტყობა შეეშინდა და უარი თქვა. ვიცი რომ უდანაშაულო ხარ, მაგრამ მიშას ვერაფერს ვეტყვი, ვითომ ვერ უბედავდნენ, არ მისმენსო. მერე შემომითვალა მე და ჩემი მეუღლე დასასვენებლად იტალიაში მივდივართ და შენი საქმის მოგვარებას ჩემს დისშვილს, გია კვარაცხელიას დავავალებ, ის მოგხედავთო. გია კვარაცხელია კი მივიდა ჩემს ქალიშვილთან, მაგრამ დახმარების მაგიერ მოტყუებით გამოართვა საპროცესოსთვის სიმწრით შეგროვილი 35.000 დოლარი, მე შევიტანო და უკვალოდ გაქრო.

არჩევნების შემდეგ, როგორც კი შეიცვალა სიტუაცია ადვოკატი ავიყვანე და პროკურატურაში საჩივარი შევიტანე. მოვითხოვ, ჩემს რეაბილიტაციას და ქონების დაბრუნებას, დაახლოებით 600.000 ლარის ქონება წამართვეს. დღეს ეკონომიკის სამინისტროს მფლობელობაშია ჩემი და ჩემი შვილის სახლები, ჩამორთმეული მიწის ნაკვეთიც ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა, სახელმწიფოს გარდა არავინ მყავს მოდავე. პროკურატურას ვთხოვე რომ ცალკე განეხილათ ამ ქონების საკითხი და დაებრუნებინათ. ასეთი საქმე სულ 30-ია, მათ განხილვას დიდი დრო არ სჭირდება. რაც შეეხება ჩემს მიმართ არსებულ სს-ის საქმეს და თავისუფლების სანაცვლოდ გადახდილ 195.000 ლარს, ეს თანხაც დასაბრუნებელი აქვს სახელმწიფოს, მაგრამ დაველოდები შესაბამისი კომისიის შექმნას (რასაც ასე აჭიანურებს ნაცებთან კოჰაბიტაციაში მყოფი პარლამენტი) და გადაწყვეტილების მიღებას.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

საპრეზიდენტო კანდიდატთა სიას ორი ადამიანი მოაკლდა

ცესკოში დარეგისტირებული საპრეზიდენტო კანდიდატების რაოდენობა შეიცვალა. 11 ივლისის მონაცემთან შედარებით, კანდიდატების რაოდენობა ერთით შემცირებულია. დღევანდელი მონაცემებით, ცესკოში საპრეზიდენტო არჩევნებში ექვსი საპრეზიდენტო კანდიდატია დარეგისტრირებული.

ცესკოს მონაცემებით, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი: მიხეილ (გელა) სალუაშვილი, საინიციატივო ჯგუფის კანდიდატი: ნესტან კირთაძე, საინიციატივო ჯგუფის კანდიდატი მამუკა ჭოხონელიძე, საინიციატივო ჯგუფის კანდიდატი ნიკოლოზ გორგიჯანიძე, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის კანდიდატი შალვა ნათელაშვილი და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის კანდიდატი გიორგი თარგამაძე. ეს უკანასკნელი კანდიდატად სამი დღის წინათ დარეგისტრირდა.

რამდენიმე დღის წინ საპრეზიდენტო კანდიდატებად დარეგისტრირებულნი იყვნენ ასევე საინიციატივო ჯგუფის კანდიდატი: ტარიელ ხვედელიძე და საინიციატივო ჯგუფის კანდიდატი გიორგი გახოკია. ისინი დღეს სიაში აღარ არიან. მათ არასრულყოფილი დოკუმენტაციის წარდგენის გამო ცესკომ საბოლოო რეგისტრაციაზე უარი უთხრა.

რუსუდან შარაძე მამის მკვლელობის ორგანიზებაში მეგის ქარდავას ადანაშაულებს

პროფესორ გურამ შარაძის ქალიშვილი რუსუდან შარაძე მამის, გურამ შარაძის მკვლელობის ორგანიზებაში მეგის ქარდავას ადანაშაულებს.

როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე რუსუდან შარაძემ განაცხადა, ის დღეს უკვე დადასტურებით აცხადებს, რომ მამამისის მკვლელობის ორგანიზება სამეგრელოში მოხდა.

როგორც რუსუდან შარაძე განმარტავს, გურამ შარაძის საქმეში გამოჩნდა ახალი მოწმე, რომელიც ყოფილი პოლიციელია და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციაში მუშაობდა.

,,შეგნებულად არ ვასახელებ ამ პროცესის ყველა მონაწილეს, რადგან მათგან არაერთი დღესაც ძალოვან უწყებაში მუშაობს. გურამ შარაძის საქმეში გამოჩნდა ახალი მოწმე, რომელიც ყოფილი პოლიციელია და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციაში მუშაობდა. სამსახურებრივი ურთიერთობა ჰქონდა თენგიზ გუნავასთან, მეგის ქარდავასთან და კოხტა კოდუასთან. იყო მათი ნდობით აღჭურვილი პირი. მოწმემ გურამ შარაძის მკვლელობის ორგანიზების დავალება პირადად მეგის ქარდავასგან მიიღო. დავალების თანახმად, მოწმეს სამეგრელოდან თბილისში ძალოვანი უწყებიდან უნდა წამოეყვანა ორი კონკრეტული პირი, რომელთაც მამაჩემი თბილისში უნდა მოეკლათ. ჩემთვის ცნობილია ამ ორი პირის ვინაობა. ერთ-ერთი მათგანი ცოტა ხნის წინ გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა, მეორის ადგილსამყოფელი ჩემთვის ცნობილია. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მოწმეს უნდა დაკავშირებოდა ე.წ. ,,მასტერა'', რომელიც გააცნობდა მკვლელობის შემდეგ გეგმას. მეგის ქარდავას დავალებით მოწმეს კონკრეტული თანხა გადასცეს. ჩემთვის ცნობილია ამ თანხის რაოდენობაც, მაგრამ დღეს მისი დასახელებისგან თავს შევიკავებ. რაც შეეხება ცეცხლსასროლ იარაღს, ის პირადად კოხტა კოდუამ გადასცა აღნიშნულ მოწმეს. მოწმემ მეგის ქარდავას დავალების შესრულებაზე უარი თქვა, რის გამოც ის და მისი ახლობლები ტერორის ქვეშ იმყოფებოდნენ. ჩემთვის ცნობილია ერთ-ერთი ფაქტის შესახებ, როდესაც სამხარეო პოლიციის მაშინდელმა უფროსმა, ყოფილმა გუბერნატორმა და ამჟამად მსჯავრდებულმა თენგიზ გუნავამ მოწმეს, რომელიც მაშინ მისი დაქვემდებარებული პირი იყო, ზეწოლის განხორციელების მიზნით თავის არეში უმოწყალოდ სცემა. ამ ადამიანმა მამაჩემზე ხელი არ აწია, არ მოკლა და დღეს უკვე პროკურატურას ჩვენება მისცა და ის ოფიციალურად დაიკითხა''-განაცხადა რუსუდან შარაძემ

ფარული ვიდეოკადრები თავდაცვის სამინისტროშიც აღმოაჩინეს

პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრები თავდაცვის სამინისტროშიც აღმოაჩინეს, რომელიც შესაბამის საგამოძიებო უწყებებს გადაეცა და თავდაცვის მინისტრისთვის, ირაკლი ალასანიასთვის უცნობია, ამ მომენტისათვის რა ეტაპზეა გამოძიება.

როგორც ირაკლი ალასანიამ დღეს ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, ეს არ არის ის მასალები, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში აღმოაჩინეს.

,,ეს სხვადასხვა მასალაა, თუმცა რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია, აქტორები, დამგეგმავები და განმახორციელებლები სავარაუდოდ ერთი ჯგუფია. როგორც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში, ასევე სამხედრო პოლიციაში ფაქტობრივად ერთი ფიგურანტები იყვნენ, მიგრაცია იყო ერთი უწყებიდან მეორეში. გამოძიება რა ეტაპზეა, მე ვერ გეტყვით, მაგრამ ვინც კი სავარაუდო ეჭვმიტანილი შეიძლება იყოს ასეთ ქმედებებში, არც ერთი არ არის სამხედრო პოლიციაში'',-განაცხადა ალასანიამ და დასძინა, რომ სამხედრო პოლიციამ თვისობრივად იცვალა სახე და მათი ფუნქცია სწორედ სამართალდარღვევების პრევენციაა შეირაღებულ ძალებში.

მისი განმარტებით, სამხედრო პოლიციას არანაირი პოლიტიკური, ან ზედმეტი ოპერატიული ფუნქცია არ გააჩნია.

მისივე თქმით, სექტემბრიდან სამხედრო აკადემიაში სამხედრო პოლიციის კურსი გაიხსნება და ყველა სამხედრო პოლიციელი ვალდებული იქნება სამხედრო პოლიციის კურსი გაიაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერ გააგრძელებს საქმიანობას სამხედრო პოლიციაში'',-განაცხადა ალასანიამ.

ვინ იყო დენ სიაო პინი და რატომ გაახსენდათ იგი მაინცდამაინც ახლა, ბიძინა ივანიშვილის განცხადების შემდეგ

ბატონი ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს, სადაც მან კიდევ ერთხელ გაიმეორა და ამჯერად დაა-კონკრეტა კიდეც, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წავა, არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. წერა-კითხვასთან მწყრალად მყოფმა „ნაცებმა“, „არიქა, გვეშველა, ივანიშვილი მიდისო!“ – სიხარულისგან ლამის საყოველთაო „მაღარიჩი“ გადაიხადეს, ივანიშვილის ავტორიტეტზე ჩამოკიდებულმა „ძალიან ქოცებმა“ კი გლოვა გამართეს წინსწრებით; ოპტიმისტებმა – ტესტი ჩაატარაო, პესიმისტებმა – რას ჰქვია წავა! ბიძინას უჭირავს ხელში ყველა და ეგ რომ წავიდეს თავზე დაგვემხობა 1 ოქტომბერი, მობრუნდებიან „ნაცები“ და ზოგს ციხეებში ამოგვალპობენ, ზოგს გაგვჟუჟავენო;

ხალხის რეაქციას მეორე დღესვე გამოეხმაურა პრემიერი, პოლიტიკიდან წასვლის განზრახვა არ ნიშნავს ქვეყნიდან წასვლას, მხოლოდ საზოგადოებრივ სექტორში გადასვლას და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების გეგმებს უკავშირდება, იქ ვიქნები, სადაც ყველაზე რთულადაა საქმე, თორემ პრეზიდენტად ჩვენს შორის საუკეთესო იქნება არჩეული, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარე ხომ ისედაც ძალიან კარგი გვყავსო.

საქმეში წერა-კითხვის მცოდნენიც ჩაერთვნენ ორივე მხრიდან და პრემიერ ივანიშვილის წასვლის შემთხვევაში სავარაუდოდ როგორ წარიმართება მოვლები, ამის შესახებ სცენარები წარმოადგინეს. ბატონი რეზო ამაშუკელის მიერ „წვერებიან ბებიად“ შერაცხულმა გია ნოდიამ ბრძანა, თუ ბიძინა მართლა წავიდა, სამი სცენარი შეგვიძილია წარმოვიდგინოთო და მოკლედ ჩამოაყალიბა.

1 იმპერატორ დიოკლეტიანეს სცენარი – იმპერატორმა თავისი საქმე გააკეთა და გადადგა, რის შემდეგაც, როგორც ამბობენ, უმეტესად თავისი ბაღჩის მოვლით იყო დაკავებული.

ძირითადი განსხვავება ჩვენს შემთხვევასთან – ხსენებულმა იმპერატორმა 31 წელი მართა და ისტორიკოსთა შეფასებით, ბევრიც მოასწრო.

2 ივანე მრისხანეს სცენარი – ბოიარების ქცევებით გაბეზრებული მეფე მიდის რათა შემდეგ იგივე ბოიარები მუხლებზე ჩოჩვით შეევედრონ, დაბრუნდიო, დაბრუნების სანაცვლოდ კი მეფე მეტ მორჩილებას მოითხოვს. ანალოგიური რამ ვნახეთ დაახლოებით ოცი წლის წინ თბილისში, როცა ხალხი მუხლებზე დაუდგა გადამდგარ ედუარდ შევარდნაძეს. ისიც დაბრუნდა და ამ მანევრით „მხედრიონზე“ პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა.

ძირითადი განსხვავება ჩვენს შემთხვევასთან – ივანიშვილს თითქოს მისი გარემოცვა არ ეურჩება, ამაზე მეტი რაღა ქნან?

3 დენ სიაო პინის სცენარი – 1992-1997 წლებში ჩინეთის მთავარ არქიტექტორს ოფიციალური თანამდებობა არ ეკავა, მაგრამ რეალურად სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელად ითვლებოდა.

ბატონი პრემიერი რა „სცენარს“ გეგმავს, არავინ იცის, მაგრამ რატომ გაახსენდათ დენ სიაო პინი, ვინ იყო იგი?

დავიწყოთ იმით, რომ პინი პირადად მონაწილეობდა 1917 წლის მოვლენებში რუსეთში, იცნობდა სტალინს, ლენინს, ტროცკის და შემდგომში პინის აქტიური მონაწილეობით მოხდა რევოლუცია ჩინეთში.

ტანმორჩილი მაგრამ გამჭრიახი გონების პინი მიხვდა, რომ აუცილებელი იყო გრანდიოზული რეფორმა ჩინეთში და დაიწყო კიდეც. პინი იმასაც მიხვდა, რომ ამერიკელ ინვესტორს უპირველეს ყოვლისა, სტაბილურობის დონე აინტერესებს ამა თუ იმ ქვეყანაში და არა დემოკრატიულობის ხარისხი და ამის მკაფიო მაგალითი დაიდო კიდეც – იმ დროისთვის, როდესაც აშშ, რომელიც მკაცრად აკრიტიკებს ჩინეთს ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო, ჩინეთის ეკონომიკაში ასეულობით მილიარდი დოლარის ინვესტირებას ახდენს, უკვე აფუთფუთებულ საბჭოთა კავშირ-რუსეთში კი მხოლოდ 170 მილიონი დოლარისას...

დიდი რეფორმატორისა და ჩინეთის ეკონომიკის ამყვავებლის დენ სიაო პინის ხსენებისას ყველას „აავიწყდება“, რომ იგი სიცოცხლის ბოლომდე ჭკვიან და სასტიკ დიქტატორად დარჩა და მის კისერზეა 1989 წლის მაისში ტიან-ან-მინის მოედანზე ჩინეთის არმიის მიერ მისი ბრძანებით 10 000 მოკლული სტუდენტის სისხლი.

შორსმჭვრეტელმა პინიმ სწორედ საკუთარი გათვლებიდან გამომდინარე თქვა „არ აქვს მნიშვნელობა რა ფერისაა კატა, მთავარია, თაგვებს იჭერდეს კარგად“...

რადგან ბატონი ივანიშვილის აშკარა პოლიტიკიდან ნაჩქარევად წასვლის შემდეგ მემკვიდრის საკითხზე, შესაძლო ქურდობა-მამაძაღლობის დაწყებასა და კოალიციის წამოყენებულ საპრეზიდენტო კანდიდატზე ბევრი მოსაზრება გამოითქვა, თანაც, ყველა ვარაუდით დენ სიაო პინისკენ მივყევართ, ისევ პინის მივუბრუნდეთ.

წლების წინ დასავლეთის პრესაში პოპულარული იყო გამოთქმა „ვინ არის მისტერ ჰუ?“ – რადგან სიტყვაძუნწი ჰუ ძინ ტაო მხოლოდ პარტიისა და ქვეყნის მართვის შესახებ საუბრობდა ჟურნალისტებთან და ისიც ძალიან მშრალად და ოფიციალურ ენაზე.

რადგან დღეს უკვე ვიცით ვინ არის ჰუ ძინ ტაო, ახლა ის ვიკითხოთ, საიდან მოდის?

ჰუ თავდაპირველად საკუთარმა ქალიშვილმა წარუდგინა დენ სიაო პინს 80-იანი წლების დასაწყისში. შემდეგ, უკვე 1989 წელს, როდესაც ტიბეტში ეთნიკურ ნიადაგზე მოხდა ამბოხება, ჰუც ისევე სწრაფად და სასტიკად გაუსწორდა ამბოხებულებს, როგორც დენ სიაო პინი თიან მენზე. ამით ჰუმ დიდი ნდობა და სიმპათია დაიმსახურა და 1992 წელს დენმა იგი ჩინეთის კომპარტიის ყრილობაზე პოლიტბიუროს მუდმივმოქმედ ჯგუფში შეიყვანა, ამასთანავე ძიან ძე მინის ოფიციალურ მემკვიდრედ დაასახელა. ძიან ძე მინს მემკვიდრედ საკუთარი მოადგილე ძენ ცინ ხუნი ეგულებოდა, მაგრამ დენის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ წინააღმდეგობის გაწევაც კი ვერ გაბედა.

ისევ სწორად გათვალა დენმა და ჰუმ საკუთარი მენეჯერული ტალანტის სრულად რეალიზება შეძლო, ქვეყნის ეკონომიკა მეორე ადგილზე გავიდა აშშ-ის შემდეგ. ჩინეთის სავალუტო რეზერვებმა კოლოსალურ ციფრს (3,4 მლრდ) მიაღწია და ჩინეთი მსოფლიოს უდიდეს კრედიტიორად აქცია. (ბლუმბერგის მონაცემებით, „ზეციისქვეშეთის“ რეზერვები საკმარისია იმისათვის, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ცენტრალურ ბანკებში შენახული ოქრო ორჯერ გამოისყიდოს)

სწორედ ჰუს მმართველობის პერიოდში გახდა ჩინეთი გლობალური მოთამაშე და მისი ეკონომიკური ინტერესები დაფიქსირდა მსოფლიოს ყველა, შორეულ კუთხეებშიც კი.

მნიშვნელოვანი მომენტი – ჩინეტის ეკონომიკის არნახული ნახტომის კვალდაკვალ უდიდესი სოციალური ზღვარი გაივლო საზოგადოებრივ ფენებს შორის, მაღალ ეშელონებში კი კორუფციამ საგანგაშო მასშტაბები მიიღო, ჯინის ინდექსმა ჩინეთის ისტორიაში უმაღლეს მაჩვენებელს 6-ს მიაღწია...

როდესაც ჟურნალმა „ფორბსმა“ მსოფლიოს უძლიერეს მამაკაცად პირველი ადგილი ჰუს არგუნა და გვერდზე ჩააჩოჩა ბარაკ ობამა, უძლიერეს ქალბატონად კი ანგელა მერკელი, ეს რატომღაც ჟურნალისტურ თამაშად მონათლეს, მაგრამ მერკელისა და ჰუს ტანდემმა სეულში თავისი სიტყვა თქვა. „დიდი ოცეულის“ სამიტზე მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ქვეყანათა სახელმწიფო და მთავრობის მეთაურებმა საკუთარი თვალით იხილეს როგორ განსაზღვრავენ მსოფლიო სტრატეგიას ძლიერი პიროვნებები...

2011 წელს არაბულ ქვეყნებში დაწყებულმა საპროტესტო ტალღამ ჩინელი აქტივისტებიც გამოაცოცხლა, მაგრამ ჩინეთის მთავრობამ რეპრესიული მანქანა მომართა, გამკაცრდა კონტროლი ინტერნეტზე, დაიწყო როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ჟურნალისტებზე ზეწოლა, დააკავეს და დაკითხეს ადამიანის უფლებათა დამცველი აქტივისტები და ბლოგერები, რომელთაგან, ზოგი ჩინეთის მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებების ბრალდებით დააპატიმრეს, ზოგს ანტიკომუნისტური ფიქრების ტვინიდან გამოსაბერტყად შინაპატიმრობა მიუსაჯეს – ბუზიც ვერ აუფრინა მსოფლიომ და ადამიანის უფლებების უდიდესმა დამცველმა აშშ-მა...

ისევ დენ სიაო პინის მივადექით – ჩინეთის აღებული პოლიტიკური და ეკონომიკური კურსი მისი მოდელია, რომელიც სამ საყრდენზე იყო დაფუძნებული. დენმა კომუნისტური პარტიის ლეგიტიმურობა არა იდეოლოგიაზე, არამედ ეკონომიკურ წარმატებაზე დააფუძნა. ეკონომიკურმა პრაგმატიზმმა (თავისუფალ ბაზარზე გადასვლა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია) მოუტანა ჩინეთს არნახული ეკონომიკური ზრდა.

მეორე საკვანძო რეფორმა პოლიტიკაში მოხდა – გააუმჯობესა ურთიერთობები აშშ-სთან და საგარეო პოლიტიკაში იდეოლოგიურ აქცენტებზე უარი თქვა. ჩინეთმა გადაწყვიტა ეკონომიკური და სხვა სახის ურთიერთობები ჰქონოდა ნებისმიერ სახელმწიფოსთან, რომელიც მას (არა ტაივანს) აღიარებდა ქვეყნის ტერიტორიების ერთადერთ წარმომადგენლად. მისი პოლიტიკა კონფლიქტების თავიდან აცილებასა და საერთაშორისო საკითხებზე რაც შეიძლება მცირე პასუხისმგებლობის აღებას ითვალისწინებდა.

მესამე – მისი მოდელი არ გულისხმობდა შიდაპოლიტიკურ რეფორმებს, მმართველობა ისევ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელში უნდა დარჩენილიყო.

დენ სიაო პინის რეფორმების სტაბილურობას ხელი შეუწყო იმან, რომ ქვეყნის სათავეში ძალაუფლების გადაცემის ინსტიტუციონალიზაცია მოხერხდა...

დღეს სახეზე გვაქვს დენ სიაო პინის რეფორმებისა და მისი მემკვიდრეების ჩინეთი, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს მართლაცდა მსოფლიოს შორეული კუთხეების ათვისებაც კი, მაგრამ საქართველოს გამოადგება თუ არა ვისიმე მიბაძვა, საკითხავია.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული ეკონომიკურ განვითარებას ჩინეთში ამბიციების გაზრდაც მოჰყვა. ჩინეთს გაუჩნდა საკუთარი, ტრადიციული, პოლიტიკური თუ კულტურული ღირებულებების წინ წამოწევის საშუალება და ამავდრულად არ სურს კრიტიკის ან მეტი თავისუფლების მოთხოვნის მოსმენა, მისთვის რადიკალური ნაციონალიზმი მისაღებია.

თვით ჩინელი ხალხი – ჩინეთის ქალაქებში ხშირადაა ნაციონალისტური გამოსვლები, რომლის მონაწილეები მთავრობისგან უფრო აგრესიულ საგარეო პოლიტიკას ან პრინციპულ გადაწყვეტილებებს მოითხოვენ...

ათასი ჯურის თვალთმაქცურად დამპყრობის კლანჭებში მოქცეულ პაწაწუნა საქართველოს, რომელსაც ქართული ტრადიციული ღირებულებებისგან განზე გამდგარი თვისტომელებიც ტილივით ახვევია თავს, აქვს კი ძალა, რომ ფეხი გაიქნიოს?

„არ აქვს მნიშვნელობა რა ფერისაა კატა, მთავარია თაგვებს იჭერდეს კარგად“ – ეს ცნობილი ფრაზა დენ სიაო პინის ეკუთვნის, თუმცა არაფერია ნათქვამი იმ შემთხვევაზე, როცა კატას თაგვებით სავსე ბეღელს უომობენ სანადიროდ, თუმცა მათ დაჭერას და შეჭმას უკრძალავენ...

მაია ჟელიძე
593 32 49 71

„იკანკალეთ ჰეტერო ღორებო, როდესაც ჩვენ გამოვჩნდებით ნიღბების გარეშე“

რამდენიმე დღის წინ ინტერნეტით გავრცელდა ჰომოსექსუალისტების მანიფესტი, რომელიც 1987 წელს არის შექმნილი და მაიკლ სვიფტს ეკუთვნის. ეს მანიფესტი ქართულ მედიაშიც გავრცელდა, საილუსტრაციოდ შემოგთავაზებთ ნაწყვეტს ამ მანიფესტიდან.

„სექსუალური უმცირესობების საერთაშორისო ორგანიზაციის" მანიფესტი. ავტორი მაიკლ სვიფტი. 1987 წელი.

"ჩვენ სოდომური ცოდვით დავკავდებით თქვენს ვაჟიშვილებთან, რომლებიც თქვენი უსუსური მამაკაცურობის, ცარიელი ოცნებებისა და ჩვეული სიცრუის სიმბოლოს წარმოადგენენ. ჩვენ მათ ვაცდუნებთ თქვენსავე სკოლებში, საერთო საცხოვრებლებში, გიმნაზიებში, გასახდელებში, სპორტდარბაზებში, სემინარიებში, ახალგაზრდულ ჯგუფებში, კინოთეატრების ტუალეტებში, სამხედრო ყაზარმებში, მოტელებში, მამაკაცთა კლუბებში და პარლამენტის შენობებში, ყველგან, სადაც კი მამაკაცები ხვდებიან სხვა მამაკაცებს. ისინი ჩვენი საყვარლები გახდებიან და შეასრულებენ ჩვენს ბრძანებებს. ისინი ჩვენი იმიჯის რევანშირებას ახდენენ. მათ ექნებათ ჩვენი მწველი სურვილი და გაგვაღმერთებენ ჩვენ.

ქალებო, თქვენ ამბობთ, რომ კაცებთან ცხოვრების ნაცვლად ერთმანეთთან ცხოვრება გსურთ. მაშინ, მიდით და იცხოვრეთ ერთმანეთთან. ჩვენ მივანიჭებთ თქვენს კაცებს მათთვის აქამომდე არნახულ სიამოვნებას, იმიტომ რომ ჩვენ თვითონაც უპირველესად მამაკაცები ვართ, და მხოლოდ მამაკაცმა იცის, თუ ჭეშმარიტად როგორ ასიამოვნოს მეორე მამაკაცს. მხოლოდ მამაკაცს შეუძლია ჩასწვდეს მეორე მამაკაცის გრძნობებისა და განცდების სიღრმეს, გაუგოს მის გონებასა და სხეულს.

ყველა კანონი, რომლებიც კრძალავს ჰომოსექსუალიზმს, გაუქმდება. ამის ნაცვლად მიღებულ იქნება ახალი კანონმდებლობა, რომელიც წაახალისებს სიყვარულს მამაკაცებს შორის. ყველა ჰომოსექსუალისტმა მხარი მხარს უნდა მისცეს, როგორც ძმებმა, ჩვენ უნდა გავერთიანდეთ მხატვრული, ფილოსოფიური, სოციალური, პოლიტიკური და ფინანსური თვალსაზრისით. ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიზეიმებთ, როდესაც შევძლებთ ჩვენი ბოროტი ჰეტეროსექსუალურ მტრისთვის ჩვენი ერთიანობის ჩვენებას.

თუ თქვენ გაბედავთ და გვიწოდებთ ჩვენ გეის ან პედერასტებს, ჩვენ გავგმირავთ თქვენს მხდალ გულებს და წავბილწავთ თქვენს მკვდარ უბადრუკ სხეულებს.

ჩვენ მივუძღვნით ლექსებს მამაკაცებს შორის სიყვარულს. ჩვენ დავდგამთ სპექტაკლებს, რომლებშიც მამაკაცები ღიად ეალერსებიან მამაკაცებს. ჩვენ გადავიღებთ ფილმებს მამაც გმირებს შორის სიყვარულზე, რომლებიც შეცვლიან თქვენს იაფფასიან, ხელოვნურ, სენტიმენტალურ, მოსაწყენ, ინფანტილურ ჰეტეროსექსუალურ ვნებებს, მათ, რომლებიც დღეს დომინირებენ კინოეკრანებზე. ჩვენ გამოვაქანდაკებთ ლამაზი ახალგაზრდა მამაკაცების, გაბედული ათლეტების ქანდაკებებს და დავდგამთ მათ თქვენს პარკებში, მოედნებზე და სავაჭრო რიგებში. მსოფლიო მუზეუმები გაივსება შესანიშნავი შიშველი ჭაბუკების გამოსახულებებით. ჩვენი მწერლები და მუსიკოსები მამაკაცებს შორის სიყვარულს მოდურს გახდიან და პრესტიჟულად აქცევენ მას, და ჩვენ ამას შევძლებთ, იმიტომ რომ ჩვენ ვართ ექსპერტები სტილის პოპულარიზაციის საქმეში. ჩვენ განვდევნით ჰეტეროსექსუალურ სამიჯნურო კავშირებს იუმორისა და სატირის მეშვეობით, იმ მექანიზმების გამოყენებით, რომლის გამოცდილებაც გაგვაჩნია.

ჩვენ ჩამოვხსნით ნიღაბს გავლენიან ჰომოსექსუალისტებს, რომლებიც თავს ჰეტეროსექსუალებად ასაღებენ. თქვენ შეძრწუნდებით და შეშინდებით, როდესაც გაიგებთ, რომ თქვენი პრეზიდენტები და მათი ვაჟიშვილები, თქვენი მეწარმეები და სენატორები, თქვენი მერები და გენერლები, თქვენი ათლეტები და კინოვარსკვლავები, თქვენი დიქტორები და საზოგადო მოღვაწეები, თქვენი მღვდლები არ არიან ჩვეულებრივი და საიმედო ჰეტეროსექსუალი ბურჟუები, როგორიც თქვენ ისინი გეგონათ.

ყველა ეკლესია, რომელიც ჩვენ დაგვგმობს, დაიხურება. ჩვენი ერთადერთი ღმერთები სიმპათიური ჭაბუკები არიან. ჩვენ სილამაზის, ზნეობრიობისა და ესთეტიკის კულტის მიმდევრები ვართ. ყველაფერი მახინჯი, ვულგარული და ბანალური განადგურდება. ვინაიდან ჩვენ გაუცხოვებულნი ვართ საშუალო კლასის ჰეტეროსექსუალური წრეებისთვის, ამიტომ შეგვიძლია ვიცხოვროთ მხოლოდ წმინდა წარმოსახვის მიხედვით. ძალიან ბევრიც კი არაა საკმარისი ჩვენთვის.

ჩვენი მომავალი დახვეწილი საზოგადოების მართვას განახორციელებს ელიტა, რომელიც შედგება პოეტ-გეებისგან. ახალ ჰომოეროტიკულ საზოგადოებაში სახელმწიფო თანამდებობების დაკავების პრეტენდენტების მიმართ ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იქნება მათი ბერძნული ვნებით გატაცება. ყოველი ჰეტეროსექსუალური ავხორცობით დასნებოვნებული პირი ავტომატურად მოხსნილი იქნება თანამდებობიდან. ყველა კაცი, რომელიც დაიჟინებს სულელურ ჰეტეროსექსუალურობას, გასამართლდება ჰომოსექსუალთა მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ და გახდება შეუმჩნეველი.

ჩვენ გადავწერთ ისტორიას, რომელიც თქვენ გაავსეთ და დაამცრეთ თქვენი ჰეტეროსექსუალური სიცრუითა და დამახინჯებებით. ჩვენ აღვწერთ დიადი ლიდერებისა და მოაზროვნეების ჰომოსექსუალიზმს, რომლებმაც ჩამოაყალიბეს მსოფლიო. ჩვენ მოვახდენთ ჰომოსექსუალიზმის, ინტელექტუალურობისა და შემოქმედების უწყვეტი კავშირის დემონსტრირებას, ჰომოსექსუალიზმისა, როგორც საწინდარისა ჭეშმარიტი კეთილშობილებისა და ნამდვილი სილამაზისა მამაკაცში.

ჩვენ გავიმარჯვებთ, იმიტომ რომ ჩვენ გვამოძრავებს დაჩაგრულთა მწარე ტანჯვა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იძულებულნი არიან, ითამაშონ საცოდავი, მეორეხარისხოვანი როლი თქვენს უგემოვნო ჰეტეროსექსუალურ შოუში. ჩვენც შეგვიძლია იარაღის სროლა და ბარიკადების აღმართვა. იკანკალეთ ჰეტერო ღორებო, როდესაც ჩვენ გამოვჩნდებით ნიღბების გარეშე''.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით მოვლენათა განვითარებას და იმას, თუ რა ხდება ჩვენს ირგვლივ, ცხადი გახდება, რატომ იყო განსაკუთრებით სენსიტიური ვითომდა ანტიჰომოფობიური დემონსტრაციის მიმართ საქართველოს ეკლესია, რომელსაც საუკუნეების წინ მიენიჭა სამოციქულოს წოდება.

„მსოფლიო ეკუმენური მოძრაობა, სოდომური ჰომოსექსუალისტური „ეკლესია“ და მისთანები ემსახურება ერთ მიზანს — გააუვნებელყონ ჭეშმარიტი ქრისტიანები, აქციონ ისინი ღვთისათვის უსარგებლოდ. ეს მოხდება მაშინ, როცა რწმენაში სუსტი ღვთის შვილები შეცდებიან მრავალგვარი სატყუარათი, სხვადასხვა ქრისტიანიზებული სოციალური პროგრამებით, ულმერთო ქველმოქმედთა შემოწირულობებით მოხიბლონ ადამიანები“, — წერს პეტრე პავლიუკი ნაშრომში „მასონობა და მსოფლიო ეკუმენური მოძრაობა“.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ანგელოზების გამბახებლები

ბავშვი ანგელოზიაო, — ვამბობთ საქართველოში... 20 ივლისს „დედა ენის“ ძეგლთან ანგელოზების გამბახებელი ჩუთლაშვილები აქციის მოწყობას აპირებენ

შაბათს, 20 ივლისს „დედა ენის“ ძეგლთან ლოზუნგით „მოვითხოვოთ სექსუალური განათლება“, დაგეგმილია აქცია, რომელიც საქართველოს სკოლებში სექსუალური განათლების დანერგვას ემსახურება. როგორც განცხადებაში იკითხება, აქციაზე გამოთქმული საინტერესო და პროგრესული შეხედულებები აუცილებლად იქნება გათვალისწინებული პეტიციის მომზადების პროცესში, რომელიც შემდგომ პარლამენტს გადაეცემა.

განცხადებაში მითითებულია, რომ სექსუალური განათლების მოწინააღმდეგეები აქციაზე არ დაიშვებიან. როგორ „არ დაიშვებიან“, კეტებით შეიარაღებული დაცვა იდგება ფეის-კონტროლად თუ სპეციალური საშვი ექნებათ, 20-ში გამოჩნდება, მაგრამ აკრძალვასაც რომ აწესებს (თუ აწესებენ) „აქციის გონი“, დავით ჩუთლაშვილი, მართლაც რომ სეირია.

მონაწილეებისთვის წამოყენებულია მოთხოვნები: აქციაზე დასწრების სურვილის გამოხატვა უნდა მოხდეს ისეთი ფეისბუქ-ექაუნთის მეშვეობით, რომელიც უკვე მოქმედი იყო აქციის დაანონსებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე;

დაუშვებელია აქციაზე გამოჩენა რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან რელიგიური თემის სპეციალური სიმბოლიკით (გერბი, დროშა, ემბლემიანი მაისური და ა.შ).

– ძალიან გთხოვთ, მონაწილეობა მიიღოთ აღნიშნულ აქციაში. საქმე ჩვენი ახალგაზრდა და მოწესით, ყველასთვის ძალიან დიდი პატივი უნდა იყოს, – დასძენს დავით ჩუთლაშვილი.

აქციის ანონსიდანვე გვამცნობენ, რომ აქციის დასკვნით ეტაპზე მოხდება ფაშისტური გაზეთებისა და ფაშისტური ტიპის ინტერმედიის სიმბოლიკის გამომხატველი ფურცლების საჯაროდ და დემონსტრატიულად დაწვა, როგორც სიმბოლო სიბნელისგან და სიძულვილისგან განთავისუფლებისა.

ლია – ახალდროების სექს-განმანათლებელო ჩუთლაშვილო, უკვე თვით აუტოდაფე არის სიძულვილისა და ფაშისტური ხედვის გამოვლინება!...

რა ფარსია სკოლებში სექსუალური სწავლების დანერგვის მოთხოვნაში? – როგორც გადაცემის წამყვანი გაფრთხილებთ, შეიკარით ღვედები და იხილეთ ინტერნეტში http://frueh-sexualisierung.panorama-film.ch/hauptfilm-ru.html

გერმანული დოკუმენტური ფილმის ყურებისა და მოსმენის შემდეგ დარწმუნდებით, რომ მხოლოდ ერთი წინადადებით განიმარტება სკოლებში სექსუალური სწავლების შეტანის მიზანი – სექსუალური გარყვნილების არა მხოლოდ პროპაგანდა, არამედ, პრაქტიკული განხორციელება. აქ ბავშვთა გარყვნაზე 4 წლიდან არის საუბარი, მაგრამ ბავშვთა გარყვნაზე ორიენტირებულებისთ-

„საპატრიარქომ ჩვეულებისამებრ გააჩაღა უბინძურესი კამპანია ამ აქციის წინააღმდეგ. საპატრიარქოს კიდევ ერთხელ მოვუწოდებ, შეაჩეროს საკუთარი მრევლი და ნუ მაიძულებს, საქართველოს საპატრიარქო „გაეროს“ ტერორისტული ორგანიზაციების რიცხვში შევაყვანინო. თუ რომელიმე ჩვენთაგანის მიმართ რაიმე ტიპის ძალადობას ექნება ადგილი და ეს დაუსჯელი დარჩება, ყველაფერს გავაკეთებ და მთელი ცხოვრება რომ დამჭირდეს, მაინც მოვახერხებ, რომ საქართველოს საპატრიარქოს ბოლოსდაბოლოს ეწოდოს ნამდვილი სახელი, ე. ი. ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადდეს“, - ამბობს მწერალი და დრამატურგი დავით ჩუთლაშვილი.

ლური გარყვნა, რაც ახალდროების ქართველი სექსგანათლების აპოლოგეტის დავით ჩუთლაშვილის მტკიცებით ჩვენს მომავალზე ზრუნვაა, 1998 წლიდანაა შეტანილი სასკოლო კურსში. ლოგიკური ჯაჭვის შედეგი ახლახანს გასკდა, გერმანიის „მწვანეთა პარტია“ აფინანსებდა პედოფილებს და ერთი რეიდით 26 000 პედოფილი გერმანელი იქნა აყვანილი...

გერმანული სოციალური გამომცემლობა „derwesten.de“ იტყობინება, რომ ერთ-ერთი სექს-გაკვეთილიდან სასწრაფო დახმარების მანქანებით ათი მოსწავლე გადაიყვანეს საავადმყოფოში...

სტატიაში, რომელიც express.de-მ გაავრცელა, ნათქვამია, რომ გერმანიაში დაწყებითი კლასის ასაკის ბავშვები იძულებულები არიან არამხოლოდ მიიღონ სექსგანათლება, საშინაო დავალებებიც უნდა შეასრულონ მშობლებთან ერთად. კელნის სკოლის მეცხრეკლასელები გამოცდას აბარებენ „ორგაზმში“...

ევროპის საპარლამენტო ასამბლეა რეკომენდაციას იძლევა გაძლიერდეს ახსნა-განმარტებითი სამუშაოები ჰომოფობიის წინააღმდეგ სკოლებსა და სპორტულ სექტორებში;

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა რეკომენდაციას აძლევს უკრაინელ პოლიტიკოსებს რომ მონაწილეობა მიიღონ გეი-პარადებში. რეკომენდაციის მე-8 პუნქტში ნათქვამია, რომ უნდა მოიწვიონ ხელისუფლების წარმომადგენლები და პოლიტიკოსები ლგბტ საზოგადოებასთან დიალოგისთვის, აგრეთვე, სექსუალურ უმცირესობათა მსვლელობებში. რეკომენდაციებში მკაცრად არის მოთხოვილი, რომ უკრაინის, ლიტვის და მოლდოვას პარლამენტარებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ კანონპროექტის განხილვა ჰომისექზუალიზმის პროპაგანდის აკრძალვასთან დაკავშირებით, ვინაიდან, ეს ეწინააღმდეგება ამ ქვეყნების სამართლებრივ ვალდებულებებს, – წერს ZW.UA

კიდეც ამიტომ იყო, 17 მაისის შემდეგ სიტყვა „პროპაგანდის“ ამოღებას რომ მოითხოვდნენ სექსუალურ უმცირესობებზე თავგადაკლული უფლებადამცველები საქართველოში...

ბავშვი ანგელოზიაო – ვამბობთ ქართველები...

ქართველ ერს ვინ ჩამოართვა უფლება იკითხოს, ვინ ავალდებულებდა და ავალდებულებს ჩუთლაშვილების კრებსითი სახელის სახით ქართველი ბავშვების გარყვნას საქართველოს ხელისუფლებას?!

მაია ჭელიძე
593 32 49 71

მორიგი პროვოკაცია „დედა ენის“ ძეგლთან

მავალი თაობების ბედს ეხება, ხოლო უფრო ფართო გაგებით და სიღრმისეული მნიშვნელობით, მთლიანად ჩვენი საზოგადოების მომავალს და კეთილდღეობას. ამიტომ, ჩემის ღრმა რწმენით, აღნიშნულ აქციაში მონაწილეობა,

სიძულვილისგან განთავისუფლებაში რა სიმბოლური სინათლის წვლილი შეაქვს „ფაშისტურ“ გამოცემათა სიმბოლიკის სიმბოლურ დაწვას, ჩუთლაშვილსვე ეცოდინება, მაგრამ რაც, სავარაუდოდ, არ იცის, ან დაივიწყა, შესახსენებელი არც ასაკობრივი ზღვარი არსებობს და არც რაიმე შემაკავებელი, „პოპულარული გეი-მამები“, საერთაშორისო საბავშვო პორნოგრაფიის სინდიკატის წევრები მარკ ნიუტონი და პიტერ ტრუონგი სექსუალურ ძალადობას იმ დროიდან ახორციელებდნენ „შვილ“ ბიჭუნაზე, როდესაც ის ჯერ მხოლოდ 22 თვის იყო...

უწლოვან და არასრულწლოვან ბავშვებზეა საუბარი!

სასკოლო სექსუალური სწავლება მოიცავს ერთსქესიანთა სექსუალურ კავშირის (ანალურის, ორალურის), ინცესტის, პედოფილიის და ა.შ ჩვეულებრივ ნორმად მიღებას. ამოსავალია – ბავშვი სექსუალური არსებაა და სანამ ბავშვს სიამოვნებს, ყველაფერი კანონიერია... პატარა ბავშვები პირდაღებული (პირდაპირი მნიშვნელობით) შესცქერიან პორნოჟურნალში განთავსებულ სურათებს რომელთაც მათ სექსის მასწავლებელი უჩვენებს, ოდნავ მოზრდილი გოგონა ზიზღით იმანჭება სექსის გაკვეთილზე კომპიუტერში პორნოს ყურებისას, მაგრამ ეს სავალდებულო გაკვეთილებია. თავდაპირველად გაძალიანდნენ სკოლის პედაგოგები, მაგრამ... რეკომენდაციები ხომ იგივე ბრძანებებია, რომელიც ერთმნიშვნელოვნად აუცილებელ შესრულებაზე გაცემულ შეფარული ფორმით ბრძანებას ნიშნავს...

გერმანელი ბავშვების ოფიცია-

გვანცა აბულაშვილი

ინგილო მორჯულებულს ნიშნავს!..

როდესაც ჩრდილო-აღმოსავლეთით საქართველოს საზღვარს გავცდებით და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადავალთ, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ქართულ მიწა-წყალს არც კი გავცილებივართ. ეს იმიტომ, რომ ჰერეთი საქართველოს ბუნებრივი გაგრძელება და ისტორიული ნაწილია. აქაური ჰავა, ლანდშაფტი, ბუნება საოცრად მოგვაგონებს კახეთს. აკი აქაური გვარების უმეტესობაც კახურია: აბულაშვილი, ბერიკაშვილი, პაპიაშვილი, ხუციშვილი, ჯანაშვილი და ა.შ.

ჰერეთში მცხოვრები ქართველები ჯერ კიდევ მისდევენ მამა-პაპათა ტრადიციებს,რომლებიც ყველა ლოგიკით დიდი ხნის დავიწყებული უნდა იყოს იმ ხალხისთვის, რომლებსაც უსამართლოდ შეარქვეს „ინგილო“, ანუ მორჯულებული. ისინი დღემდე უდიდესი ძალისხმევის ფასად ახერხებენ გადასცენ მომავალ თაობებს წინაპართა რწმენა და ენა მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ზეწოლას, რომლის ატანაც მათ უწევთ. ამ სიტყვების სინამდვილეში დავრწმუნდებით, თუ აღდგომის დღეებში ჰერეთში მოვხვდებით. აღდგომის დღეს ოჯახის თავი მოწიწებით ეახლება სახელდახელოდ შემოღობილ ქვევრს, აანთებს წმინდა სანთელს და ოჯახს დალოცავს ქვევრიდან ამოღებული ღვინით. ქვევრის შემოღობვას დიდი სიმბოლური დატვირთვა აქვს – ის და მასში მოთავსებული ღვინოც წმინდად ითვლება. ქართველებისთვის ქვევრისა და ღვნისადმი ამგვარი დამოკიდებულება უცხო არ არის. ოდითგანვე ქართველი კაცისთვის მარანი წმინდა ადგილად ითვლებოდა. გარდა ამისა, ისევე როგორც კახეთში, ჰერეთშიც ქვევრები ღია ცის ქვეშ არის განთავსებული.

აღდგომის მეორე დღეს სოფლის ბავშვები იკრიბებიან და ჩამოივლიან „ჭონაზე“ წითელი კვერცხების შესაგროვებლად.

მნიშვნელოვანი და დასაფიქრებელია ის ფაქტიც, რომ იმ პერიოდისათვის, როდესაც სასულიერო პირები ვეღარ აღასრულებდნენ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს, ეს მოვალეობა ხალხმა იკისრა. ისინი თავისი ხელით აკურთხებდნენ მიცვალებულთა საფლავებს და საკმეველსაც აკმევდნენ. აღნიშნული ტრადიცია დღემდე შემორჩა ქართულ სოფლებში, რადგან სასულიერო პირთა მოღვაწობა დღემდე შეზღუდულია.

თუ ჰერეთს ესტუმრებით, აუცილებლად დარწმუნდებით ჩვენებურების სტუმართმოყვარეობაშიც, განსაკუთრებული სითბოთი საქართველოდან ჩამოსულ სტუმრებს ხვდებიან, არცაა გასაკვირი, მათთვის ეს საქართველოსთან კომუნიკაციის დამყარების ერთ-ერთი საშუალებაა.

ჰერეთის ტერიტორიაზე შემორჩენილი ტაძრების უმეტესობამ სამწუხაროდ, ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. ლაქერთის წმინდა ნინოს სახელობის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს, კახიდან ჩრდილო-დასავლეთით. ადგილობრივი მუსლიმური მოსახლეობა მას „ქილისარას“ უწოდებს, ყუმის ბაზილიკა მდებარეობს სოფელ ლაქერთის ჩრდილო-დასავლეთით, ამჟამად სოფელში წახურები სახლობენ. ინგილოები მას „ყუმის დედაღვთისას“ უწოდებენ. სავარაუდოდ, ბაზილიკა VI-VII საუკუნეებით თარიღდება. აღსანიშნავია ასევე სხვა ეკლესიას-მონასტრებიც, რომელთაც ჩვენი ისტორიისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, მაგალითად: კასრის საყდარი (VIII), ვაჩნაძიანთ მადლის ეკლესია, რომლებსაც ადგილობრივი გალეკებული ქართველები დღემდე თაყვანს სცემენ (XI-XII), ძელი-ცხოველი სოფელ მაწამის წყლის ხეობაში, გიშის საყდარი სოფელ გიშში (VI-XI).

ოთხ ქართულ სოფელში: ქოთოქლოში (ქართული სახელწოდება შუახევი), ალიბეგლოში (ქართული სახელწოდება ქათმისხევი), ალათემურსა და მეშაბაშში არის ეკლესიები, თუმცა ადგილობრივ მოსახლეობასა და სასულიერო პირებს ყოველკვირეული ღვთისმსახურების შესრულების უფლება არ ეძლევათ, გარდა სადღესასწაულო დღეებისა. (ადგილობრივი მოსახლეობისა და საქართველოს საპატრიარქოს დიდი სურვილისა და ძალისხმევის მიუხედავად).

გ. ნუროშვილის ფოტო

უმძიმესი მდგომარეობაა განათლების სფეროშიც,შეიძლება ითქვას, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ფაქტობრივად, აკრძალულია, რადგან მშობლიური ენის გაკვეთილები ქართველ ბავშვებს კვირაში მხოლოდ ორჯერ უტარდებათ. სამაგიეროდ, გაზრდილია აზერბაიჯანული ენისა და ისტორიის გაკვეთილების რაოდენობა. რა თქმა უნდა, ეს მიზანმიმართული ქმედებაა იმისათვის, რომ დროთა განმავლობაში მიიღონ თაობა, რომელსაც ქართული ენა და საქართველოს ისტორია არც კი ემახსოვრება და შესაბამისად, აღარ ექნებათ ქართული თვითშეგნება. ასეთი ადამიანების ასიმილაცია კი ძალიან ადვილი მისაღწევია. ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ მხოლოდ ერთეულებს ეძლევათ საშუალება უმაღლესი განათლება მიიღონ. უმეტესობა საშუალო განათლების ანაბარა რჩება, რადგან თუ ქართული სკოლების უმეტესობაში არსებულ სწავლის დონეს გავითვალისწინებთ, მივხვდებით, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებში ბარიერის გადალახვაც კი დიდ პრობლემას წარმოადგენს იქაური აბიტურიენტებისათვის.

აზერბაიჯანში აქტიურად ეეწევიან იმ აზრის პროპაგანდას, რომ „ინგილოები“ არიან არა ქართველები, არამედ ოდესღაც ირანიდან ჩამოსახლებული ტომები.

ამასთანავე აკრძალულია საზღვრიდან ქართულ ენაზე დაბეჭდილი ლიტერატურის გადატანა, მით უმეტეს თუ საქმე ისტორიის სახელმძღვანელოებს და რელიგიური შინაარსის სხვა წიგნებს ეხება. ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამაში საფრთხეს ხედავენ. უდიდეს პრობლემას უქმნიან ქართულ დელეგაციებსაც, რომელთაც სურთ გააშუქონ ჰერეთში მცხოვრები ქართველების რეალური მდგომარეობა და დაინტერესდნენ მათი ტკივილითა და პრობლმებით.

„ყურანს ნაზიარები“ უკვე რჯულშეცვლილი მოსახლეობის ნაწილი, რომელშიც ჯერ კიდევ ჩქეფს ქართული სისხლი და რომელთაც ნამდვილი ქართული გვარ-სახელები აზერბაიჯანულით შეუცვალეს, დღემდე მოითხოვს ძველი გვარების აღდგენას, თუმცა ამაოდ. როგორც გამაჰმადიანებულ, ასევე ქრისტიან ქართველებს პირადობის დამადასტურებელ მოწმობებში ახლა უკვე აზერბაიჯანელი უწერიათ, როდესაც ადრე „ინგილოს“ უწერდნენ. ვფიქრობ, ეს ფაქტიც საფრთხის შემცველია, რადგან აღარ ხდება მათი ნამდვილი წარმომავლობის დაფიქსირება. აზერბაიჯანულით შეცვალეს ქართული ტოპონიმებიც რითაც კიდევ ერთხელ წაშალეს ქართული კვალი ამ მიწაზე. (მაგალითად, სოფელ ქოთოქლოს ადრე შუახევი ერქვა)

ვინც მოასწრო ორმაგი მოქალაქეობის მიღება, მათ ხელოვნურ ბარიერებს უქმნიან, თითქმის ყოვეთვიურად იგონებენ აფსურდულ კანონებს, რითაც ეთნიკურად ქართული მოსახლეობისთვის მშობლიურ მიწა-წყალზე ცხოვრება გაუსაძლისი ხდება.

კიდევ ერთი მტკივნეული პრობლემა, რომლიც ადგილობრივი ქართველების წინაშე დგას, აზერბაიჯანული ჯარია, სადაც ქართველ ახალწვეულებს სასტიკად უსწორდებიან და ლახავან მათ უფლებებს.

საინტერესო იქნება თუ აზერბაიჯანში, საკუთარ მიწა-წყალზე მცხოვრები ძირძველი მოსახლეობის მდგომარეობას შევადარებთ საქართველოში დასახლებული აზერბაიჯანელების ცხოვრების პირობებს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, წარმოუდგენლად დიდ განსხვავებას აღმოვაჩენთ. საქართველოში, საბედნიეროდ, არ ილახება მათი რწმენის თავისუფლება ისინი თავისუფლად აგებენ ახალ მეჩეთებას და ლოცულობენ, რომ არაფერი ვთქვათ უკვე მოქმედი მეჩეთების რაოდენობაზე, ეს იმ ფონზე, როდესაც ჰერეთში უკვე არსებული ეკლესიები ზოგი უმოქმედოა, ზოგიც მუზეუმად გადააკეთეს. მათ არ ექმნებათ პრობლემები საქმიანობასა და უმაღლესი თუ საშუალო განათლების მიღებაში. თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ აზრს და მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაშინ როდესაც, აზერბაიჯანში თუ საქართველოს დროშით ხელში დაგინახეს აუცილებლად ჯარიმას დაგაკისრებენ- (მსგავსი მაგალითიც არსებობს). რაც მთავარია, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების უმრავლესობას ორმაგი მოქალეობა აქვს რის გამოც პრობლემები ნამდვილად არ ექმნებათ. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მისასალმებელია და ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვან და განვითარებულ კულტურაზე მეტყველებს, რადგან სხვა ერის თუ მრწამსის წარმომადგენელთა მიმართ ქართველები ყოველთვის ტოლერანტულად ვიყავით განწყობილი. სხვა საკითხია, რამდენად ამართლებს ამგვარი დამოკიდებულება, როდესაც სახელმწიფო ვერ ახერხებს საკუთარიი ეროვნული ინტერესების დაცვას.

ჩნდება რამდენიმე არც თუ ისე უსაფუძვლო კითხვა: რამდენად სამართლიანია აღნიშნული მოპყრობა აზერბაიჯანში მცხოვრევი ქართველების მიმართ? რა შედეგამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი? შეიძლება თუ არა ორ ერს შორის ამგვარ დამოკიდებულებას „ძმობა„ ეწოდოს?.

მე ერთი რიგითი ჰერელის პოზიციიდან მოგიწოდებთ, ნუ მოგვიკვეთავთ საქართველოს ორგანულ ნაწილს, ნუ გვიწოდებთ „თათრებსა“ და „ინგილოებს“, რადგან ჩვენი ქართველობა საუკუნეებმა გამოსცადა. უფლისა და ქურმუხის წმინდა გიორგის შეწევნით ჩვენს ძარღვებში დღემდე ქართული სისხლი ჩქეფს, დღემდე ქართულად ვმეტყველებთ და ვართ მართლმადიდებელი ქრისტიანები. ასე,რომ ჩვენი ტკივილი თქვენი ტკივილიც უნდა იყოს....

გვანცა აბულაშვილი
570 50 75 21



თავსატეხი



ჰორიზონტალურად: ამაგა, ილოიკე, ხანთა, ამორტი, ანტალია, გაგაზი, დათიკო, ვანილი, თიკანი, კანტრი, მგაგა, ოლეანი, პიკოლო, ტიატა, ფთოლია, ვარიკოზი, ქალაბანა.

მარცხნივ-ქვემოთ: აგავა, ატომი, ნოდია, ფარია, ერეზია, ლილიან, ჩანიკო, ხაჩელი, ქოფაკა, ყოკინა, შიშინი, ჩალხია, ცრიატი, ძეკენი, წინწილა, ჭალარა, ბილიარდი.

სპეციალური ჯვარი



ვერტიკალურად: 1. ბიდონი, თოლიეე, გუდუნა. 2. ქალები, ბაწონი, ბურენა. 3. ვანილი, ბეტალი, კოლოფი. 4. პალტო, ბაცნე, კორტი. 5. ტროსი, კრეპი, ნაიკი. 6. ბურქანი, ანაბარი, კორპუსი. 11. ბლენერი, ზვარაკი, ჯინჯოლი. 12. სტიპერი, ლრუბელი, ამერიკი. 13. ფეუალა, შოფერი, ხელენი. 14. ფასონი, ტერონი, პუნალი. 15. ლიტონი, კეპერი, ხაბაზი. 19. ინი, ენა, ალი.

თანრიგებლად: 3. პასალუნა, ვაკანსია, ჯამაგირი. 7. რეზინი, ჭოტანი, ხუმარა. 8. სკეპტიკი, ეპლოდილი, სარდინია. 9. ყურონი, ტენისი, ბაიუმი. 10. კატალიზი, შალაშინი, ლუაზანა. 13. ხუნაკი, შატალი, ზეკაშე. 16. ტრიკინი, ვერიეტი, შალაგერი. 17. ყურიტი, ზაზუნა, მესაკა. 18. ჩრდილი, ვრეფა, ტალელი. 20. ხალენე, ფაკენი, რიონი. 21. ბლატონი, ბაირონი, შტიკერი.

ეიფელის კოშკი



ა–3	ს–2
ბ–	ტ–
გ–	უ–
დ–	ფ–
ე–24	ქ–
ვ–	ღ–
ზ–	ყ–
თ–	შ–
ი–9	ჩ–
კ–6	ც–
ლ–	ძ–
მ–	წ–29
ნ–	ჭ–
ო–19	ხ–30
პ	ჯ
რ–	ჰ–

არა, სამეგრელო არ გასხვისდება!

საკითხის არსი თავიდანვე გასაგები რომ გახდეს, მკითხველს უნდა შევახსენო ჩემი წიგნის „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ შესახებ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (15.01.2013, ?7) გამოქვეყნებული აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის „ისტორიული დადგენილება“ (29.09.2012. ?06) და მასზე დართული ინფორმაცია, რომელშიც უხვადაა უშვერი ლანძღვა-გინება, შოკისმომგვრელი ბრალდებები აფხაზეთში დატრიალებული მოვლენების ჩემეული ხედვისა და შეფასებების გამო. ეს ხდება მთელი სამი წლის დაგვიანებით - წიგნი ქართულ და რუსულ ენაზე გამოვიდა 2009 და 2011 წლებში.

აღნიშნული დადგენილება იმდენად ტენდენციური და შეთითხნილია, მან ჩემში ერთგვარი უკმარისობისა და სინანულის გრძნობა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, არ ჩავთვალე საჭიროდ პასუხი გამეცა ამ პასკვილის ავტორებისთვის - მხოლოდ მოკლე რეპლიკით შემოვიფარგლე. მით უფრო, რომ მათ ძალზე კვალიფიციური პასუხი გასცა პროფ. ზაურ კვარაცხელიამ თავის ვრცელ პუბლიკაციაში: „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 2013 წლის 8 თებერვალი, ნ25)

ვიფიქრე, ამით ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ შევცდი. ბატონმა ჯემალ გამახარიამ ერთი კვირაც არ იყო გასული კიდევ ერთი „მამხილებელი“ პასკვილი გამოაცხო: „როგორ სხვისხდებოდა“ თუ „როგორ გასხვისდეს“... („საქართველოს რესპუბლიკა“, 20.11.2013, ნ32). მოგვიანებით, „გამოიცხვა“ მეორე „კეთილმოსურნე“ კოლეგის - ბატონ ნუგზარ მგალობლიშვილის პასკვილიც სათაურით: „თანამედროვე შადიმანი“.

მკითხველს მინდა ვაუწყო, რომ მალე გამოვა ჩემი ბროშურა „სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულნი“, სადაც ვრცლად გაეცა პასუხი ყველა „გამოხმაურებას“, მათ შორის, „თანამედროვე შადიმანობასაც“. ამჯერად კი თქვენს ყურადღებას მივაქცევ ბატონ ჯემალ გამახარიას ფაბრიკაციას (მას პუბლიკაციას უბრალოდ ვერ ვუწოდებ!) და „შეშფოთებას“ იმის შესახებ, რომ მზადდება ახალი ტრაგედია: აფხაზეთის გასხვისება რა არის - ჯერი, თურმე, სამეგრელოს გასხვისებაზეც მიმდგარა და მისი შემოქმედი, როგორც „მეგრული სეპარატიზმის“ წამქეზებელი, თურმე, მე - ნაპო მესხია გაწლავართ! აი, ასე ამცნო ქვეყანას თავისი მორიგი „აღმოჩენა“ ადამიანმა, რომელსაც ფუნქციადაკარგულ აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოში „კონფლიქტის დარეგულირება, დიასპორასთან ურთიერთობა, განათლება და კულტურა“ აბარია - სამწუხაროდ ნომინალურად, რამეთუ არამარტო ბატონ გამახარიას, არამედ, მთლიანად „უმაღლესელებს“, თუ არ დასწამებ, დღემდე ვერაფერი ღირსეული ვერ განუზრახავთ ამ მიმართულებით!

ხალხური სიბრძნისა არ იყოს: სისხლს სისხლით ვერ ჩამოიბან, ისევე, როგორც ცილისწამებასა და შეურაცხყოფას - იგივე მეთოდით. მე ამ პოზიციიდან ვესაუბრები ყოველთვის ყველას, მათ შორის იმათაც, ვისაც ენითაუწერელი დანაშაული მიუძღვით ხალხისა და ქვეყნის, უპირველესად, აფხაზეთისა და სამეგრელოს მოსახლეობის წინაშე,

ის, რაც იყო მონაგონია, გუშინდელი დღეა, უარესი აწი გველოდება! მთავარია ეს „გუშინდელი დღე“ ავად არ მოგვიბრუნდეს და ჩვენი ქვეყანა „კალოუბნად“ არ იქცეს, - აი, რა „ადარდებს“ ბატონ ჯემალ გამახარიას და ამ „ავი წინათგრძნობის“ მეკვლედ, აწ უკვე „მეგრული სეპარატიზმის“ ხელშემწყობად და გამღვივებლად ველანდები მე - მისი თანასოფლელი. მან სხვებზე უკეთ იცის, ვისი გორისა ვარ და რა შემიძლია ან რა არ შემიძლია!

ეს მის სინდისზე იყოს!

როგორც ჩანს, ჩემი „კეთილი“ ოპონენტები არ ისვენებენ, ეტყობა მათ გზაკვალი აერიათ და ხელისუფლებისა და საკუთარი შელახული ღირსების გადასაფარად, ხელს ჩემსკენ იშვერენ - ახალ-ახალ „ბრალდებებს“ მიყენებენ: ცილისწამება და ცრუბრალდება, იმ სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულ ოპონენტთა არსენალია, რომლებიც რეალური ფაქტებით სიმართლის მთქმელს ვერ იგერიებენ.

ჭეშმარიტად ცუდი სუნი ასდის იმ „ორცხობილას“, რომელიც ბატონმა ჯემალ გამახარიამ გამოაცხო. ეხება რა ქართველიზაციის საკითხებს, მან შეგნებულად გვერდი აუარა არა მარტო ივანე ჯავახიშვილს, ექვთიმე თაყაიშვილს, იოსებ ყიფშიძეს და სხვ., არამედ თვით ნიკო მარსა და თავის ფავორიტ ფსევდონიმებიათად, შიდაარეულობა და შეიარაღებული კონფლიქტებიც ახლდა. კოლხების „ზემოდან“ ასეთი გაფრთხილება არ უნდა გვიკვირდეს. უნდა ვაღიაროთ და სამართლეს უნდა გავუსწოროთ თვალი!

ბატონ ჯემალს უნდა შევახსენო, რომ საგანგაშოა ის, რაც ბოლო 20 წლის განმავლობაში ხდებოდა ქვეყანაში, თუ როგორ შეესივნენ კაციჭამია (გნებავთ პირდაპირი, გნებავთ გადატანითი მნიშვნელობით!) მხედრიონელები საქართველოს კუთხეებს, როგორ გაძარცვეს, გადაწვეს, ააოხრეს, შეურაცხყვეს სამეგრელო და მისი მოსახლეობა. დიახ, ასე გაუსწორდნენ საქართველოს ხერხემლად აღიარებულ სამეგრელოს! კიდევ უარესი - ამ ავაზაკებს ზოგიერთი ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი კულტურისა და ხელოვნების მუშაკი უმაგრებდა ზურგს. „ქართველიზაციის“ ეს „თანამედროვე“ ვარიანტი საქართველოსთვის უფრო საზიანო გამოდგა, ვიდრე, ეს იყო მისი სახელმწიფოებრიობის დამკვიდრების გარიჟრაჟზე.

მე ამ საკითხებს ისევ მივუბრუნდები. ახლა კი მინდა მკითხველს მურმან ლებანიძის (ძალიან მიჭირს მისი ამ კონტექსტში მოხსენიება) ერთი გაუაზრებელი სტრიქონი შევახსენო: „...აგრეთვე ენას - ქართულთან მეგრულს ხმა ამოიღოს უფლება არ აქვს.“ რა ვქნათ, ბატონო ჯემალ, რომელ ენაზე უნდა ესაუბროთ თქვენ თქვენს მეზობელ აშორტიასა და ჟვანიას?! ხო, ხო ჩემსკენ უფრო ანჩაბაძეები და ალფენიძეები სახლობენ! რა ვქნათ, პირი ამოვიკეროთ?! ვისაც ჰგონია, რომ ჩვენი ცნობილი პოეტის ეს სიტყვები მხოლოდ მისი უნებლიე გადაცდომაა და „ქართველიზაციის“ უხეშ ფორმებს არ ეხმიანება, ძალიან ცდება. ეს არის ის „იდეოლოგია“, რომელიც ხალხს აწუხებს და ქვეყნის ძლიერებასა და ტერიტორიულ მთლიანობას რომ არყევს. გიფიქრიათ ამაზე ოდესმე, ბატონო ჯემალ?!

აქ არ შევჩერდები იმ საკითხებზე, რომლებიც ბატონმა ზაურ კვარაცხელიამ თავის წერილში - „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“ უკვე გასცა საკადრისი პასუხი.

მორიგი ცილისწამება და „ბრალდება“ აფხაზეთის 1925 წ. და 1931 წ. კონსტიტუციებს ეხება. მე ვსაუბრობდი იმის შესახებ, რომ აფხაზებმა იციან აფხაზეთი „რა სტატუსით სარგებლობდა 1925 წლის კონსტიტუციის შემდეგ“. ბატონო ჯემალ, რა არ მოგწონთ ამ სიტყვათა წყობაში? სულ მცირე განმარტება და ახსნაა საჭირო იმისათვის, რომ შექმნილ სიტუაციას ალღო ავუღოთ, კერძოდ, სეპარატისტულად განწყობილ აფხაზებს 1925 წ. კონსტიტუცია გარკვეულ „პერსპექტივებს“ უსახავდა. ეს ის პერიოდია, როდესაც ერთი მეორეზე მიყოლებით ახალ-ახალი რესპუბლიკები, ოლქები, მხარეები და ავტონომიები ყალიბდებიან. მათ შორის, ბუმია ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაშიც. 1925 წ. კონსტიტუციას პრაქტიკულად არ „უმუშავია“. ამ პერიოდიდან მოყოლებული აფხაზები მოკავშირეს რუსეთში ეძებენ (მოძებნეს კიდეც!) და არა საქართველოში. რატომ?! არ გიფიქრიათ ამაზე?! ეს, ბატონო ჯემალ, ჩემზე უკეთ თქვენ უნდა იცოდეთ, მაგრამ ეტყობა მკითხველის შეცდომაში შეყვანა უფრო გაწყობთ, ვიდრე სიმართლის აღიარება!

იმოწმებს რა ჩემს სიტყვებს, რომ ფაშიზმისთვის გერმანელმა ხალხმა ბოდიში „მოიხადა დანარჩენი მსოფლიოს წინაშე“ და მე ვამბობ, რომ იგივე უნდა გავაკეთოთ ჩვენც აფხაზების მიმართ, ბატონი ჯემალი ასკვნის: „როგორც ვხედავთ, საქართველოს პოლიტიკა... აფხაზეთში გაიგივებულია ფაშიზმთან?!“. თანაც კითხვას სვამს: „...აქვს თუ არა გაცნობიერებული ბატონ ნაპოს, რას წერს?...“ ბატონო ჯემალ, სწორედ რომ გათვითცნობიერებული მაქვს! თქვენ რატომ არ აცნობიერებთ იმას, რომ სახელმწიფო საბჭოს, შემდგომში ე. შევარდნაძისა და მ. სააკაშვილის რეჟიმები ქვეყნის შიგნით იყო ფაშისტური, ქვეყნის გარეთ კი დემოკრატიის შუქურად აღიარებული ბუტაფორია?!

შიშველი, მშრალი სტატისტიკით ვერ დაადგენ, ფაშისტურად ვინ უფრო იქცეოდა აფხაზეთში - ქართველები, აფხაზები თუ მოსკოვის მიერ დაქირავებული და ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული მკვლელები(?!)



აქ ისევ და ისევ პასუხისმგებლობის საკითხი დგება, რომელსაც საქართველო გაურბოდა და არ იცოდა, ჩატეხილი ხიდი როგორ უნდა აღედგინა (საუბარია მ. სააკაშვილის მთავრობაზე!), რამეთუ ვერ აცნობიერებდნენ, რომ მასმედიის საშუალებით ან სატელევიზიო, ზოგჯერ დამამცირებელი გადაძახილებით ვერ მოხერხდებოდა პრობლემების მოგვარება.

ვინც კავკასიელ ხალხთა (ქართველთა, აფხაზთა, ოსთა) ფსიქოლოგიას ოდნავ მაინც იცნობს და ცნობს მას, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფენომენს, მონანიება და ბოდიშის მოხდა არ გაუჭირდება. მით უმეტეს დიდსულოვან ერს - სწორედ ეს არის ის ამოსავალი წერტილი, საიდანაც უნდა დავიწყოთ აფხაზეთისკენ მოძრაობა. ეს უნდა გავითვიცნობიეროთ და დროზე უნდა დავადგეთ ამ ერთადერთ სწორ გზას!

როდესაც ბატონი ჯემალ გამახარია თითიდან გამოწოვილი „ფაქტებით“ „მეგრულ სეპარატიზმში“ მდებს ბრალს, რომლის მოსალოდნელი შედეგიც საპასუხო წერილის სათაურშიც აქვს გამოტანილი და იმავდროულად „სახალხო დიპლომატიის შემდგომი გააქტიურებისთვის“ მნიშვნელოვან როლს მანიჭებს, როგორც „...ამ კუთხით „საკმარისი რესურსის...“ მქონე პიროვნებას, ლოგიკურად მივდივართ ბრალმდებლის აბსურდულ, წინააღმდეგობრივ, გაუცნობიერებელ (არ მინდა ვთქვა, გაცნობიერებულ) პოსტულატამდე იმის შესახებ, რომ შერიგებით თუ შევრიგდებით ეს ერთი მხარეა, მაგრამ ჩვენი აფხაზებთან - სეპარატისტებთან ერთად ყოფნა და თანაარსებობა საკითხავია.

ბატონები ჯემალ გამახარია, ნუგზარ მგალობლიშვილი და თემურ მჟავია ერთად (ცუდია, როცა 25 კაციან უმაღლეს საბჭოში საუბარი გვიხდება არა მის ფრაქციულ სტრუქტურაზე, არამედ - რაღაც დაჯგუფებაზე...) მებრძვიან საკუთარი მოსაზრების იმპერატიულობისათვის, რომელიც, არც მეტი - არც ნაკლები, ნეობოლშევიზმის მატარებელი სინდრომია. სწორედ ამ სინდრომით იყო დაავადებული წინა ორი ხელისუფლება (მოქაკაშირი და ნაცმოძრაობა), რომელიც ქართველ ხალხს, მის დასავლეთში მცხოვრებ ნაწილს „პროვინციულ ფაშიზმში“ დებდა ბრალს.

ნაცმოძრაობის მხრიდან ეს პროცესი დღესაც საკმაოდ გააქტიურებულია, რასაც აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმაც აუბა მხარი. ეს ის „ფესვებია“, რომელიც ბატონ თ. მჟავიას და ბატონ ჯ. გამახარიას ასაზრდოებს, რაც აპრიორშივე ბლოკავს ქართველთა და აფხაზთა (ქართველთა და ოსთა) შერიგების გარდაუვალ პროცესს.

ბატონი ჯემალი ოსტატურად (მუხანათურად) იყენებს კონტექსტიდან ამოგლეჯილ ცალკეულ ფრაზებს და „მეგრული სეპარატიზმის“ სათავეებთან მივყავარ — „აშორდია-ჟვანიას მემკვიდრედაც...“ კი მასახელებს. იქვე დასძენს - „რა საქმე აქვს ნაპოს სხვადასხვა ორღობის „აკადემიებში“ მოკალათებულ ძველ პარტნომეკლატურასთან?..“ — კითხულობს იგი.

ორღობის „აკადემიაზე“ ცოტა მოგვიანებით. ამაზე უფრო ვრცელი საუბარი გვექნება მომდევნო პუბლიკაციაში, აქ კი ბატონ ჯემალს უნდა შევახსენო საუბარი იმ უმეცრებებზე, რომლებსაც ასე უხვად ხმარობს ჩემთან მიმართებაში. თუ შევნიშნე (არასპეციალისტმა!) მეგრული ენის ვერბალური და ლექსიკური სიმდიდრე და სხვებსაც მივანიშნე ამაზე, რატომ ითვლება ეს უმეცრებად? რატომ ითვლება უმეცრებად ასევე, თუ ყურადღება მივაქციე იმ ფანტასტიკურ და უნიკალურ მოვლენას, რომ ქართულ ასომთავრულში თითქმის ყოველი ასო-ბგერა მეგრულ ენაზე საგანს, მის დასახელებას ან მოვლენას ნიშნავს, რაც არ შეინიშნება მსოფლიოს არცერთ ენაში, მათ შორის ქართულშიც?! რატომ არის უმეცრების დადასტურება, რომ მეგრულ ენაში თითქმის ყველა ზმნა სამმაგი ინფორმაციის მატარებელია: მოქმედი პირის, მისი ქმედებისა და იმისა, თუ სად ხდება ეს ქმედება?! რატომ არის მეგრული ენის ყოველივე ეს ნიშანთვისებები მიუღებელი, ხოლო ამაზე ხმამაღლა საუბარი რატომ ითვლება სეპარატიზმად?!

ეს მაშინ, როცა არც მე და არც ვინმე სხვას არ გვითქვამს, რომ მეგრული ენა თავისი მნიშვნელობით დედა ენას, ქართულს უნდა გაუტოლდეს - სალიტერატურო, ან სახელმწიფო ენად იქცეს?! ეს ფიქრადაც არ მოსვლია არავის! იქნებ, ბატონმა ჯემალმა იყოჩაღოს და მისთვის ჩვეული ოსტატობით, ტექსტიდან ამოგლეჯილი სიტყვები მოიხმოს და „გამაშავოს“, მაგრამ ამას ის ვერ შესძლებს, რადგან, ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს!

უბედურება ის კი არ არის, ადამიანებს ჰქონდეთ განსხვავებული მოსაზრებები (ამაში მე ვერ ვხედავ დანაშაულს), უბედურება ისაა, რომ მავანი საკუთარი „მამულიშვილობის“ მტკიცებას სხვათა უკიდურესი შეურაცხყოფისა და დამცირების ხარჯზე რომ ცდილობს. შეიძლებოდა კამათი აქ დაგვემთავრებინა, მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუარო ერთ გარემოებას. ჯ. გამახარიას აზრით, ჩემი ავტორობით გამოცემული წიგნი „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ „ეფუძნება წმინდა წყლის სეპარატისტულ და ოკუპანტის იმპერიულ იდეოლოგიას.“ ვწუხვარ, რომ პირდაპირ „დასახვრეტად“ გავყავარ ბატონ ჯემალს და დასამარხი ორმოც გამზადებული აქვს! ფრთხილად, მეგობრებო, ფეხი არ დაგიცდეთ!

ქართული ლიტერატურის კლასიკოსი სამშობლოდან გადახვეწილი გრიგოლ რობაქიძე შავით თეთრზე წერდა: „საქართველოს სიძლიერე სწორედ მის ტომთა საოცარ თავისებურებაშია. მე იმის მომხრეც ვიქნებოდი, მწერლობა აყვავებულიყო მეგრულად, ქართული მწერლობა ამით არას დაკარგავს, კიდევაც მოიგებს.“ მეგრულად მწერლობის „აყვავებაზე“ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ქართველურ ენებს, - მეგრულს, სვანურს, ლაზურს დღეს ახალი მტრები, ტ. ფუტკარაძის, თ. გვანცელაძის, გ. ჭელიძის და მათი თანამოაზრეების სახით გამოუჩნდნენ და კაცმა სადმე მეგრულად რომ წაიღიღინოს, სულ ცოტა „მეგრელ სეპარატისტად“ იქნება შერაცხული.

პირდაპირ ვიტყვი: ვინც „მეგრულ სეპარატიზმზე“ საუბრობს და ბრალს სდებს ვინმეს ამ უკეთურ საქმეში, ის თავად არის „მეგრული სეპარატიზმის“ წამქეზებელი და პროვოკატორი! ვისაც მომმეთა ხელით ცეცხლის ალში გახვეული სამეგრელო უნახავს (1992-1993 წ.წ.) გაახსენდება, ზუგდიდში, შ. დადიანის სახელობის თეატრის ერთი მშვენიერი სპექტაკლის აფიშა: „მაინც შემოგვევლე, ჩემო საქართველო!“ რა არის ეს: სეპარატიზმი თუ ქვეყნისადმი უსაზღვრო ერთგულება?!..

საქართველოს სიყვარულში ცილისწამებით შეჯიბრება, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იგი, კონტრპროდუქტიულია. მხოლოდ სიმართლე, როგორ მწარედაც არ უნდა მოგვეჩვენოს, გადაარჩენს და გაერთიანებს საქართველოს!

დაძაბულ დროში გვიხდება ცხოვრება. იმდენი დანაშაულია ჩადენილი აფხაზეთის ომიდან დღემდე, რომ უდანაშაულოებს ავკიდეთ ყველა ცოდვები, ხოლო დამნაშავეებს - ღირსების ორდენები ჩამოვკიდეთ! მე კი არა, „მეგრულ სეპარატიზმში“ ზვიად გამსახურდიასაც ადამაშაულებდნენ, ხოლო ქვეყნის დამაქცევარს - ჯაბა იოსელიანს ქვეყნის „გამაერთიანებლის“ სტატუსს ანიჭებდნენ! გეკითხებით: ჯაბა იოსელიანი „ქვეყნის ერთგულია“ და მე, ნაპო მესხია, რომელიც დახვრეტას მხოლოდ უფლის ნებით გადაურჩა, მოღალატე და „მეგრული სეპარატიზმის“ წამქეზებელი?! ამის შემდეგ, რა უნდა მიკვირდეს ამ ქვეყნად! მინდა ვკითხო ჯემალ გამახარიას, ჩემს წიგნებს სპეცსამსახურის თანამშრომლები რატომ ეძებენ მაინც და მაინც მასთან?! ჩემთან მხოლოდ ქვეყნის ერთიანობის და აფხაზეთში დაბრუნების მომხრე ხალხი დადის და მთხოვს წიგნის თითო-ოროლა შემორჩენილ ეგზემპლიარებს.

ერთი რამ ცხადია, ამ წიგნებს მართლა კითხულობენ დევნილი „სეპარატისტები“. ჩანს, რომ პატივცემული ჯემალი ამოვარდნილია მათი რიგებიდან და მათი არაკეთილმოსურნეების „იდეოლოგიური უზრუნველყოფითაა“ დაკავებული. მომეცნიერო გამყალბებლის გარდა ვერავინ იკისრებს და არც არავინ იკადრებს ამას!

შეუმცდარი არავინაა ამქვეყნად. დანაშაულია სიმართლის დამალვა და იგნორირება. მეც ვცდებოდი, ალბათ, მაგრამ ჩემი მთავარი შეცდომა, ბატონო ჯემალ, თურმე ის არის, რომ მე შენში ვცდებოდი. მადლობა, რომ თვალი ამიხილეთ!

ისტორია ზუსტი მეცნიერებაა, თქვენ და თქვენი „მხარდამჭერები“ ამაოდ ცდილობთ მის დამახინჯებას. ყველას მოგვიწევს სიმართლის აღიარება და მაშინ ხალხი იტყვის: ვინ არის ერისკაცი და ვინ - შადიმანი!

ამ წერილის ასეთ ნოტებზე დასრულება, მართლაც არ მინდოდა - მეგობრები ქუჩაში არ ყრია, მაგრამ...

მომავალ შეხვედრამდე, ჩემო ძვირფასო ოპონენტებო!

კვლავ უღრმესი პატივისცემით
თქვენი ნაპო მესხია.
2013 წლის 25 მაისი
ქ. ზუგდიდი

ლეონარდო და ვინჩის ჯავშნოსანი ტანკი

ლეონარდო და ვინჩის შემუშავებული გამოგონებები ბევრად უსწრებდა დროს. ისინი რომ ლეონარდოს დროს განხორციელებულიყო და მხოლოდ ნახაზზე არ დარჩენილიყო ტექნოლოგიურ რევოლუციას გამოიწვევდა. ერთ-ერთი მათგანია ჯავშნიანი ტანკი.



მილანის მმართველ ლუდოვიკო სფორცასთან მუშაობის პერიოდში, ლეონარდომ წამოაყენა ჯავშნიანი საბრძოლო მანქანის შექმნის იდეა. მის გადასაადგილებლად 8 კაცი იყო საჭირო და 36 თოფით იყო აღჭურვილი. გარეგნულად ეს საბრძოლო მანქანა კუს მოგაგონებდათ. მასში გამოყენებული იყო ხრახნები , რომებიც ადამიანების მიერ სპეციალური ბერკეტების მოძრაობის შედეგად გამოყოფილ ენერგიას ბორბლებს აწოდებდა.

საბრძოლო მანქანა საკმაოდ დაცული იყო, რვა ადამიანის მეშვეობით მას თავისუფლად შეეძლო გადაადგილება დაახლოებით 3-4 კმ/სთ-თი ბრძოლის ველზე. ხოლო მის კორპუსზე დამაგრებული თოფებით შესაძლებელი იყო მტრის მიმართულებით ცეცხლის გახსნა.

ლეონარდოს რვეულში ამ საბრძოლო მანქანის მხოლოდ ნახაზია შემორჩენილი. გამოკვლევების შედეგად ერთი კურიოზული ფაქტი დადგინდა. ტანკის წინა და უკანა ბორბლები საპირისპირო მიმართულებით მოძრაობენ. ანუ, თუ ეს მანქანა ლეონარდოს გეგმით აიწყობოდა, მისი გადაადგილება შეუძლებელი იქნებოდა.

ლეონარდო გენიოსი იყო და ისტორიკოსები თვლიან, რომ მან ეს შეცდომა განძრახ დაუშვა. მიზეზი რამდენიმე შეიძლება ყოფილიყო: მას შეიძლება არ უნდოდა საბრძოლო მანქანა შეექმნა, ან მეორე, მისი ნახაზები შეიძლება მოეპარათ და ეს შეცდომა თავდაცვის საშუალება იყო.

ავტობუსი-იახტა

შესანიშნავი იდეა ჰქონდა ამ ავტობუსის დამპროექტებელს სტივენ პლობიოვიჩს (Stephen plobiovich). ავტობუსის ინტერიერიც უამღლესი კლასისაა, მისი ინტერიერი ლუქს-კლასს მიეკუთვნება. მასში განთავსებულია ორი საძინებელი-უზარმაზარი საწოლებით, მინი-სამზარეულო, თეთრი სამეულები, დიდი ტელევიზორი ბოსე-ის აუდიო სისტემით, საშხაპე და სხვ. აქვე განთავსებულია მისაღები ოთახიც.

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ბოლო წლებში ქიმიური მედიკამენტებით მკურნალობით თავმობეზრებულმა ბევრმა ადამიანმა აღიარა სახალხო მედიცინა. ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს. პროცედურა ტარდება მალამოს მასაჟირების და საფენებით. ავადმყოფობის სირთულის მიხედვით მკურნალობის კურსი ათიდან და ოც დღემდე გრძელდება. რაც მთავარია, ეს წამალი აუმჯობესებს სისხლის მოძრაობას და დადებითად მოქმედებს როგორც დაბალი, ისე მაღალი არტერიული წნევის მქონე ადამიანებზე.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი, მიჭირდა მოძრაობა, დამიქვეითდა შრომისუნარიანობა. ექიმის გამოწერილმა წამლებმა ტკივილი დროებით გამიყუჩა. ამიტომ გადავწყვიტე მცენარეული წამალი მეცადა.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან მიმასწავლეს. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან შევხვდი უამრავ ადამიანს, რომლებიც განიკურნენ, მათ შორის იყვნენ ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე, რომელიც თავის დროზე ახალგაზრდობის წყალობითა და ქირურგიული ჩარევით დავძლიე. მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად აუტანელი ტკივილი დამეწყო. მძლეოსან ადამიანს მსუბუქი ნივთის აწევაც არ შემეძლო. ძველი ტრავმა გამირთულდა, ამას მძიმე ოსტეოართროზის დიაგნოზი დაემატა. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. მე-4 მე-5 სეანსზე შვება ვიგრძენი, მაგრამ მაინც სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი. 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. 3 წლის განმავლობაში ვმკურნალობდი სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში. მდგომარეობა უფრო მირთულდებოდა. მიჭირდა სიარული, ვერც ვჯდებოდი, ტკივილები ყრუ და გაუსაძლისი იყო. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63

ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – მთლიანობაში ეს პერიოდი თქვენთვის წარმატებული იქნება, თუმცა შესაძლოა, მოგიწიოთ გარკვეული დაძაბული საუბრები. თუ დასასვენებლად გამგზავრებას ვერ ახერხებთ, მაშინ მცირე ხნით განმარტოვდით.

კურო – თუ თქვენ ხელოვნებას რაიმე კუთხით ემსახურებით, მაშინ, შეეცადეთ, დასვენებაცოტა ხნით გადადოთ და ეს დრო გამოიყენოთ.

ტყუპები – მეტ-ნაკლებად წარმატებული კვირა გელით, მოსალოდნელია პერსპექტიული წინადადებების მიღება, ამიტომ ყველა საკითხი სერიოზულად უნდა გააანალიზდეს.

კირჩხიბი – შეეცადეთ ახალი არაფერი წამოიწყოთ და ცოტა ხნით ყოველდღიური საქმით შემოიფარგლოთ ან ჩაერთოდ დაისვენოთ.

ლომი – დაასტაბილურეთ ურთიერთობები გარშემომყოფებთან და პარტნიორებთან, ნუ იქნებით კონფლიქტური და ნუ შეეცდებით საკუთარი პირობების ხაზგასმას.

ქალწული – გააქტიურდება თქვენი საქმიანი ურთიერთობები, შეეცადეთ, არ იყოთ კრიტიკული და ზედმეტი ანალიზითა და აუდიტით მომავალი პარტნიორები არ დააფრთხოთ.

სასწორი – იყავით მშვიდი და დიპლომატიური, ამავე დროს შეეცადეთ, ამ პერიოდში ყველა პერსპექტივა თუ შანსი გამოიყენოთ.

მორიელი – კვირის დასაწყისი და კვირის ბოლო წარმატებული იქნება, ამ დღეებში მოსალოდნელია სასარგებლო შეხვედრები და მოლაპარაკებები.

მშვილდოსანი – მკვეთრად გაუმჯობესდება თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობები, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება.

თხის რქა – მოგიწევთ საკმაოდ ბევრი ინფორმაციის მიღება-გადამუშავება, თუმცა, მოსალოდნელია აქ ცრუ და ფსევდო-ინფორმაციებიც იყოს.

მერწყული – ამ კვირაში გარკვეული გამართლების ალბათობაც გექნებათ, მოსალოდნელია სასიმამოვნო ინფორმაცია მიიღოთ უცხოეთიდან.

თევზები – ეს კვირა საკმაოდ მშვიდ ტემპში ჩაივლის და რაიმე გართულებას ადგილი არ ექნება. მოგიწევთ საოჯახო პრობლემების გადაწყვეტა. შესაძლოა საჩუქრებით მიიღოთ.

ISSN 2233-3983
9 772233 398001